# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 21 (116). 15 – 28 ოქტომბერი, 2010 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

1425
2010

კიბერომი – ახალი საფრთხე...

ტრაგიკული ავიაშოუები




კერძო მეომრები და პრივატიზებული ომები



საბრძოლო გამოცდილებას თალიბანისგან ვიღებთ?..

რა ვიცით ავღანეთში დაღუპულ ქართველებზე?..

ეროვნული ბიბლიოთეკა



კიბერომი
48



პოლიტიკურად NATO-სთან, საბრძოლო გამოცდილების მისაღებად — თალიბანთან?
8



ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა...
11

ტრაგედიებით დასრულებული ავიაშოუები
24





მსხვილკალიბრიანი შაშხანისა და მცირეკალიბრიანი ქვემეხის ზღვარზე
54



სადესანტო ოპერაციები საქართველოს სანაპიროზე
19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 ახალი ამბები

**მოსაზრება**

8 პოლიტიკურად NATO-სთან, საბრძოლო გამოცდილების მისაღებად – თალიბანთან?

**ტკივილი**

11 ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა...

**სპეცსამსახურები**

14 საქართველოს საგარეო დაზვერვა – მითი და რეალობა

16 „აკვარიუმის" ზვიგენი ზღვაში დაიხრჩო?

**ფლოტი**

19 სადესანტო ოპერაციები საქართველოს სანაპიროზე

**რეგიონი**

22 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**კატასტროფები**

24 ტრაგედიებით დასრულებული ავიაშოუები

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

30 ინდური ტანკები – ყველაზე ხანგრძლივი სატანკო პროექტი

**საავიაციო შეიარაღება**

36 საავიაციო ბომბები

**ტერორისტული ორგანიზაციები**

41 „წითელი ბრიგადები"

**დაქირავებულები**

44 პრივატიზებული ომები და კერძო მეომრები

**მომავლის ომები**

48 კიბერომი

**მონადირის მონათხრობიდან**

49 მსოფლიო ჩემპიონის ნანადირევი

**აფხაზეთის ომი**

52 აფხაზეთის 1992-93 წლების ომის ფინალი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 მსხვილკალიბრიანი შაშხანისა და მცირეკალიბრიანი ქვემეხის ზღვარზე


27398

პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

წლევანდელი შემოდგომა ტრაგიკული მოვლენებით გამორჩეულია. ქართველ სამხედროებს, ისევე როგორც მთელ საზოგადოებას, კიდევ ერთი მძიმე ფსიქოლოგიური გამოცდის ჩაბარება უწევთ. თუ აქამდე სამშობლოს საზღვრებიდან შორს მყოფ ჯარისკაცებს ბედი სწყალობდათ, ბოლო კვირების მოვლენებმა ცხადყო, რომ ავღანეთი მართლაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო წერტილია. იმისთვის, რომ სამხედროებში საბრძოლო სულისკვეთება არ დაეცეს, ყველამ უნდა გაითავისოს, რომ სამაჩაბლო იქნება თუ ქაბული, კოდორი თუ ჰილმენდის პროვინცია, ყველა ქართველი მებრძოლი საქართველოსთვის იბრძვის და ქართულ საქმეს აკეთებს. ამიტომ ამ საქმისთვის თავდადებულებს სათანადოდ დაფასება სჭირდება!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
11.10.2010

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მოიკიდე და გაფრინდი!

ახალზელანდიური კომპანია Martin Aircraft Company იმედოვნებს, რომ მის შექმნილ პერსონალურ საფრენ აპარატს სულ მალე აშშ-ის არმიის შეიარაღებაში მიიღებენ.

ამ კომპანიის ინჟინრები საფრენ აპარატ Jetpack-ზე თითქმის 30 წელია მუშაობენ. აშშ-ის სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამმართველო ამ აპარატით, რომელიც ბენზინის ძრავათი და ორი პროპელერით არის აღჭურვილი, ბოლო წლებია დაინტერესდა, შარშანწინ კი მას სერტიფიკატიც მიანიჭა.

სამხედროები Jetpack-ს ტვირთის გადასატან, საფრენ აპარატად გამოიყენებენ. „მფრინავ ზურგჩანთას" 3 კმ სიმაღლეზე აფრენა და 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია. თეორიულად, აპარატი რთული რელიეფის ბრძოლის ველიდან ევაკუაციისთვისაც გამოდგება.

# წიგნი, რომელმაც პენტაგონი დააფრთხო

პენტაგონმა ავღანეთში ნამსახური ყოფილი მზვერავის წიგნის ათასობით ეგზემპლარი შეისყიდა და გაანადგურა. უწყების ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, წიგნი შეიცავდა ინფორმაციას, რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ზიანის მოტანა შეეძლო. თავის მხრივ სკანდალური წიგნის ავტორი ვიცე-პოლკოვნიკი ენტონი შაფერი მიიჩნევს, რომ „ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ამბის მიჩქმალვა შეუძლებელია".

სკანდალურ წიგნს ოპერაცია „ბნელი გული": შპიონაჟი და სპეცოპერაციები ავღანეთის ფრონტზე და გზა გამარჯვებისკენ" ჰქვია. წიგნში შაფერის 2003 წლის ავღანური თავგადასავლები და მათ შორის, რამდენიმე საიდუმლო ოპერაციაა ასახული.

გამომცემლობა St.Martin's Press-მა, რომელმაც ოპერაცია „ბნელი გულის" პირველი ტირაჟი გამოსცა, წიგნის მეორე ტირაჟი, სამხედროთა მითითების თანახმად, შეცვლილი და შემოკლებული ტექსტით უკვე დაბეჭდა.

ამასთან, ინტერნეტში eBay-ის აუქციონზე გამოჩნდა განცხადება, რომლის ავტორი მკითხველებს წიგნის არარედაქტირებულ ვერსიას 2000 დოლარად სთავაზობს.




# Nose Art - ნახატები საბრძოლო თვითმფრინავების ფიუზელაჟებზე




თვითმფრინავის ფიუზელაჟის მოხატვის ხელოვნება აშშ-ში იშვა და საუკუნეს ითვლის. ამ ტიპის მხატვრობას Nose Art–ს უწოდებენ და დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამხედრო საჰაერო ძალებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

Nose Art-ის „მსოფლიო შედევრებზე" თვალის შევლებისას ძნელია არ აღიარო, რომ ხელოვნება, თუნდაც მილიტარისტული, შეუზღუდავია და ჩარჩოები არ აქვს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ეგზოჩონჩხი კარგია, მაგრამ უკეთესიც შეიძლებოდა



ამერიკულმა კომპანია Raytheon-მა მეორე თაობის ეგზოჩონჩხ XOS 2-ზე მუშაობა დაასრულა. უწინდელთან შედარებით, ახალი ვერსია უფრო გამძლეა და მაღალი ტვირთამწეობით გამოირჩევა. ამასთან, XOS 2-ს ადამიანის მოქმედებებზე უფრო სწრაფი რეაქცია აქვს და მისგან ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს.

რობოტიზირებული კოსტიუმი XOS 2, პირველ რიგში, სამხედრო ლოჯისტებს გამოადგებათ, რომლებსაც სხვადასხვა ტვირთის ტრანსპორტირება უხდებათ. ეგზოჩონჩხს ასევე წარმატებით აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ტექნიკური პერსონალი გამოიყენებს, რომლებსაც გაფრენის წინ თვითმფრინავის შეიარაღებით აღჭურვა ევალებათ. კოსტიუმი მისწრება იქნება საველე პირობებშიც, როდესაც სატვირთო ტექნიკური საშუალებების გამოყენება შეუძლებელია.

Raytheon-მა, როგორც პირველი მოდელის შემთხვევაში, ამჯერადაც ვერ შეძლო რობოტიზებული კოსტიუმის მთავარი ტექნიკური ამოცანის — მისი ავტონომიურობის გადაწყვეტა. XOS 2, ისევე როგორც მისი წინამორბედი, ენერგიას განცალკევებული წყაროდან სადენით იღებს. კომპანიის ინჟინრები ამ პრობლემის მოგვარებას რიგით მესამე მოდელისთვის ვარაუდობენ.

ეგზოჩონჩხზე ამერიკელები 1963 წლიდან მუშაობენ. საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში კომპანია General Electric-ის მიერ შექმნილი პირველი ექსპერიმენტული ნიმუში საკმაოდ დიდ ენერგიას მოიხმარდა, 700 კგ-ს იწონიდა და ნაკლებად ეფექტური იყო.

# ბრიტანელები „მოძრავ კუბოს" „ოცელოტით" ცვლიან

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ბოლო დრომდე გაერთიანებული სამეფოს სპეცძალების ძირითად ავტომობილს – ფირმა Land Rover-ის „სნეტჩს" ახალი საპატრულო მანქანა „ოცელოტი" ჩაანაცვლებს, რომლის პროექტირებაში წვლილი, სხვებთან ერთად, „ფორმულა 1"-ში „მაკლარენის" გუნდის ინჟინრებმაც შეიტანეს.

„ოცელოტის" შექმნაზე კომპანია Force Protection Europe-მა და ავტომწარმოებელმა ფირმა Ricardo-მ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ ტენდერში გამარჯვების შემდეგ იზრუნეს. ავტომობილი, რომელიც მთლიანი აღჭურვილობით 7,5 ტონას იწონის, 90 კმ/სთ-ს 19,7 წამში ავითარებს. მას ოთხივე ბორბალზე ცალკე ამძრავი აქვს, რაც სავალი ნაწილის დაზიანების შემთხვევაში მის მართვას აიოლებს.

რაც ყველაზე საგულისხმოა, ახალ საპატრულო ავტომობილს ლათინური ასო V-ის ფორმის „ფსკერი" აქვს და ეს ნაღმებისა თუ ფუგასების აფეთქების ტალღისადმი მის მეტ მდგრადობას განაპირობებს. ბრიტანელთა უწინდელი ჯავშანმანქანის „სნეტჩის" უმთავრეს ნაკლოვანებად სწორედ ასაფეთქებელი მოწყობილობებისგან დაუცველობა სახელდებოდა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ერაყისა და ავღანეთის სამხედრო ოპერაციებში გახდა. ამის გამო ჯარისკაცებმა „სნეტჩს" მეტსახელად „მოძრავი კუბოც" კი შეარქვეს.

„ოცელოტის" ძარა ადვილად იშლება და იწყობა, რაც მის საჰაერო ტრანსპორტირებას მნიშვნელოვნად ამარტივებს. ავტომობილის კაბინა მოდულური კონსტრუქციისგან შედგება, რომლის საშტატო ვარიანტი 6 ადამიანის განთავსებას ითვალისწინებს. მისი სხვა დანიშნულების მოდულით შეცვლა, მაგალითად, დაჭრილთა გადასაყვანი პლატფორმით, ასევე იოლად შეიძლება. შემქმნელთა მტკიცებით, „ოცელოტის" საველე პირობებში შეკეთებაც არაა დიდ სირთულესთან დაკავშირებული.

„ოცელოტის" მარკის პირველი ავტომობილების გამოშვება 2011 წლის დასაწყისისთვის იგეგმება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# Viper-ს ბრძოლის ველზე „გზა დაულოცეს“

აშშ-ის საზღვაო ქვეითთა სარდლობამ შვეულმფრენ AH-1 Viper-ის ახალი ვერსია Z მოიწონა და ბრძოლაში მისი გამოყენების ნებართვაც გასცა. ტექნიკური მიზეზების გამო გაჭიანურებული საცდელი პერიოდის შემდეგ სამხედროებმა შვეულმფრენს „სასარგებლო და ეფექტური“ უწოდეს.

ცდების დასრულების შემდეგ სამხედრო ექსპერტთა გაკეთებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ AH-1Z შეიარაღების მაღალი სიზუსტით გამოყენებას უზრუნველყოფს. ამასთან, ახალი შვეულმფრენი გაცილებით იოლი სამართავია და წინა ვერსიისგან განსხვავებით, მისი გამოყენება საბრძოლო ოპერაციათა ფართო სპექტრში წარმატებით შეიძლება. შედეგად, რამდენიმე კვირაში Viper-ის ფართომასშტაბიანი წარმოება დაიწყება.

ორძრავიანი შვეულმფრენი AH-1Z, რომელსაც საფუძვლად AH-1W SuperCobra-ს კონსტრუქცია უდევს, 296 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, მისი საბრძოლო რადიუსი კი 231 კმ-ს შეადგენს. მოიერიშე შვეულმფრენი შეიარაღებულია 20-მმ-იანი, სამლულიანი ქვემეხით, რომლის საბრძოლო მარაგი 750 ჭურვია. შვეულმფრენის ფრთებქვეშ მართვადი და უმართავი რაკეტების: Hydra 70-ის, AIM-9 Sidewinder-ისა და AGM-114 Hellfire–ის 6 პილონია განთავსებული.

# გამანადგურებელ F-35-ების ხარვეზის გამო ფრენა აუკრძალეს

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ კომპანია Lockheed Martin-ის შექმნილი პერსპექტიული გამანადგურებლის F-35 Lightning II-ის ყველა ვერსიას 1-ელი ოქტომბრიდან საცდელი ფრენების შესრულება აუკრძალა. ამის მიზეზი გამანადგურებლის პროგრამულ უზრუნველყოფაში აღმოჩენილი ხარვეზია, რომელიც საწვავსაქაჩი ტუმბოების მუშაობას განაგებს.

ამასთან, თვითმფრინავ F-35B-ზე იმ სარქვლის გაუმართაობაც დაფიქსირდა, რომელიც ვერტიკალური დაშვებისას ძრავაში დამატებითი ჰაერის ნაკადის შედინებას უზრუნველყოფს.

თვითმფრინავებში პროგრამული ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია და როგორც კი Lockheed Martin-ის სპეციალისტები ამ პრობლემას აღმოფხვრიან, გამანადგურებლების საცდელი ფრენები უმალ განახლდება.



შედარებით რთულადაა საქმე გამანადგურებელ F-35B-ის შემთხვევაში. მართალია, საწვავსაქაჩი ტუმბოების მუშაობის მოწესრიგების შემდეგ ფრენის უფლებას მასაც მისცემენ, მაგრამ ვერტიკალური აფრენისა და დაშვების რეჟიმს მანამ ვერ გამოიყენებს, სანამ ჰაერის სარქვლის პრობლემა არ გადაიჭრება. გამანადგურებელზე მომუშავე ინჟინრები ამ დეფექტის აღმოფხვრის ზუსტ დროს კი ჯერჯერობით ვერ ასახელებენ.

# „მის ინგლისი“ ჯარში მიდის

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია — პირმშვენიერი ბრიტანელი ასული, „მის ინგლისი 2009“-ის ტიტულის მფლობელი კატრინა ჰოჯი ბრიტანეთის არმიაში ჯერ კიდევ სილამაზის კონკურსში მონაწილეობამდე მსახურობდა. ჰოდა, 23 წლის მზეთუნახავს მალევე მოსწყინდა პოდიუმზე ნარნარი და ფოტო და ვიდეოკამერების წინ კეკლუცობა, უარი თქვა „მისის“ ელიტურ ყოფაზე და ისევ ყაზარმაში დაბრუნება გადაწყვიტა.

კატრინამ ჯარისკაცური ცხოვრება 17 წლისამ დაიწყო. გოგონამ არც ერაყში გამგზავრება ითაკილა და მეტიც, იქ გამოჩენილი მამაცობისთვის 2005 წელს სარდლობის მადლობაც კი დაიმსახურა. ეფრეიტორი კატრინა მოდელის კარიერით მხოლოდ 2008 წელს დაინტერესდა, ერთი წლის შემდეგ კი ინგლისის ნაციონალურ პირველობაზე ულამაზესად აღიარეს.

„არმიაში მსახური ყოველთვის მომწონდა. ცოტა არ იყოს, ვნერვიულობ კიდეც იმის გამო, რომ ჯარისკაცურ პირობებში ცხოვრებას გადავეჩვიე. „მის ინგლისის“ ტიტულის მოპოვების გამო მთელი წელი ათასგვარი გლამურული ღონისძიებით მქონდა გადატვირთული“, — განაცხადა ჰოჯმა არმიაში ხელმეორედ გამგზავრებამდე.



# ამერიკელები მიკროტალღურ რაკეტას ქმნიან




კომპანიებმა Boeing-მა და Raytheon-მა აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებისთვის რაკეტის სრულიად ახალი სახეობის შექმნაზე დავალება მიიღეს. პროექტის თანახმად, რაკეტაში ასაფეთქებელი ნივთიერების შემცველი კლასიკური ქობინის ნაცვლად ზემაღალი მიკროტალღური გამოსხივების წყარო უნდა იყოს.

ცნობილია, რომ კომპანიებმა მუშაობა პროექტ NKCE-ის ფარგლებში უნდა წარმართონ, რომელზეც საკმაოდ მწირი ინფორმაცია ვრცელდება. აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებში არაკინეტიკური ანტიელექტრონული შეიარაღებისთვის (Non-Kinetic Counter Electronics) ტექნოლოგიების საჭიროებაზე სულ ერთი წელია ალაპარაკდნენ.

ჯერჯერობით ამ პერსპექტიულ იარაღზე ცოტაა ცნობილი. სავარაუდოდ, მისი გამოყენება მოწინააღმდეგის თავდაცვის ელექტრონული აპარატურის გასანადგურებლად მოხდება.

აღსანიშნავია, რომ Boeing-ს ზემძლავრი მიკროტალღური გამოსხივების რაკეტის შექმნაზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს. პროექტი 38 მლნ დოლარადაა შეფასებული, რაკეტის პირველი პროტოტიპების გამოცდა კი 2012 წლისთვის დაიწყება.

# აშშ-ის ბირთვულ ობიექტებს რობოტები დაიცავენ

აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტრომ პენტაგონის სპეციალისტებთან ერთად გადაწყვიტა, შეერთებული შტატების ბირთვული ობიექტების დაცვა რობოტებს მიანდოს.

აშშ-ის ბირთვული უსაფრთხოების ეროვნულმა სამმართველომ ამ ავტომატიზებული კომპლექსების შექმნისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ ახლახან გამოაცხადა. კომპლექსს საფუძვლად არმიის ჯიპის ანალოგი უდევს, რომელიც რადიო და ლაზერული სენსორებით, ასევე თვალთვალის მრავალნაირი მოწყობილობითაა აღჭურვილი.

რობოტი ინფრაწითელი სხივების მეშვეობით „ხედვის“ არეში არსებულ ყველა ობიექტის ამოცნობას ახერხებს, მიღებულ ინფორმაციას კი ოპერატორის დისპლეიზე გადასცემს. მანქანას გადაადგილება არა მარტო წინასწარ მითითებულ ტრაექტორიაზე ძალუძს, არამედ თავადაც შეუძლია მარშრუტის არჩევა. მისი გადაადგილების საშუალო სიჩქარე 30 კმ/სთ-ს შეადგენს, ერთი დამუხტვა კი 4 სთ-ს ყოფნის.

ამასთან, დისპეტჩერს ნებისმიერ დროს შეუძლია რობოტი ავტონომიური რეჟიმიდან ხელით მართვაზე გადაიყვანოს, მასზე დამონტაჟებული მიკროფონითა და დინამიკებით კი ობიექტზე მყოფ „დაუპატიჟებელ სტუმართან“ გასაუბრებას შეძლებს.

ექსპერტთა შეფასებით, ახალი კომპლექსი ხელისუფლებას თითოეულ ბირთვულ ობიექტზე 7-დან 10 მლნ-მდე დოლარის ეკონომიის საშუალებას მისცემს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკურად NATO-სთან, საბრძოლო გამოცდილების მისაღებად — თალიბანთან?



გასული სექტემბერი ტრაგიკულ თვედ იქცა მთელი ქართული არმიისთვის, რადგან საზღვარგარეთ 11-წლიანი სამშვიდობო ოპერაციების განმავლობაში სულ არ დაგვიკარგავს ხუთი ქართველი სამხედრო, როგორც, სამწუხაროდ, ერთ თვეში ავღანეთში.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მონაწილეობის გაგრძელება ავღანეთში NATO-ს ეგიდით მიმდინარე ISAF-ის ოპერაციაში ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს, რადგან თუკი გეზი დასავლეთისკენ გვაქვს აღებული, შუა გზიდან გადახვევა ახალ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული.

სხვა საქმეა, რა რაოდენობით უნდა მივიღოთ მონაწილეობა ISAF-ის ოპერაციაში ავღანეთში და რამდენად გამართლებულია ჩვენი ქვეყნიდან ორი ათასი კმ-ის დაშორებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების რეალური რაოდენობის 5%-ზე მეტის გაგზავნა, მაშინ როდესაც რუსეთის საოკუპაციო ჯარების საბრძოლო მოქმედების განახლება ქართულ მიწაზე გამორიცხული სულაც არ არის. ავღანეთიდან კი 900-ზე მეტი ჩვენი მებრძოლის სასწრაფოდ უკან დაბრუნება გაძნელებული იქნება.

მაგრამ ამ სტატიის თემა სულ სხვაა, კერძოდ, რა საბრძოლო გამოცდილებას იღებენ ქართველი სამხედროები ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობისას და რამდენად გამოადგებათ საჭიროების შემთხვევაში ქართული მიწის დასაცავად რუსეთის რეგულარული არმიის დანაყოფებთან შესაძლო შეტაკებაში.

დავიწყოთ იმით, რომ 1999-2008 წლებში ქართული არმიის ერთი ოცეული, რომელსაც მოგვიანებით (2003 წლიდან) ერთი ასეულიც დაემატა, როტაციის პრინციპით მუდმივად იმყოფებოდა კოსოვოში. თითქმის 9-წლიანი კოსოვური გამოცდილება არანაკლებ ორი ათასმა სამხედრომ მიიღო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს დიდი საბრძოლო გამოცდილება იყო, რადგან კოსოვოში, ძირითადად, პატრულირებით იყვნენ დაკავებული. რა თქმა უნდა, ესეც არ არის ცუდი, მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ საბრძოლო მოქმედებებში გამარჯვების შემდეგ თუ გამოგადგება, როდესაც დაკავებულ ტერიტორიაზე კონტროლს დაამყარებ. მაგრამ ამისთვის ჯერ გამარჯვებაა საჭირო...

ერაყში სამშვიდობო მისიას ქართული სამხედრო კონტინგენტი 2003 წლის ზაფხულიდან 2008 წლის აგვისტომდე ასრულებდა. მისია 80-მდე მენაღმითა და ექიმით დავიწყეთ და ბოლოს 2000 სამხედროთი დავამთავრეთ.

ერაყის მისიის დროს მიღებული საბრძოლო გამოცდილება უდავოდ დიდი იყო კოსოვოსთან შედარებით, მაგრამ ქართველი სამხედროები იშვიათად მონაწილეობდნენ ამერიკელების დაგეგმილ ოპერაციებში და უმეტესად ისევ ბლოკპოსტებზე იდგნენ ან პატრულირებდნენ. თუმცა იყო გამონაკლისებიც, როდესაც პირველი ქვეითი ბრიგადის მებრძოლებმა ამერიკელ სპეცრაზმელებთან ერთად წინასწარ დაგეგმილ სპეცოპერაციაში საბრძოლო დავალებები რამდენჯერმე წარმატებით შეასრულეს. მაგრამ ერთობლივი ოპერაციები თითზე ჩამოსათვლელი იყო და ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტის უდიდეს ნაწილს საბრძოლო გამოცდილება არ შეუძენია,

**თალიბანის მებრძოლთა პარტიზანულ მოქმედებებს NATO-ს არაერთი კოლონა შეეწირა, რამაც ავღანეთში ISAF-ის მომარაგება ძალზე გაართულა**



რაც, სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომმაც ცხადყო.

2009 წლის ნოემბრიდან საქართველო ავღანეთში NATO-ს ეგიდით მიმდინარე ISAF-ის ოპერაციაში ჩაერთო და ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში ერთი გაძლიერებული ასეული, 172 კაცის შემადგენლობით გაგზავნა. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც 2010 წლის ზაფხულში როტაციის პრინციპით მის შესაცვლელად ჩასული მეორე ასეული ქაბულში ISAF-ის რეგიონული სარდლობის შტაბბინას იცავს.

რა თქმა უნდა, ავღანეთში არ არსებობს აბსოლუტურად უსაფრთხო ადგილები, მაგრამ ქართულ ასეულს არ უნდა ემუქრებოდეს ყოველდღიური შეტაკება თალიბებთან და შესაბამისად ისინი მიიღებენ სტაციონარული ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ბლოკპოსტების მოწყობისა და პატრულირების აუცილებელ გამოცდილებას, მაგრამ არა იმ საბრძოლო გამოცდილებას, რასაც მოწინააღმდეგესთან უშუალო საცეცხლე ურთიერთქმედება ჰქვია.



აგვისტოს ომის დროს როკის გვირაბიდან შემოჭრილ რუსულ ჯავშანკოლონებზეც რომ მომხდარიყო ჩასაფრებებიდან თავდასხმები, მოწინააღმდეგე ბევრად უფრო დიდ ზიანს მიიღებდა

2010 წლის აპრილიდან ავღანეთში საქართველოს ხელისუფლებამ დამატებით გაგზავნა კიდევ ერთი ქართული სამხედრო დანაყოფი — მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი 750 კაცის შემადგენლობით.

11-წლიანი სამშვიდობო მისიების ისტორიაში პირველად ქართული დანაყოფი ავღანეთში და შეიძლება ითქვას, პლანეტის ყველაზე ცხელ წერტილში — ჰილმენდის პროვინციაში მოხვდა. საბედნიეროდ, მაშინვე არ მოუწიათ რეალურ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვამ, რადგან მათი ეკიპირება არ იყო დასრულებული.

ზაფხულის ბოლოს, როდესაც ქართველი სამხედროები ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად შეუდგნენ ანტიპარტიზანული ოპერაციების ჩატარებას, სამწუხაროდ, მსხვერპლმაც არ დააყოვნა.

რა საბრძოლო გამოცდილება შეიძლება მიიღონ ჰილმენდის პროვინციაში 31-ე ბატალიონისა და ერთ თვეში მის შესაცვლელად ჩასული მორიგი ქართული ბატალიონის მეომრებმა? ეს უპირველესად იქნება ანტიპარტიზანული მოქმედებების ტაქტიკის ათვისება, როდესაც არ არსებობს გამოკვეთილი ფრონტის ხაზი და საბრძოლო მოქმედებები ასიმეტრიულია. ამ შემთხვევაში ასიმეტრიულ ძალებს წარმოადგენენ ISAF და ამერიკელი სპეციალური ოპერაციების ძალები, რომელთა განკარგულებაშია მსოფლიოში არსებული აბსოლუტურად ყველა სახის შეიარაღება და აღჭურვილობა, მათ შორის — ფრთოსანი რაკეტები, სტრატეგიული და საფრონტო ავიაცია, უპილოტო სადაზვერვო-დამრტყმელი საფრენი აპარატები, მართვადი რაკეტები და ბომბები, მსხვილკალიბრიანი საველე არტილერია, ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები და, რა თქმა უნდა, შვეულმფრენები, რომლებიც მთაგორიან რელიეფზე სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა.



რა შეიძლება დაუპირისპირონ ამ მართლაც რომ განუსაზღვრელი სიძლიერის სამხედრო კოალიციას „თალიბანმა“ და „ალქაიდამ“? მხოლოდ საბჭოთა „კალაშნიკოვები“ თუ მისი ჩინური ასლები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები, ნაღმები და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები.

მიუხედავად იმისა, რომ ძალები განუსაზღვრელად ასიმეტრიულია, მეცხრე წელია დასავლეთი ავღანეთის უმეტეს ტერიტორიას მაინც ვერ აკონტროლებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან თავის დროზე ასევე წარუმატებელი შედეგი ჰქონდათ დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს.

ISAF-ისა და აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების გვერდიგვერდ ბრძოლის გამოცდილება ქართველ სამხედროებს საშუალებას აძლევს, გაიცნონ თანამედროვე შეიარაღების სახეობები, აღჭურვილობა და რაც მთავარია, ისწავლონ ოპერაციების დაგეგმვა, მართვა და შესრულება ულტრათანამედროვე კომპიუტერული სისტემების გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ეს რუსული ტანკი სოფელ ხვითთან ქართველმა მებრძოლებმა სწორედ ჩასაფრებიდან გაანადგურეს**

რა სჯობს, როდესაც XXI საუკუნის ამერიკული არმია საბრძოლო გამოცდილებას გიზიარებს, მაგრამ გამოგვადგება თუ არა ეს ქართული მიწის დასაცავად?

რა დასამალია და, ქართული არმია 1993 წელს, სოხუმის დატოვების შემდეგ, შეტევითი ოპერაციებისთვის ემზადებოდა, რათა ძალით დაკარგული ძალითვე დაებრუნებინა (თუ როგორ ემზადებოდნენ სხვადასხვა პრეზიდენტისა თუ თავდაცვის მინისტრის დროს, სხვა საქმეა).

ამიტომაც აქცენტი გადატანილი იყო შემტევი შეიარაღების (ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, მსხვილკალიბრიანი არტილერია, მოიერიშე თვითმფრინავები და დამრტყმელი შვეულმფრენი, სადესანტო კატარღები) ყიდვაზე, საბრძოლო დანაყოფებს კი პოლიგონებზე საზღვაო და საჰაერო დესანტის გადასხმაში, ტანკებით შეტევასა და არტილერიით პირობითი მოწინააღმდეგის პოზიციების საცეცხლე დამუშავებაში ავარჯიშებდნენ.

2008 წლის აგვისტოს ომმა ყველაფერი საპირისპიროდ შეცვალა, რადგან სასიცოცხლოდ აქტუალური გახდა საბრძოლო უპირატესობის (ჰაერში, ხმელეთსა და ზღვაზე) მქონე მოწინააღმდეგის რეგულარული არმიის შენაერთების შეჩერება.

აგვისტოს ომამდე ქართული არმიაც ასიმეტრიული ომისთვის ემზადებოდა, როდესაც ძირითად მოწინააღმდეგედ აფხაზური და ოსური სეპარატისტული რეჟიმების ნახევრად რეგულარული სამხედრო ფორმირებები მიიჩნეოდა, ხოლო რუსეთის ტერიტორიიდან რუსული რეგულარული შეიარაღებული ძალების შემოჭრის ალბათობა თითქმის უგულებელყოფილი იყო.

2008 წლის აგვისტოს ომმა ცხადყო, რომ მწარედ ცდებოდა ოფიციალური თბილისი, როდესაც ცხინვალთან ქართულ არმიას ოსი სეპარატისტების გარდა რუსული რეგულარული არმია და რუსული საბრძოლო ავიაცია დაუპირისპირდა.

ერთ დღეში ასიმეტრიული ომი 180 გრადუსით შემოტრიალდა და არათანაბარ მდგომარეობაში უკვე ოსური და აფხაზური სეპარატისტული სამხედრო დანაყოფები კი არა, ქართული არმია აღმოჩნდა, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ორი მიმართულებიდან შემოჭრილმა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს ჰაერში, ზღვასა და ხმელეთის დიდ ნაწილზე.

დღეს საქართველო ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისმა არმიამ თავდაცვითი ბრძოლები უნდა გამართოს ყველანაირად ძლიერ მოწინააღმდეგეზე.

ამიტომაც ქართული არმიის დანაყოფებს ქართულ მიწაზე საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში უფრო გამოადგებათ „თალიბანის“ პარტიზანული მოქმედების ტაქტიკა, ვიდრე ISAF-ისა.

მოდით, რეალობას თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში ქართული არმიის დანაყოფებს არ ექნებათ სრული საჰაერო თავდაცვა (ისევე როგორც სტრატეგიულ ობიექტებს, მათ შორის — დედაქალაქს). ჰაერში გაბატონდება რუსული საბრძოლო ავიაცია, ტერიტორიულ წყლებს ჩაკეტავენ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდები, შეტევაზე გადმოვლენ რუსული ტანკები და ჯავშანმანქანები, ძლიერ საარტილერიო დარტყმას მოგვაყენებენ „გრადები“ „ურაგანები“ და შესაძლოა, ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების „ტოჩკები“ და „ისკანდერები“.

ასეთ დროს ქართული არმიის უკან არც ISAF-ის კოალიციური ძალების კოსმოსური დაზვერვა და საჰაერო თავდაცვა იქნება, არც ამერიკელების ფრთოსანი რაკეტები თუ სტრატეგიული ბომბდამშენები და არც ბრძოლის მართვის კომპიუტერული ცენტრი.

ერთიანი ფრონტის ხაზის შექმნა და მისი შენარჩუნება შეიძლება დამღუპველი გახდეს ქართული არმიის დანაყოფებისთვის, რაც მათ აიძულებს, აირჩიონ პარტიზანული მოქმედების ტაქტიკა — „დაარტყი მოულოდნელად და დაიმალე!“

ამ პარტიზანულმა ტაქტიკამ დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის რეგულარულ საარმიო დანაყოფებს ჩეჩნეთის ორივე ომში და სიმართლე ითქვას, ჩეჩნეთგამოვლილი რუს ტანკისტებს თუ მედესანტეებს ძალიან ეშინოდათ, როდესაც ქართული სოფლების ორღობეებში წინ მიიწევდნენ, რადგან მუდამ ჩასაფრებებს ელოდნენ.

მე-2 ქვეითი ბრიგადის მებრძოლებმა ასეთი ჩასაფრება (შეიძლება უნებურად) სოფელ ხვითთან მოაწყვეს და ერთი რუსული ტანკი და ორი ქვეითთა საბრძოლო მანქანა დაწვეს. უფრო მეტიც, ჩასაფრებები რომ მოგვეწყო, მოწინააღმდეგის საბრძოლო დანაკარგი გაცილებით დიდი იქნებოდა.

სწორედ „თალიბანის“ ტაქტიკაა გზაზე ჩასაფრება. მარტო ორ კვირაში მათ პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე ჩასაფრებების დროს გაანადგურეს NATO-ს ექვსი საავტომობილო კოლონა, რომლებსაც ISAF-ისთვის საწვავი მიჰქონდათ.

გზების დანაღმვა ძალზე მომგებიანი ტაქტიკაა თავდაცვაში მყოფი მხარისთვის, რომლის შესაძლებლობები გაცილებით ჩამორჩება შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგის ძალებს.

ამიტომაც ამ სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ რეალობიდან გამომდინარე, ქართული არმიის საბრძოლო მზადება ძირითადად დამყარებული უნდა იყოს პარტიზანული მოქმედებების ტაქტიკაზე (სხვათა შორის, რამდენიმე ცალკეული ბატალიონი მართლაც იწვრთნებოდა ამ ტაქტიკით ტყის პირობებში სამოქმედოდ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძირითადი საბრძოლო შეტაკებები მაინც დასახლებულ პუნქტებში შეიძლება გაიმართოს), რის გამოც ავღანეთში ISAF-ის შემადგენლობაში მიღებული საბრძოლო გამოცდილება (როდესაც შენს მხარესაა უპირატესობა შეიარაღებასა და აღჭურვილობაში) ნაკლებად გამოგვადგება საქართველოს დასაცავად რუსული სამხედრო ანექსიის განახლების შემთხვევაში.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა...




ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს ოთხი ქართველი სამხედრო დაიღუპა.

ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დღეს გაავრცელა.

სამინისტროს ცნობით, გუშინ საღამოს პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი, სერჟანტი დავით ცეცხლაძე, კაპრალი გიორგი კოლხიტაშვილი და კაპრალი ნუგზარ კალანდაძე ნაღმზე აფეთქდნენ.

ამ ფაქტის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ყველაფერი კეთდება ქართველი სამხედროების უმოკლეს ვადაში სამშობლოში გადმოსვენებისთვის. ამ დროისათვის შემთხვევის შესახებ სხვა დეტალები არ ვრცელდება.

მომხდარის შესახებ დაღუპულთა ოჯახის წევრები უკვე ინფორმირებული არიან.

**ინფორმაცია ავღანეთში ოთხი ქართველი სამხედროს ნაღმზე აფეთქების თაობაზე ამა წლის 1-ელ ოქტომბერს გავრცელდა. იმ დღეს, როდესაც საქართველოში ვიზიტით NATO-ს გენერალური მდივანი ანდრეს ფონ რასმუსენი იმყოფებოდა.**

**„არსენალის“ წინა ნომერი სწორედ 1-ელ ოქტომბერს გამოვიდა და ამიტომ, ჩვენო მკითხველო, ამ ტრაგედიის შესახებ პუბლიკაციას ამ ნომერში მომხდარიდან მხოლოდ ორი კვირის თავზე კითხულობთ.**

ძნელია ადამიანურ ტრაგედიებზე სტატიის მომზადება. მცირეოდენ შვებას ის გვაძლევდა, რომ ორი კვირის განმავლობაში პოლკოვნიკ რამაზ გოგიაშვილის, სერჟანტ დავით ცეცხლაძის, კაპრალების: გიორგი კოლხიტაშვილისა და ნუგზარ კალანდაძის, როგორც ადამიანების, შვილების, ოჯახის წევრებისა და მეგობრების შესახებ ბევრი რამ დაიწერებოდა, ითქმებოდა და ჩვენ არ მოგვიწევდა ამ მტკივნეული თემების წამოჭრა და მხოლოდ მათი სამხედრო დამსახურებების შესახებ მოგვიხდებოდა საუბარი, თუმცა ასე არ მოხდა.

თავდაცვის სამინისტროს საიტზე ავღანეთში დაღუპულების ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ გამოქვეყნებული მშრალი ინფორმაციისა და სხვადასხვა რანგის ოფიციალური პირების (მათ შორის — NATO-ს გენმდივნის) სამძიმრების გარდა, სხვა ცნობები არ გავრცელებულა. ქართულ მედიაში დაღუპულთა ფოტოებიც კი არ გამოქვეყნებულა.

პირიქით, დაღუპულთა მეგობრებსა და ოჯახის წევრებს თითქოს პირი შეუკრავთო, სტატიის მომზადების მომენტისთვის (10/10/10) კომენტარს არ იძლეოდნენ. საოცარი ის არის, რომ რამდენიმე მათგანმა მიზეზად თავდაცვის სამინისტრო დაასახელა.

იმედია, ეს გაუგებრობაა და დაღუპული ბიჭების შესახებ ინფორმაციის დაბლოკვაში თავდაცვის უწყებას კავშირი არა აქვს. ან თუ მართლაც სამინისტროს განკარგულებაა, მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტები აქვთ ამ მითითების გასამართლებად. გაუგებარია, რატომ იმალება ინფორმაცია როგორც დაღუპულების პირად ცხოვრებაზე, ისე მათი დაღუპვის დეტალების შესახებ. ჩვენ დასავლური ქვეყნების სამხედრო ატაშეებსაც დავეკითხეთ და მათი თქმით, მათ ქვეყნებში მსგავსი სიტუაციის მხოლოდ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, როდესაც ჯარისკაცები საეჭვო ვითარებაში იღუპებიან და გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის.

ჩვენი ინფორმაციით, ქართველი სამხედროების დაღუპვაში საეჭვო არაფერია. გარდა ამისა, საზოგადოება ეჭვობს, რომ თავდაცვის სამინისტრო ინფორმაციის გავრცელებას შეიძლება იმიტომ უშლის ხელს, რომ არ სურს ამ მტკივნეული პრობლემის საზოგადოების განხილვის საგნად ქცევა. ეს საკმაოდ პრობლემატური მოსაზრებაა, რადგან, თუ მართლაც ასეა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ „მიჩქმალვის პოლიტიკა“ ე.წ. სირაქლემის პოზას გვაგონებს.

მოგეხსენებათ, ავღანეთსა და ერაყში ქართველი სამხედროების გაგზავნას საქართველოში საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ ის, რომ სამხედროები ნებით და ხშირად კონკურსის წესითაც კი ხვდებიან მსოფლიოს ყველაზე საშიშ წერტილებში, იმაზე მიუთითებს, რომ მათ გააზრებული აქვთ არა მარტო საფრთხეები, არამედ ავღანეთსა და ერაყში მათი ყოფნის დადებითი მხარეებიც.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ ISAF-ში ქართველების მონაწილეობის მოწინააღმდეგეებს ვერც დაჭრილებისა და დაღუპულების შესახებ ინფორმაციის დაფარვა შეაჩერებს და ვერც სხვა ზომები, პირიქით, ერთი-ორი „საქმეში გარკვეული“ უკვე ავრცელებს ხმას, თითქოს თავდაცვა იმიტომ მალავს ფაქტებს, რომ დაღუპული ბევრად მეტია. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ამ ჭორს უფრო ადვილად დაიჯერებს, ვიდრე საკუთარი თვალით ნანახ ათას სიკეთეს. ეს თვალნათლივ დავინახეთ აგვისტოს ომის დროსაც, როდესაც ბევრი „პატივცემული“ ბატონი ათასობით ქართველი სამხედროს დაღუპვაზე ლაპარაკობდა. ამიტომ, თუ ინფორმაცია მართლაც თავდაცვის უწყების არაოფიციალური დირექტივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი დაღუპული ფრანგი კაპიტნის, ლორენცო მეზასალმას ვაჟს ანუგეშებს...





საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშეს განმარტებით, 2008 წელს ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულ ფრანგ სამხედროებს ერი პარიზში, ინვალიდების სასახლეში გამოემშვიდობა.





დაღუპულთა ოჯახის წევრებისთვის ამერიკის დროშის გადაცემის საპატიო რიტუალი, ფრანგების მიერ სამხედროების ინვალიდთა სასახლის დარბაზიდან გამოსვენების წესი და სხვა ასეთი ცერემონიალები მხოლოდ მატრაბაზობისთვის არ გამოუგონიათ.



ამერიკელთა დამოკიდებულება დაღუპულ თანამებრძოლთა მიმართ განსაკუთრებულია. ისინი ყოველთვის ცდილობენ საკადრისი პატივი მიაგონ მათ, ვინაიდან იციან, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება მათი აღსასრულიც დადგეს და თვითონაც დარწმუნებული არიან, რომ არავინ მიატოვებს.

იბლოკება, გვინდა ვთხოვოთ მათ, გაითვალისწინონ ჩვენი მეგობარი (მათ შორის — NATO-ს წევრი) ქვეყნების გამოცდილება და საფუძველი მოუსპონ ათასგვარ ჭორს და ღირსეული პატივი მიაგონ დაღუპულებსა და მათ ოჯახებს.

სწორედ ეს უნდა იყოს აფიშირებისა და პროპაგანდის სამიზნე. უნდა მოვეფეროთ სამშობლოსათვის თავდადებულებს, დაჭრილებსა და მათ ოჯახებს. ვაგრძნობინოთ, რომ მათი ღვაწლი აუცილებლად დაფასდება და მათ გასაჭირს მთელი ქვეყანა გაიზიარებს.

როგორ გგონიათ, ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის ან გერმანიის მთავრობას არ შეუძლია მიჩქმალოს ასეთი შემთხვევები? ამერიკელების დროშის დღუპულთა ოჯახის წევრებისთვის გადაცემის საპატიო რიტუალი, ფრანგების მიერ სამხედროების ინვალიდთა სასახლის დარბაზიდან გამოსვენების წესი და სხვა ასეთი ცერემონიალები მხოლოდ მატრაბაზობისთვის არ გამოუგონიათ...

ალბათ, არავინ მიიჩნევს, რომ ნიკოლა სარკოზის ეხალისებოდა 2008 წლის აგვისტოში დაღუპული ფრანგი სამხედროს შვილისთვის თვალებში ჩახედვა, ან ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის ჰობია დაღუპული ესპანელი ჯარისკაცების პანაშვიდებზე სიარული. რა თქმა უნდა, ასე არავინ ფიქრობს, მაგრამ მაშინ რა გვჭირს? ალბათ, გამოუცდელობის ბრალია. აქამდე ღმერთი გვიფარავდა ასეთი მწარე გამოცდილებისგან. ახლა დროა, ჩვენი



ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ესპანელი ჯარისკაცის მეუღლეს უსამძიმრებს.





ამ უმძიმესი ფოტოების გამოქვეყნებით იტალიურმა პრესამ ყველას დაანახვა კონკრეტული ადამიანების ტრაგედია. ერს აჩვენა, რომ მათ მხარდაჭერა სჭირდებათ, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.



ნაბიჯების ყველანაირი შედეგი განვჭვრიტოთ და ისეთი გეზი ავირჩიოთ, რომელიც ყველაზე ნაკლებად მტკივნეულ შედეგს მოიტანს. ნაკლებად მტკივნეულიო, იმიტომ ვამბობთ, რომ ადამიანის დაღუპვას უმტკივნეულოდ ვერ გადავიტანთ, მაგრამ თუ ამ ტკივილს მთელი ერი გაიზიარებს, მისი გაძლება დაღუპულის ახლობლებისთვის ბევრად იოლი იქნება.

თუ ჯარისკაცებმა არ ნახეს, რომ მათი დაღუპული ან დაჭრილი თანამებრძოლები შესაფერისად არიან დაფასებული, ძალიან გაუჭირდებათ დავალებული საქმის პირნათლად შესრულება. ყოველი ჯარისკაცი დაღუპული მეგობრის ადგილზე წარმოიდგენს თავს და თავისი ვალის პირნათლად მოხდის ნაცვლად, საკუთარი ტყავის გადარჩენაზე იფიქრებს.

მეომარი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ უბედურების შემთხვევაში ოჯახი უპატრონოდ არ დარჩება და მათ ერი და ბერი მიხედავენ.

*გიორგი ყორყოლიანი*



სამწუხაროდ დაღუპულ ქართველთაგან მხოლოდ ერთ-ერთის, დავით ცეცხლაძის შესახებ შევძელით მწირი ინფორმაციის მოპოვება. მისი უცხოელი მეგობარი ამერიკელი ოფიცერი ბილ რული არ უფრთხის ცეცხლაძეზე ლაპარაკს. მას გული სწყდება, რომ იმ მომენტში ავღანეთში დათოს გვერდით არ იყო.

— ავღანეთში მეც ვიყავი. იქ მხოლოდ ბრძოლისთვის არ ვართ. ხალხს ვეხმარებით. დათო სიხარულით დათანხმდა ამ ოპერაციებში მონაწილეობას.

მე იმან ამაღელვა, რომ მასთან ერთად ვერ წავედი საომრად. გჯეროდეთ, რომ თალიბები ვერასოდეს დაამარცხებენ აშშ-ს და კოალიციის ძალებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თალიბები კარგი მებრძოლები არიან. იცნობენ ამ მიწას და იციან, როგორ იბრძოლონ. დანაკარგიც ამიტომ გვაქვს.

2009 წლის მთელი შემოდგომა ვმუშაობდი დათოსან ერთად, ვიყავი ლოჯისტიკის უფროსი, დახმარებას ვუწევდი კრწანისის საწვრთნელი ბაზის ყოველდღიურ ოპერაციებს. ეს სიახლე იყო და მე დაბნეული ვიყავი, ვისთვის უნდა მიმემართა ლოჯისტიკური დახმარების თაობაზე. ძალიან მალე მივხვდი, რომ დათო იყო ერთადერთი პიროვნება, ვისი იმედიც შეიძლებოდა მქონოდა ყველაფერში.

დათო შთაგონების ძალით აღსავსე ლიდერი და ჯარისკაცი იყო, რომლის ყველა საქციელი ეძღვნებოდა მის სამშობლოსა და ოჯახს, ეს ნათლად ჩანდა ყველა მის მოქმედებაში.

მას ყოველთვის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და მუდამ სწყუროდა სწავლა, ამავე დროს ძალიან სურდა ესწავლებინა ჩემთვის ქართული ცხოვრების წესი. დათო აღფრთოვანებული იყო, რომ შესაძლებლობა ჰქონდა ემსახურა ამ ქვეყნისთვის და ებრძოლა ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად ავღანეთში...

*ეკა ლომიძე*

# საქართველოს საგარეო დაზვერვა
# მითი და რეალობა

(გაგრძელება)

1987 წელს თბილისში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში" დაიბეჭდა ოთხასგვერდიანი წიგნი „ფარი — საიმედო, მახვილი — ბასრი" (საქართველოს ჩეკისტები დიდი ოქტომბრის მონაპოვრის სადარაჯოზე). წიგნის შემდგენელია ი. ბენი, ხოლო საერთო რედაქცია თავად საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის გმირს, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურს ეკუთვნის. წიგნში ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ვკითხულობთ: „1925 წელს ამხ. ტ. ლორთქიფანიძე სამუშაოდ არის საზღვარგარეთ, პარიზში, ამიერკავკასიის ემიგრაციის ცენტრში დავალებით, რათა მიაღწიოს ქართული ემიგრაციის დაშლას. დავალება შესრულდა. საზღვარგარეთ ამხ. ტ. ლორთქიფანიძის მუშაობის შედეგად მენშევიკების შესახებ მოპოვებულ იქნა უზარმაზარი და მეტად ძვირფასი მასალა. 1927 წელს საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ამხ. ტ. ლორთქიფანიძე განაგრძობს მუშაობას ამიერკავკასიისა და საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს საიდუმლო პოლიტიკურ განყოფილებაში. მისი მუშაობის დროს მენშევიკური ორგანიზაციები განადგურდა მთელ საქართველოში. მენშევიზმის ციტადელში — გურიაში დააპატიმრეს გურიის კომიტეტის მთელი შემადგენლობა, მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე შემადგენლობა და მათი საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულნი. ჩატარებული ჩეკისტური საქმიანობისთვის 1925 წელს ამხ. ტ. ლორთქიფანიძე დააჯილდოეს „საპატიო ჩეკისტის" ნიშნით, ხოლო 1929 წელს — წითელი დროშის საკავშირო ორდენით" (გვ. 102). როგორც ვიცით, 1925-1927 წლებში, პარიზში, სტალინის დავალებით სპეციალურად მივლინებულმა „ჩეკისტმა" ლორთქიფანიძე-„ცაგარელმა" დავალება ვერ შეასრულა და ნოე რამიშვილის „მორჯულება" ვერ შეძლო. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთმა ლიდერმა უარი თქვა სტალინის მოთხოვნაზე — შეეწყვიტა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. ამით რამიშვილმა არჩევნის საშუალება აღარ დაუტოვა სტალინს, რის შემდეგაც საბჭოთა დიქტატორს მხოლოდ ერთადერთი გზა დარჩა — ნოე რამიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია, რაც ქართული ემიგრაციისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა. ბოლშევიკების ტრუბადურს, პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის რომ დავესესხოთ: „Ваше слово, товарищ маузер"! (Левый марш, 1918) და საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელებს დაავალეს ნოე რამიშვილის მკვლელობა. ბუნებრივია, ამ სპეცოპერაციაში ჩაერთო საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, რომელსაც 1926 წლის 12 თებერვლიდან 1931 წლის 3 დეკემბრამდე ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. ის ამიერკავკასიის ოგპეუს თავმჯდომარის მოადგილეც იყო და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ სადაზვერვო ოპერაციების ჩატარებას. ნოე რამიშვილის ლიკვიდაციის მომზადებას ლავრენტი ბერია ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა. ამ საქმეში გარდა პოლიტიკური და სამსახურებრივი მოტივებისა, პირადი ფაქტორიც თამაშობდა მნიშვნელოვან როლს.

### რატომ დააპატიმრა ნოე რამიშვილმა ლავრენტი ბერია

ლავრენტი ბერია არასდროს ივიწყებდა მტრობასა და წყენას. მიეცემოდა თუ არა საშუალება, ასმაგად უხდიდა სამაგიეროს. ნოე რამიშვილსა და ლავრენტი ბერიას შორის დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, ის ჯერ კიდევ 1919 წლიდან დაიწყო. საბჭოთა არქივებში შემორჩენილი დოკუმენტებიდან ერთი ძალზე საინტერესოა და ის ლავრენტი ბერიას ეხება. დოკუმენტი 1923 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ჩეკას თავმჯდომარის მოადგილისა და იმავდროულად საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსის, 24 წლის ლავრენტი ბერიას ხელით დაწერილი ავტობიოგრაფიაა. „აზერბაიჯანში აპრილის გადატრიალების პირველივე დღეებიდან კომპარტიის (ბოლშევიკების) სამხარეო კომიტეტის და მე-11 არმიის სარეგისტრო დანაყოფის (ბოლშევიკების სამხედრო დაზვერვის ერთ-ერთი დანაყოფის დასახელებაა. — ბ.ა.) მიერ არალეგალური მუშაობისთვის მივლინებული ვარ საქართველოში. ტიფლისში ვუკავშირდები სამხარეო კომიტეტს ამხ. ამაიაკ ნაზარეთიანის სახით, საქართვე-



საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ლავრენტი ბერია

ლოსა და სომხეთში ვქმნი რეზიდენტურების ქსელს, ვამყარებ კავშირს საქართველოს არმიის შტაბთან, რეგულარულად ვგზავნი კურიერებს ბაქოში. ტიფლისში საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მაპატიმრებენ, მაგრამ გიორგი სტურუასა და ნოე ჟორდანიას მოლაპარაკების თანახმად მათავისუფლებენ იმ პირობით, რომ სამი დღის ვადაში დავტოვო საქართველო. თუმცა მე შევძელი ლაკერბაიას ფსევდონიმით დავრჩენილიყავი და სამსახური დამეწყო რსფსრ წარმომადგენლობაში ამხანაგ კიროვთან. 1920 წლის მაისში გავემგზავრე ბაქოში სარეგისტრაციო დანაყოფში, დირექტივების მისაღებად. უკან დაბრუნებისას ნოე რამიშვილის დეპეშის საფუძველზე დამაპატიმრეს და ამხანაგ კიროვის მონდომების მიუხედავად, გამგზავნეს ქუთაისის ციხეში. 1920 წლის ივნის-ივლისი ციხეში ვიმყოფებოდი და მხოლოდ ოთხ დღენახევრის შიმშილობის შემდეგ ეტაპით გამასახლეს აზერბაიჯანში". მაშინდელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი ძალზე მკაცრად და რაც მთავარია, კანონიერად აღკვეთდა ბოლშევიკების მიერ სამხედრო აჯანყების მოწყობის მცდელობას. ერთ-ერთი „დაზარალებული" აღმოჩნდა ლავრენტი ბერიაც, რომელსაც ეს არ დავიწყებია და 1927 წლიდან, მიეცა თუ არა საშუალება, შეუდგა ნოე რამიშვილისთვის სამაგიეროს გადახდის დაგეგმვას.



საბჭოთა ხალხის ბელადი სტალინი დემონსტრანტებს მიესალმება

## საბჭოთა დაზვერვის სპეცოპერაციების შენიღბვა

პიროვნული, ეთნიკური თუ რელიგიური შურისძიებით შენიღბული პოლიტიკური მკვლელობები საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე ოგპეუ-ჩეკა-კა-გე-ბე საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა. საინტერესოა, რომ მკვლელი ხშირად ფსიქიკურად დაავადებული იყო ან შემდგომ ხდებოდა ფსიქიატრიული დაწესებულების ბინადარი და იქ ამთავრებდა სიცოცხლეს.

1926 წლის 25 მაისს პარიზში საბჭოთა დაზვერვის აგენტებისგან ფსიქოლოგიურად „დამუშავებულმა" სამუელ შვარცბარდმა რევოლვერის რამდენიმე გასროლით მოკლა უკრაინის ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე სიმონ პეტლიურა. ოგპეუმ მაშინვე გავრცელა დეზინფორმაცია, რომ ამ მკვლელობას პიროვნულ-ეთნიკური შურისძიების და არა პოლიტიკური მოტივები ჰქონდა. ვითომდა სიმონ პეტლიურა უკრაინის დამოუკიდებლობის წლებში სასტიკად უსწორდებოდა ებრაელ მოსახლეობას და შვარცბარდმაც ამიტომ გადაუხადა სამაგიერო.

1932 წლის 6 მაისს რუსმა ემიგრანტმა პავლე გორგულოვმა პარიზში მოკლა საფრანგეთის 75 წლის პრეზიდენტი პოლ დიუმერი. ერთ-ერთი ვერსიით, ფსიქიკურად დაავადებული მკვლელი საბჭოთა დაზვერვის აგენტებმა წააქეზეს. კრემლს სურდა ამ ტერაქტის გამო საფრანგეთის ხელისუფლებას თეთრი ემიგრანტები ქვეყნიდან გაეძევებინა.

შვეიცარიის ფსიქიატრიულ კლინიკაში 1952 წელს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ემიგრანტი შალვა ქარუმიძეც.

ჯერჯერობით დაუზუსტებელი ინფორმაციით, მას კავშირი ჰქონდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან, რომელთა დავალებითაც დაატრიალა ე.წ. „ყალბი ჩერვონეცების" საქმე, შეაცდინა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი კომპრომეტირება მოახდინა. ამის დასამტკიცებლად ეყრდნობიან ნოე რამიშვილის მიერ 1927 წელს საქართველოში გაგზავნილ წერილს, თუმცა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოს ჩეკა-ოგპეუ სრულად აკონტროლებდა საქართველოში დარჩენილ და ვითომდა არალეგალურად მოქმედ ოპოზიციურ პარტიებს და გაყალბებული წერილებით დეზინფორმაციას ავრცელებდა. ამის მაგალითია 1927 წლის ზაფხულში მომხდარი ფაქტი, როდესაც ოგპეუმ მენშევიკთა ერთ-ერთი არალეგალური ჯგუფის დაპატიმრების დროს ვითომდა ხელში ჩაიგდო პარიზიდან საქართველოში გამოგზავნილი ნოე რამიშვილის საიდუმლო წერილი თანაპარტიელებისადმი, სადაც სპირიდონ კედია, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, მიხეილ წერეთელი და გენერალი გიორგი კვინიტაძე ფაშისტური ჯგუფის წევრებად, ხოლო ალექსანდრე ასათიანი და ლეო კერესელიძე ბოლშევიკთა აგენტებად იყვნენ მოხსენიებული. მიუხედავად იმისა, რომ ნ. რამიშვილმა დაუყოვნებლივ უარყო წერილის ავტორობა, დეზინფორმაციამ მიზანს მაინც მიაღწია.

ჩვენი აზრით, შალვა ქარუმიძის შემთხვევასაც ამგვარი საფუძველი უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, მისი აგენტობის დამადასტურებელი არგუმენტირებული დოკუმენტი უცნობია.

რევაზ გაბაშვილი თავის სკანდალურ მემუარებში შალვა ქარუმიძის შესახებ წერს: „ღმუოდა ოთხფეხზედ დამდგარი თურმე, შვეიცარიის საავადმყოფოში (ასე მიამბო მიშა კედიამ)".

## ვინ იყო ნოე რამიშვილის მკვლელი?

„არსენალის" წინა ნომერში ვწერდით, რომ უცხოურ და რუსულ-საბჭოთა წყაროებში (რაიმონ მონტეფიორე, ვ. ბილინინი, ა. ზდანოვიჩი და ვ. კოროტაევი) ნოე რამიშვილის მკვლელი ქართველი ემიგრანტი ჭანუყვაძე საბჭოთა სპეცსამსახურის აგენტად არის მოხსენიებული.

საბჭოთა და რუსეთის სპეცსამსახურების ვეტერანებმა ა. შავაევმა და ს. ლეკარევმა 2003 წელს მოსკოვში გამოსცეს საინტერესო ნაშრომი „დაზვერვა და კონტრდაზვერვა", რომელსაც დართული აქვს მეოცე საუკუნის მნიშვნელოვანი სადაზვერვო ოპერაციების

ჩატარების თარიღების ჩამონათვალი. ავტორები 1930 წლის პერიოდზე წერენ:

„20 ივლისს (ეს აშკარა შეცდომაა, რადგანაც მკვლელობა 30 დეკემბერს მოხდა. — ბ.ა.) პარიზში ОГПУ ИНО ბოლშევიკებმა მოკლეს ნოე (პეტერ) რამიშვილი, საქართველოს მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც საქართველოს რუსეთიდან გამოსვლას მოითხოვდა“.

ნოე ჟორდანიას ვაჟი რეჯებ ჟორდანია მოგონებებში („გავიზარდე ლევილში“, თბილისი, 2004 წ.) წერს: „ნოე რამიშვილი კა-გე-ბე-ს აგენტის ხელით დაიღუპა“ (166 გვ.).

ავტორთა კოლექტივის (მ. ვაჩნაძე, ვ. გურული და მ. ბახტაძე) მიერ შედგენილ „საქართველოს ისტორიაში“ კი ვკითხულობთ, რომ: „1930 წელს საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ნოე რამიშვილი“.

„რამიშვილი მოკლა პარიზში ქართველმა ემიგრანტმა, ბოლშევიკების დავალებით, — აღნიშნულია ქართულ ვიკიპედიაში, — ჭანუყვაძე — ტერორისტი, 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში სიცოცხლეს გამოასალმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი“. ამგვარადვეა მითითებული 2007 წელს თბილისში გამოცემულ სპირიდონ კედიას პირადი არქივის შენიშვნებსა და კომენტარებში.

სამწუხაროდ, ჭანუყვაძის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით, რომ პარიზის სასამართლომ მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ქართულენოვანი ემიგრანტული გაზეთები (კერძოდ კი „ჩვენი დროშა“) იტყობინებოდნენ, რომ გასამართლების შემდეგ ჭანუყვაძემ ციხიდან მონანიების წერილი გამოგზავნა და გმობდა მათ, ვინც ეს მკვლელობა ჩაადენინა. მათივე ინფორმაციით, ჭანუყვაძე ციხეში ფსიქიკურად დაავადდა და გარდაიცვალა.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ შალვა ქარუმიძის სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს კი კავშირი არა აქვს სამუელ შვარცბარდის, პავლე გორგულოვის თუ ჭანუყვაძის შემთხვევებთან.

*ბესიკ ალადაშვილი*

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# „აკვარიუმის“ ზვიგენი ზღვაში დაიხრჩო?



საბჭოთა სამხედრო მზვერავი ვიქტორ სუვოროვი (ნამდვილი გვარია რეზუნი) გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დიდ ბრიტანეთში გაიქცა და მალე მთავარი სადაზვერვო სამმართველოს შესახებ ძალზე საინტერესო წიგნი, სახელწოდებით „აკვარიუმი“ გამოსცა. მას შემდეგ საბჭოთა სამხედრო დაზვერვას ხშირად „აკვარიუმას“ უწოდებენ.

მკითხველს შევახსენებთ, რას წარმოადგენს რუსეთის სამხედრო დაზვერვის ფლაგმანი — მთავარი სადაზვერვო სამმართველო (იგივე გეერუ), რომელიც უკვე 80 წელია შიშის ზარს სცემს მსოფლიოს.

მთავარი სადაზვერვო სამმართველო სხვა ქვეყნების ანალოგიური სპეცსამსახურებისაგან მართლაც ბევრი კომპონენტით (აქ დადებითიც იგულისხმება და უარყოფითიც) იყო და არის გამორჩეული.

ისრაელის სამხედრო დაზვერვა „ამანისგან“ განსხვავებით რუსეთის (ადრე საბჭოთა) მთავარი სადაზვერვო სამმართველო არასდროს განიცდიდა დაფინანსების ნაკლებობას და კომუნისტური ხელისუფლება სამხედრო დაზვერვისთვის მატერიალურ, საკადრო და ფინანსურ რესურსებს არ იშურებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მუშაობის ეფექტიანობისა და მისი საბოლოო სადაზვერვო პროდუქტის ხარისხი ბევრად ჩამორჩებოდა გაწეულ დანახარჯს.

აშშ-ისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების სამხედრო დაზვერვებისგან განსხვავებით კი მთავარი სადაზვერვო სამმართველო არასდროს იყო საშინაო თუ საერთაშორისო ნორმებისა და კანონების მორჩილი სპეცსამსახური. მისი მთავარი დევიზი იყო და არის: „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

კა-გე-ბეს მარცხს მიჩვეული რუსეთის ხელისუფლება „დაუმარცხებელი“ და „შეუდარებელი“ სამხედრო დაზვერვის ბოლოდროინდელ წაბორძიკებებს ძალზე მწარედ აღიქვამს. ათწლეულების განმავლობაში იქმნებოდა ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვის უძლეველობის მითი. იმპერიული აზროვნების რუსი პოლიტიკოსები არც ამჟამად მალავენ ამ საეჭვო სიამაყეს.

ალბათ, ყველას გვახსოვს 2006 წლის სექტემბრის ბოლოს ელვისუსწრაფესად დაწყებული მზვერავების სკანდალი, — საქართველოში რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოთხი ოფიცრისა და რამდენიმე მათი ადგილობრივი აგენტურის ნაწილის დაკავებამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაძაბა. ყველა სუვერენულ ქვეყანას აქვს უფლება დაიცვას ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოება. რუსეთის ხელისუფლებას კი რატომღაც მიაჩნია, რომ მათმა სპეცსამსახურებმა და აგენტურამ ძალზე აგრესიულად და რაც ყველაზე გასაკვირია, დაუსჯელად უნდა იმოქმედოს საქართველოში. სხვა საკითხია, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცრების დაკავების, მტკიცებულებების ამოღებისა და საზოგადოების ინფორმირების პროცესები და პროცედურები ნამდვილად არაპროფესიონალურად და არადამაჯერებლად ჩაატარეს საქართველოს სპეცსამსახურებმა.

გასულ წლებში რუსეთის სამხედრო დაზვერვის სპეცრაზმი უშუალოდ მონაწილეობდა გროზნოს, დაღესტნისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციებში, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი 2000-2006 წლებში გენერალ-მაიორი იური ივანოვი იყო. ის 2010 წლის 28 აგვისტოს დაკრძალეს მოსკოვში.

ადამიანი უკვდავი არ არის, მაგრამ, როდესაც 52 წლის ჯან-ღონით სავსე კაცი ზღვაში იხრჩობა და თანაც ის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახურის ხელმძღვანელია, დაეჭვების საბაბი ყოველთვის იქნება.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსის მოადგილე იური ივანოვის გარდაცვალებამ საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ეჭვს აძლიერებს გარდაცვალების ოფიციალური ვერსიაც, კერძოდ, სიკვდილის ადგილი — რუსეთის სამხედრო დაზვერვის უფროსის მოადგილე იური ივანოვი სირიაში ისვენებდა და ზღვაში ბანაობისას დაიხრჩო. მსოფლიოს ეს რეგიონი მრავალი ქვეყნის (აშშ, ირანი, თურქეთი, ისრაელი და სხვ.) გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების ადგილია და გასაკვირია, რაღა მაინცდამაინც იქ მოუნდა გენერალ ივანოვს შვებულების გატარება და ზღვაში ჭყუმპალაობა? ვერ დაეტია მშობლიურ „სუპერკურორტ" სოჭში? ან ზესაიდუმლო ინფორმაციის მცოდნე პირი პირადი დაცვის გარეშე დასეირნობდა?

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ როდესაც მსოფლიოს მასმედია გენერალ ივანოვის გარდაცვალების სხვადასხვა ვერსიას განიხილავდა, ოფიციალური მოსკოვი მოჩვენებითი სიმშვიდით ცდილობდა ეს არაორდინარული შემთხვევა მხოლოდ აგვისტოს სიცხითა და ივანოვის გადაჭარბებული თავდაჯერებულობით აეხსნა. პროფესიონალი მზვერავებიც კი, რომლებიც ცურვისას საკუთარ შესაძლებლობებს ზედმეტად შეაფასებენ, იღუპებიან აგვისტოს ასეთ სიცხეშიო, — ამგვარი უსუსური არგუმენტით ცდილობს რუსეთის ხელისუფლება თავის დაძვრენას.

## ვინ იყო გენერალი ივანოვი?

**მცირე დოსიე:** იური ივანოვი 1957 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა სარატოვის ოლქში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ, ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის შეიარაღებულ ძალებშია. 1997 წელს მონაწილეობდა ტაჯიკეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში.

იური ივანოვმა 2000 წელს დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია და 2000-2006 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო დაზვერვის უფროსი იყო. ამიტომაც მას პირდაპირი კავშირი ჰქონდა საქართველოში სადაზვერვო ოპერაციების დაგეგმვასთან როგორც პანკისში, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

ეტყობა, ივანოვმა კარგად შეასრულა ვლადიმერ პუტინის დავალებები, რისთვისაც ის სწრაფად დააწინაურეს და 2006 წლიდან გარდაცვალებამდე ჯერ მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი უფროსის ვალენტინ კარაბელნიკოვის, ხოლო 2009 წლის მარტიდან ალექსანდრ შლიახტუროვის მოადგილე იყო.

## რუსი გენერლის სიკვდილის საიდუმლო – მოკვდა თუ მოკლეს?

ერთი ვერსიით, იური ივანოვი უკანასკნელად 2 აგვისტოს ნახეს სირიის ქალაქ ტარტუსში მშენებარე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში. სხვა ინფორმაციით კი ის 6 აგვისტოს სირიის საპორტო ქალაქ ლატაკიაში მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზიდან გაუჩინარდა.

13 აგვისტოს თურქეთის გაზეთებში დაიბეჭდა ინფორმაცია ივანოვის გარდაცვალების შესახებ. კერძოდ, ნათქვამი



ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი

იყო, რომ ხმელთაშუა ზღვის თურქეთის სანაპიროსთან, კერძოდ, პატარა ქალაქ ჩეელიკთან იპოვეს რუსი დიპლომატის იური ივანოვის გვამი, რომელიც დიპლომატიური პასპორტით, როგორც ტურისტი, ისვენებდა ლატაკიაში (სირია) და ზღვაში ბანაობისას დაიხრჩო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, 17 აგვისტოს დაადასტურა ეს ფაქტი.

დღეს იური ივანოვის ზღვაში დახრჩობა არც ერთ ექსპერტს არ სჯერა, რადგან რუსეთის ხელისუფლება ყოველ ჯერზე ურთიერთსაწინააღმდეგო და საეჭვო ინფორმაციას ავრცელებს და ცდილობს მაღალი რანგის სამხედრო მზვერავის გარდაცვალება ტრაგიკულ შემთხვევად გაასაღოს. სირიაში რუსეთის საკონსულოს განცხადებით, დიპლომატი ივანოვი, რომელიც თურქეთის საზღვართან მდებარე ქალაქ ლატაკიაში ისვენებდა, საცურაოდ წასულა და ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში გაუჩინარდა. სირიაში მას თურმე გულმოდგინედ ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. სირიის პოლიცია ვარაუდობდა, რომ რუსი დიპლომატი ზღვაში დაიხრჩო და შესაძლოა, თურქეთის სანაპიროსთან გამოერიყა წყალს. მართლაც რუსი გენერლის ცხედარი ქალაქ ჩეელიკთან, ანუ ლატაკიიდან თითქმის ასი კილომეტრის დაშორებით იპოვეს. თურქეთის პროვინცია ადანის სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტში ჩატარდა ივანოვის ამოცნობა და გაიკვეთა ცხედარი, შემდეგ კი მოსკოვში გადაასვენეს და 28 აგვისტოს ზარ-ზეიმით დაკრძალეს. ამის შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებულმა გაზეთებმა გენერალ ივანოვის ტრაგიკული დაღუპვის ვერსიის გამყარება გადაწყვიტეს და ახალ-ახალი დეტალები (უფრო სწორად, ერთმანეთში არეული ტყუილ-მართალი) გამოამზეურეს. კერძოდ კი თურმე იური ივანოვი წყალქვეშ ცურვის დიდი მოყვარული ყოფილა და

გენერალ-მაიორი იური ივანოვი



ეროვნული ბიბლიოთეკა




სირიის ქალაქ ლატაკიაში (სხვათა შორის, ეს ქალაქი სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის საზაფხულო რეზიდენციაა) შესაბამისი მოწყობილობა (აკვალანგი, ლასტები და ა.შ) უშოვია(?!) და ზღვაში შეუცურავს. ამ ინფორმაციის გავრცელებით რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, დაამკვიდროს აზრი, რომ ივანოვი გულის შეტევით გარდაიცვალა ან მთვრალი შევიდა საცურაოდ და ამის გამო დაიღუპა. გარდა ამისა, რუსეთის ოფიციალურმა მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობას დადასტურებულად მიაჩნია გენერალ ივანოვის ტრაგიკული დაღუპვის ვერსია და შიდასამსახურებრივ მოკვლევას არ ჩაატარებს. ვითომ ასე ნათელია ყველაფერი? თანაც მაშინ, როცა აშკარად დარღვეულია რუსეთში მოქმედი სახელმწიფო საიდუმლოების მქონე პირის საზღვარგარეთ გამგზავრების ინსტრუქცია, ასევე სპეცსამსახურის მაღალჩინოსნის დაცვის გარეშე საელჩოდან გასვლის წესი.

## რუსი გენერლის გარდაცვალების ვერსიები:

**1. „მოსადის“ კვალი?**

ცნობილია, რომ ისრაელი შეშფოთებულია რუსეთის მიერ სირიისთვის სამხედრო შეიარაღების გადაცემით. ამიტომ ივანოვის გარდაცვალების ერთ-ერთ ვერსიად ისრაელის დაზვერვა „მოსადის“ სპეცოპერაციაა მიჩნეული. ბუნებრივია, გაუჭირდებოდა რუსი გენერლის ლიკვიდაცია. ამ ვერსიას ამყარებს ის ფაქტიც, რომ 2008 წლის აგვისტოში სირიის ქალაქ ტარტუსში (ანუ იმ ქალაქში, სადაც ვითომდა საინსპექციო მივლინებით იმყოფებოდა გენერალი ივანოვი) საკუთარ აგარაკზე მოკლეს სირიის სამხედრო დაზვერვის უფროსი, ბრიგადის გენერალი მუჰამედ სულეიმანი. ამ სპეცოპერაციაში „მოსადის“ ხელწერა ეჭვს არ იწვევს. თუმცა პარალელის გავლება ორი სამხედრო დაზვერვის გენერლის გარდაცვალებას შორის ნაკლებად სარწმუნოა. ისრაელის ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ რუსეთის სპეცსამსახურების წინააღმდეგ ამგვარი აქციები საპასუხო რეაქციას გამოიწვევს და ორი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის დაუნდობელი ომი გაჩაღდება.

გენერალ ივანოვის საეჭვო სიკვდილში უნდა გამოვრიცხოთ სირიის სპეცსამსახურების კვალიც, რადგან სირია რუსეთის ერთ-ერთი პოლიტიკური მოკავშირე და შეიარაღების მიმწოდებელია.

**2. იანდარბიევის აჩრდილი?**

ასევე სერიოზულად განიხილება ის ვერსია, რომ რუსი სამხედრო მზვერავის ლიკვიდაცია ჩეჩენი ბოევიკების შურისძიება იყო. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 2000-2006 წლებში იური ივანოვი დაუნდობლად ებრძოდა მათ. ვარაუდობენ, რომ სწორედ მისი დაგეგმილი და ორგანიზებული იყო 2004 წლის 13 სექტემბერს ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევის ლიკვიდაცია კატარის დედაქალაქ დოჰაში. თუმცა, ჩვენი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩეჩენ მებრძოლებში დღეს არსებული ურთიერთდაპირისპირების გამო ისინი სირიაში მისწვდომოდნენ ივანოვს, თანაც რუსი გენერლის ლიკვიდაციის დღესვე განაცხადებდნენ ამის შესახებ.

**3. იარაღით არალეგალური ვაჭრობა**

უკვე კარგა ხანია ტაილანდში დაკავებულია რუსეთის მოქალაქე „ბიზნესმენი“ ვიქტორ ბუტი, რომელსაც ბრალად ედება ტერორისტული და სეპარატისტული დაჯგუფებებისთვის რუსული იარაღის მიყიდვა. აშშ-ის სპეცსამსახურები დაჟინებით ითხოვენ ვიქტორ ბუტის, როგორც საერთაშორისო დამნაშავის, ამერიკაში ექსტრადიციას. რუსეთი კი ამის სასტიკი წინააღმდეგია, რადგანაც „სიკვდილით მოვაჭრემ“ (როგორც ვიქტორ ბუტს მსოფლიოში შეარქვეს) ძალზე ბევრი საიდუმლო იცის.

ვინც რუსული იარაღით ვაჭრობის სპეციფიკა იცის, მათთვის ნათელია, რომ გადაწყვეტილებები მხოლოდ კრემლის უმაღლეს ეშელონებში მიიღება და ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული მთავარი სადაზვერვო სამმართველო, რომელიც არჩევს იმ ტერორისტულ და სეპარატისტულ დაჯგუფებებს, ვისთვისაც იარაღის მიყიდვა და ვითარების დაძაბვა რუსეთის ინტერესებშია.

ამიტომაც ივანოვ-ბუტის სამსახურებრივი კავშირი ეჭვს არ იწვევს. გენერალ ივანოვის „დახრჩობა“ ზუსტად დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ბუტის ამერიკაში ექსტრადიცია ფაქტობრივად გადაწყდა, მერე კი კაცმა არ იცის, რა საიდუმლოებებს გაამხელს ვიქტორ ბუტი.

**4. ხომ არ შეეწირა ივანოვი პუტინ-მედვედევის დაპირისპირებას?**

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ხომ არ შეეწირა მთავარი სადაზვერვო სამმართველოს გენერალი რუსეთის დიდკაცთა ტანდემის დაპირისპირებას 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამო? ბოლო დროს პუტინ-მედვედევს შორის შავმა კატამ გაირბინა და ორივე ცდილობს საკუთარ კონტროლქვეშ მოაქციოს საარჩევნო რესურსები. რუსეთის სამხედრო დაზვერვა კი ის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურაა, რომელსაც ბევრის გაკეთება (და გაფუჭებაც) შეუძლია.

გენერალი ივანოვი იყო ერთ-ერთი, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულ სპეცოპერაციებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის სამხედრო დაზვერვის მოქმედების არეალმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია მოიცვა. მისი მთავარი ამოცანა დამოუკიდებლობის მსურველი რესპუბლიკების მორჯულება გახდა. მთავარი სადაზვერვო სამმართველო უწყობდა ხელს ყარაბაღის ომის ესკალაციასა და აზერბაიჯან-სომხეთს შორის მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას. დადასტურებული ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიაში იმ პერიოდში მომხდარი ყველა სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი სამხედრო დაზვერვა იყო. აზერბაიჯანში ელჩიბეის ეროვნული ხელისუფლების ალიევით, ხოლო საქართველოში გამსახურდიას შევარდნაძით ჩანაცვლებას რუსეთის სპეცსამსახურები, უპირველესად კი მთავარი სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობდა.

კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სამოქალაქო ომი საქართველოში მათივე პროვოცირებულია. საქართველოში ჩასატარებელ საბრძოლო და სადაზვერვო-დივერსიულ ოპერციებსაც ისინი გეგმავენ.

# სადესანტო ოპერაციები საქართველოს სანაპიროზე



ქართული ფლოტის ერთ-ერთი მცურავი საშუალება

XX საუკუნეში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს ყველაზე მეტი წინააღმდეგობა აფხაზთა მხრიდან შეხვდა.

სეპარატისტულ ძალებთან ბრძოლამ სამხედრო ფლოტის აუცილებლობა წარმოშვა და ერთ-ერთი პირველი საზღვაო მოქმედებები ჯერ კიდევ 1918 წელს აფხაზეთის სანაპიროზე სადესანტო ოპერაციებს უკავშირდება.

1918-21 წლებში საქართველოს რესპუბლიკას სამხედრო-საზღვო ფლოტი, როგორც შეიარაღებული ძალების ცალკე სახეობა, არ ჰყავდა. მცირერიცხოვანი სამხედრო დანიშნულების მცურავი საშუალებები ფოთის პორტის უფროსის დაქვემდებარებაში იყო.

სამხედრო სამინისტროს მოთხოვნისთანავე პორტი ვალდებული იყო, გამოეყო მისი კუთვნილი საბრძოლო ერთეულები. საჭიროების შემთხვევაში სამხედროებს დამატებით ფოთის პორტის სამმართველოს, საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებისა თუ კერძო კომპანიების გემები და კატარღები ეხმარებოდა.

1918 წლის მაისში, როცა აფხაზეთში დესანტის გადასხმის საჭიროება გაჩნდა, პორტის ხელმძღვანელობამ სამხედროებს დამატებით მცურავი საშუალებები გამოუყო.

ფოთის პორტის სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი ზოგიერთი კატარღის შესახებ მწირი ტექნიკურ მონაცემთა მოპოვება მოხერხდა.

**კატარღა „რუმინი“ (მოგვიანებით „ტიფლისი“) — ჰქონდა 40-ცხ.ძალიანი ძრავა;**

**კატარღა „ჩაიკა“ (მოგვიანებით „ამირანი“): წყალწყვა 25 ტონა, ჰქონდა ორი 23-ცხ.ძალიანი ძრავა, ეკიპაჟი 6 კაცი;**

**კატარღა „თამარა“ (ყოფილი „ვასილი ველიკი“): ჰქონდა 40-ცხ.ძალიანი ძრავა;**

**კატარღა „ფაზისი“ (ყოფილი „ჰიდროგრაფი“): წყალწყვა 75 ტონა, სიგრძე 16,7 მეტრი, ეკიპაჟი 9 კაცი;**

1918 წლის მაისი. ქართველი გვარდიელები აფხაზეთის სანაპიროზე



დესანტირება სახალხო გვარდიას ჰქონდა დავალებული. მისი სარდალი ვალიკო ჯუღელი წერს: „7 მაისს პატარა კატარღა „რუმინით“ ოჩამჩირეში დაზვერვაზე მივდივართ. ხვალ დავიწყებთ დესანტის გადმოსხმას და სოხუმელი ხულიგნების წინააღმდეგ აქტიურ ოპერაციებს დავიწყებთ. უნდა ვიმოქმედოთ გადამჭრელად“.

ფოთიდან ოჩამჩირემდე დაახლოებით 35-38 მილია და ამ მანძილს იმდროინდელი ნელმავალი მცურავი საშუალებები 5-8 საათს მოანდომებდნენ.

აფხაზთა მძაფრი წინააღმდეგობა მოსალოდნელი არ იყო, რაც ოპერაციის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა გახლდათ, თორემ გვარდიის ოფიცრებს სადესანტო ოპერაციათა ჩატარების გამოცდილება არ ჰქონდათ, ხოლო ბევრმა ჯარისკაცმა, ალბათ, ზღვა მაშინ პირველად ნახა.

ვალიკო ჯუღელი წერდა: „ჩვენი „არმადა“ ოჩამჩირეს უახლოვდება. ჩვენ მობილიზაცია გავუკეთეთ მთელ ჩვენ ფლოტს და შთამბეჭდავი სურათი მივიღეთ. ჩვენ გვიცავენ სხვადასხვა გამანადგურებლები. ჩვენი თამამი წამოწყება ბრწყინვალედ გამოგვივიდა, როცა მტერი ორივე მხრიდან გვყავს. ვრისკავდით, რომ თურქებისა და ბოლშევიკების დარტყმის ქვეშ აღმოვჩენილიყავით. მიუხედავად ამისა, ზღვით ჩვენი ძალები გადავისროლეთ“.

დესანტით დატვირთულ კატარღებსა და შხუნებს გამანადგურებლებად რამდენიმე საპატრულო კატარღა მიაცილებდა.

**გამანადგურებელი: წყალწყვა 14.5 ტონა, სიგრძე 18,29 მეტრი, 3 ბენზინის ძრავა — საერთო სიმძლავრე 525 ცხ. ძალა, სიჩქარე 24 კვანძი, ეკიპაჟი 8 კაცი, შეიარაღება: ერთი 47 მმ-იანი და ერთი 37 მმ-იანი ქვემეხი, 2 ტყვიამფრქვევი;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის 9 მაისს ოჩამჩირის სანაპიროზე დაახლოებით 300 ქვეითი ჯარისკაცი 20 ტყვიამფრქვევითა და 8 ქვემეხით გადავიდა.

იმავე პერიოდში გაგრის მახლობლად სპეციალური სადესანტო ოპერაცია მოხალისეთა არმიამ ჩაატარა.

წყალქვეშა ფრთებიანი კატარღა „კომეტა“



პატარა სადესანტო კატარღა (პროექტი 1176)



1920 წელს წითელი არმიის შეტევების შედეგად აფხაზეთში უკანდახეული დენიკინის არმიის ათასობით თეთრგვარდიელი შევიდა. მათთვის ბიჭვინთაში სპეციალური ბანაკი მოეწყო.

ბოლშევიკურ რუსეთსა და საქართველოს შორის მოქმედი შეთანხმებით დენიკინელებს ბოლშევიკების ხელში მოხვედრა ელოდა.

დენიკინის შტაბში დაიგეგმა ტყვეების გამოსახსნელი ოპერაცია და ყირიმიდან გაგრისაკენ დამხმარე კრეისერი ,,ალმაზი“, წყალქვეშა ნავი ,,უტკა“, სატრანსპორტო გემები: ,,დონი“, ,,იალტა“, ,,სარიჩი“, ,,ასკოლდი“, ,,კრიმი“ და ბუქსირი ,,დობროვოლეცი“ ბარჟასთან ერთად გაიგზავნა.

საზღვაო რაზმის მეთაურობა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შესვლას ერიდებოდა და ცდილობდა ქართველებთან კორექტული ყოფილიყო.

ხმელეთზე მოქმედი ქვედანაყოფებისათვის საცეცხლე მხარდაჭერა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იყო დასაშვები, მაგრამ ოპერაციამ განსხვავებული ხასიათი მიიღო და ამ მოთხოვნათა სრულად დაცვა არ მოხერხდა.

1920 წლის 15 ოქტომბერს, შუაღამისას, ბიჭვინთასთან სატრანსპორტო გემი ,,დონი“ გამოჩნდა.

ტყვეებისათვის პროდუქტების გადაცემის მომიზეზებითა და მცირერიცხოვან ქართველ მებადრაგეთა მოქრთამვით გათენებამდე ,,დონზე“ 1300 კაცის აყვანა შეძლეს.

გამთენიისას საქმეში გაგრის კომენდანტი პოლკოვნიკი სუმბათაშვილი ჩაერია და დატვირთვის შეწყვეტა კატეგორიულად მოითხოვა. არადა, ბანაკიდან კიდევ 5000 კაცი იყო გასაყვანი.

ორდღიანმა მოლაპარაკებამ ნაყოფი არ გამოიღო. ქართველები ტყვეთა ევაკუაციის ნებართვას არ იძლეოდნენ, ხოლო გემებზე ქვანახშირის მარაგი ილეოდა და ამინდის გაუარესება იყო მოსალოდნელი.

მაშინ ნაპირისაკენ გაიგზავნა ბარჟა, რომლის ბორტზე ფქვილის ტომრების უკან ტყვიამფრქვევი იდგა, 250 შეიარაღებული კაზაკი კი ტრიუმში დაიმალა.

17 ოქტომბერს 17 საათზე ბუქსირი ,,დობროვოლეცი“ ნაპირს ბარჟასთან ერთად მიადგა. ქართველი გუშაგების პროტესტის მიუხედავად, ნაპირზე კაზაკები გადავიდნენ, დაბნეულ ქართველებს შაშხანები წაართვეს და სროლით გაფანტეს.

სანაპიროს მახლობლად დადგა წყალქვეშა ნავი ,,უტკა“ და 75 მმ-იანი და 57 მმ-იანი ქვემეხები ნაპირისკენ მიმართა.

ქართველმა სამხედროებმა წინააღმდეგობა აღარ გასწიეს, თუ არ ჩავთვლით ჩასხდომის ადგილის მიმართულებით გაკეთებულ 6 გასროლას, რომელიც დამიზნებული არ იყო და ტყვეთა ევაკუაციას ხელი არ შეუშალა.

18 ოქტომბრის შუაღამეს ბიჭვინთის ბანაკიდან 6203 კაცისა და 36 ცხენის ევაკუაცია დასრულდა.

ბევრად უფრო მეტი დატვირთვა სადესანტო ოპერაციებმა აფხაზეთში 1992-93 წლების ომის დროს მიიღო.

განთიადთან დესანტირებული ქართველ გვარდიელთა ჯგუფი





ფოთიდან ალაფად წაღებული APEX-ი გასაბერი ნავი

კონფლიქტის დაწყებისას მდინარე ფსოუზე რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკეტვამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა და ამ ამოცანის შესრულება ისევ ეროვნულ გვარდიას დაევალა.

დესანტირებისათვის საჭირო მცურავი საშუალებები ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ ქართულ ფლოტს არ ჰყავდა და გვარდიელთა გადასაყვანად სამოქალაქო წყალქვეშა ფრთებიანი სამგზავრო თბომავალი ,,კომეტა-51"-ის დაქირავება გახდა საჭირო, ხოლო ერთი БМП-1 რუსებისაგან ნათხოვარ პატარა სადესანტო კატარღაზე დაიტვირთა.

რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის გადაკეტვისა და იქ საქართველოს დროშის აღმართვის დავალება შავნაბადას ბატალიონმა (მეთაური კობა კობალაძე) რაზმი K-9-სთან ერთად შეასრულა.

14 აგვისტოს დესანტი განთიადთან გადაისროლეს და იმავე დღის 20 საათზე რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდინარე ფსოუზე ქართული დროშა აფრიალდა.

1992-93 წლებში ჩვენმა მოწინააღმდეგემ საზღვაო დესანტი რამდენჯერმე გამოიყენა. პირველად — 1992 წლის 5 ოქტომბრის დილას რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან 10 კილომეტრით დაშორებულ ,,ხოლოდნაია რეჩკას" რაიონში, სადაც იბრაჰიმ იაგანოვის მეთაურობით ყაბარდოელთა 20-კაციანი რაზმი 3-4 ,,ვოლგასა" და ,,ნევკას" ტიპის კატარღიდან გადმოვიდა.

ბევრად მასშტაბური იყო 1993 წლის 2 ივლისს ტამიშის მახლობლად სოფელ ნაოჩთან გადასროლილი აფხაზური დესანტი.

მოწინააღმდეგემ 350-400 კაცის დესანტირებისათვის პატარა სადესანტო ხომალდი ,,გუმა" (პროექტი 106K), მიწასაწოვი გემი ,,ბზიფი", საპატრულო ,,გრიფები" და სხვა მცურავი საშუალებები გამოიყენა.

დესანტმა სოხუმი-ოჩამჩირის გზა გადაკეტა და ამით აფხაზეთის დედაქალაქის დამცველებს საფრთხე შეუქმნა.

ომის შემდგომ ქართული ქვედანაყოფები სადესანტო ოპერაციებისათვის მზადებას განაგრძობდნენ და ერთ-ერთი დიდი სწავლების დროს, 1997 წლის ოქტომბერში, ყულევში პატარა სადესანტო კატარღა №01-დან და №02-დან (პროექტი 1176) სენაკის ბრიგადის 500-მდე ჯარისკაცი გადაისროლეს.

სამწუხაროდ, დესანტირებისას ორი ჯარისკაცი დაიღუპა. ერთ-ერთის დაღუპვის მიზეზი ზღვის ნახვით გამოწვეული სტრესი აღმოჩნდა.

საქართველოს საზღვაო ძალების საზღვაო ქვეითთა ბატალიონის მცირერიცხოვანი ქვედანაყოფების დესანტირებასთან დაკავშირებულ ამოცანათა დამუშავება-სრულყოფა ერთხანს კიდევ გაგრძელდა, თუმც ამჯერად სადესანტო საშუალებებში მთავარი ადგილი სწრაფსვლიანმა რეზინის გასაბერმა ნავებმა დაიკავა.

საზღვაო ქვეითებმა რამდენიმე ათეული Apex-ისა და ,,შავი ზვიგენის" ტიპის გასაბერი რეზინის ნავი (თითოეული 10-დან 24-მდე კაცს იტევს), აგრეთვე Sea Doo-ს ტიპის ჰიდროციკლები მიიღეს.

ამ იდეის ავტორი უცნობია. გაურკვეველია რეზინის ნავების ფლოტილიით მოწინააღმდეგის დაცულ სანაპირომდე გადასვლისა და იქ დესანტირების ახლებური მიდგომის არსი.

საზღვაო ქვეითთა ბატალიონი დამრტყმელი ძალაა, რომლის ერთადერთი დანიშნულება დამხმარე ძალების მოსვლამდე მოწინააღმდეგის სანაპიროზე პლაცდარმის დაკავება-შენარჩუნებაა.

თუ დამხმარე ძალები საზღვაო ქვეითებს დროზე არ მიეშველნენ, მაშინ ის განადგურდება. სამხედრო ისტორიაში ამის ძალიან ბევრი მაგალითია.

2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის დროს ოჩამჩირეში რუსი საჰაერო მედესანტეები შავი ზღვის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდებით შემოვიდნენ და საჰაერო-სადესანტო ჯარების 45-ე პოლკის ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში მაროდიორობისთვის დაახლოებით ორ ათეულამდე გასაბერი ნავი ხელს გააყოლა.

სხვა გასაბერი რეზინის ნავები კი ახლა ბათუმის პორტში მზეში იხრუკება.

*თემურ ჩაჩანიძე*

APEX-ი გასაბერი რეზინის ნავი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების



აზერბაიჯანში აწყობილი სამხრეთაფრიკული ჯავშანავტომობილი

## აზერბაიჯანი

● მომავალ წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეიარაღებული ძალებისა და სხვა სამხედრო სტრუქტურებისათვის 2 630 169 341 მანათი, ანუ დაახლოებით 3 მილიარდ 287 მილიონი დოლარია გამოყოფილი. გარდა ამისა, თავდაცვითი მნიშვნელობის განსაკუთრებული პროექტებისათვის 1 მილიარდ 87 მილიონი მანათია დაგეგმილი. თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 855 416 839-ით, სასაზღვრო სამსახურის კი 89 306 570 მანათით, ეროვნული უშიშროების სამინისტროს — 83 303 463 მანათით, შინაგანი ჯარების — 61 157 395-ითა და ა.შ. 2011 წლის ბიუჯეტში 2010 წლის მსგავსად „პარტნიორობა მშვიდობისათვის" და „ინდივიდუალური პარტნიორობის ოპერატიული გეგმის" პროგრამებზე თანხები გათვალისწინებული არ არის. განალმვის ეროვნულ სააგენტო АНАМА-ს 7 მილიონ 400 ათასი მანათი გამოეყო.

● იაპონურმა კორპორაცია Pioneer-მა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ბაქოს ერთ-ერთ სასამართლოში უჩივლა. სარჩელში ლაპარაკია სამხედრო უწყებისათვის ელექტრონული მოწყობილობების მიწოდებაზე. მომჩივანი მხარე ამტკიცებს, რომ თავდაცვის სამინისტროს ვალი 100 ათას მანათს (125 ათასზე დოლარს) შეადგენს.

● აზერბაიჯანის ტყვეობაში მყოფმა სომხეთის მოქალაქე მანველ სარიბეკიანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მანველ სარიბეკიანი აზერბაიჯანელმა სამხედროებმა 11 სექტემბერს დააკავეს. აზერბაიჯანელები ამტკიცებდნენ, რომ დივერსიული ჯგუფის წევრი დააკავეს. სომხეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით კი სარიბეკიანი მწყემსი იყო, რომელსაც გზა აერია და სახიფათო ზონაში შემთხვევით მოხვდა.

● სამხრეთაფრიკული კომპანია Paramount Group-ი აზერბაიჯანსა და ინდოეთში საწარმოო სიმძლავრეთა განვითარებისათვის 2015 წლამდე 1 მილიარდი დოლარის ინვესტირებას გეგმავს. კომპანიის პრეზიდენტ ივორ იჩიკოვიცის თქმით, აზერბაიჯანში გაიხსნა ქარხანა, რომელიც ნაღმგამძლე ტექნიკის ორ სახეობას დაამზადებს.

● მიმდინარეობს მოლაპარაკება იორდანიის კომპანია Seabird Aviation Jordan-თან Seeker SB7L ტიპის თვითმფრინავების შეძენაზე. თვითმფრინავებს მზებნელის დანიშნულება აქვს.

● თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრომ კეიპტაუნში გამოფენა Africa Aerospace Defence – 2010-ზე ახლო ბრძოლის ეფექტური საშუალება — მოკლელულიანი 60 მმ-იანი ნაღმსატყორცნი წარადგინა.

● 23 სექტემბერს სუმგაით-ხიზის ტრასაზე ავტოკატასტროფაში აზერბაიჯანის არმიის 3 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

● 2008-10 წლებში ქალაქ ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ აზერბაიჯანს 47 ერთეული 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა 2С1 Гвоздика მიჰყიდა, რომლებმაც დანიშნულების ადგილას საქართველოს ტერიტორიის გავლით ჩააღწიეს.

## სომხეთი

● სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა თავდაცვის მინისტრის ახალ მოადგილედ დანიშნა სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ გასპარიანი, რომელიც სამართლებრივი სფეროს კურირებით იქნება დაკავებული. სამხედრო პოლიციის უფროსის მოვალეობას დროებით პოლკოვნიკი არამ ტერ-საակიანი შეასრულებს.



C-300-ის შესახებ ინფორმაციას სომხეთი საგულდაგულოდ მალავს

# მიმოხილვა...

● 11 სექტემბერს Youtube-ზე გავრცელდა კადრები, სადაც გამოსახული იყო სომხეთის არმიის ფორმიანი პირები, რომლებსაც სცემდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად გამოვლინდა მაიორი სასუნ გალსტიანი, რომელიც მთვრალ მდგომარეობაში ორ ჯარისკაცს სცემდა და დასცინოდა. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მაიორი დაკავებულია და ყარაბაღის ომში მონაწილეობის მიუხედავად, მკაცრად დაისჯება.

● თავდაცვის სამინისტრომ უარყო ოპოზიციური პრესით გავრცელებული ინფორმაცია, რომ ბრიტანულ-ამერიკული საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა სომხეთის არმიის საზენიტო-სარაკეტო C-300 და „მიწა-მიწა“ კლასის სარაკეტო კომპლექსები დაათვალიერეს.

## ჩრდილო კავკასია

● დაღესტნის ხელისუფლება რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სპეცქვედანაყოფის ფორმირებას შეუდგა, რომლის დანიშნულება „ბოევიკებთან“ ბრძოლა იქნება. ბატალიონში 750 კაცი კონტრაქტით იმსახურებს, მაგრამ მომავალში წვევამდელებით შევსებაც იგეგმება. გადაწყვეტილია 3 ბატალიონის ჩამოყალიბება. პირველი ორი სამსახურისათვის ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთში გაიგზავნება. ბატალიონები შინაგანი ჯარების ჩრდილო კავკასიის რეგიონული სარდლობის შემადგენლობასა და დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრის დაქვემდებარებაში იქნებიან.

● 1-ელ ოქტომბერს დონის როსტოვში შედგა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გამსვლელი კოლეგია, რომელიც სამხრეთის სამხედრო ოლქის ჯარების საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფასა და ძირითად მიმართულებათა განვითარებას შეეხებოდა. თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა სამხრეთის ოლქის სპეციფიკური ამოცანები გამოყო: ბრძოლა ტერორიზმთან, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საქართველოს ახალი „აგრესიის“ აღკვეთა, უკრაინაში სამხედრო-




გაგრის აღებაში დიდი როლი ჩრდილოკავკასიელმა დაქირავებულებმა ითამაშეს

საზღვაო ყოფნისა და რუსეთის საზღვრებს გარეთ საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფა.

● სამხრეთის სამხედრო ოლქის სარდლის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დაინიშნა ყოფილი ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ გალკინი.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 6 ოქტომბერს სოხუმის რეჟიმმა გაგრის აღების მე-18 წლისთავი აღნიშნა. აფხაზი ისტორიკოსის ვალიკო ფაჩულიას მტკიცებით, ქალაქის აღებაში 570 კაცი, ორი ტანკი T-55 და ამდენივე 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი მონაწილეობდა.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის, პოლკოვნიკ ვალერი იახნოვეცის თქმით, არმიის შემცირების პირველი ეტაპი უმტკივნეულოდ დასრულდა და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა 50 წლისა და მეტი ასაკის მოსამსახურეებს შეეხო. მინისტრი ე.წ. სამხრეთ ოსეთისათვის 1300-კაციან არმიას ოპტიმალურად მიიჩნევს და რუსეთის არმიის მე-4 სამხედრო ბაზასთან ერთად ამ ძალებს საკმარისად თვლის. იახნოვეცის თქმით, განიხილება მე-4 სამხედრო ბაზის შემადგენლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისაგან ცალკეული ბატალიონის ჩამოყალიბების საკითხი. ბატალიონი ჩეჩნური „ვოსტოკისა“ და „ზაპადის“ მსგავსი იქნება.

● ევროსაბჭოს ექსპერტები ბრიუს პეგისა და ნიკოლას სებირი ცხინვალის რეჟიმსა და რუსული საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლებს 2008 წლის აგვისტოს ომში დაკარგული ქართული ტანკ №406-ის ეკიპაჟის: გიორგი რომელაშვილის, ზაზა ბირთველაშვილისა და ოთარ სუხიტაშვილის ძებნის გაგრძელებას სთხოვს.



ცხინვალის ბრძოლებში მონაწილე ქართველი ტანკისტების ბედი ისევ გაურკვეველია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტრაგედიებით დასრულებული ავიაშოუები

ამა წლის 18 სექტემბერს ზემო ბავარიის ქალაქ ვარნგაუში, სადაც რარიტეტული თვითმფრინავების მონაწილეობით ავიაშოუ იმართებოდა, ჰაერში საფრენოსნო პროგრამის ფარგლებში ჯგუფური პილოტაჟის შესრულებისას ერთმანეთს ორი სპორტული თვითმფრინავი დაეჯახა. ერთ-ერთი ჩამოვარდა და მისი პილოტი დაიღუპა. მეორეს, მართალია, შეჯახების გამო ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ მფრინავმა მოახერხა მისი მიწაზე დასმა და თავადაც უვნებელი დარჩა.

ავიაშოუებმა პოპულარობა ავიაციის გავრცელებისთანავე მოიპოვეს, მაგრამ უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, ინციდენტები ავიაშოუებზე მაინც ხშირი იყო. ავიაშოუზე ჰაერში თვითმფრინავების შეჯახების გამო ყველაზე მასშტაბური შემთხვევა 1988 წლის 28 აგვისტოს მოხდა. ჰაერში სამი თვითმფრინავის შეჯახების გამო დაიღუპა 70 და დაშავდა 346 კაცი. იმ დღეს გერმანიაში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა „რამშტაინში“ მორიგი ავიაშოუ Flugtag 88 იმართებოდა. შოუზე დასასწრებად 300 ათას კაცზე მეტი შეიკრიბა. ხალხმრავლობის მიზეზი იტალიური საპილოტაჟო ჯგუფ Frecce Tricolori-ის საჩვენებელი ფრენა იყო. იმ დღეს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენება ტრაგედიით დასრულდებოდა.

ათი Aermacchi MB-339PAN-ის ტიპის თვითმფრინავისგან შემდგარი ჯგუფი საპილოტაჟო პროგრამის მთავარ ნომერს — „განგმირულ გულს“ ასრულებდა. ფიგურას ცხრა თვითმფრინავისგან შემდგარი ორი ჯგუფი ხატავდა. ერთი 5, ხოლო მეორე 4 თვითმფრინავისგან შედგებოდა. ფიგურის დახატვის წინ ჯგუფი წინასწარ იყოფა ორად და ბოლო, მეათე თვითმფრინავი ცალკე იკავებს პოზიციას. შემდგომ ორივე ჯგუფი თითქმის ვერტიკალურად ზევით იწყებს ასვლას და ერთად იწყებენ ფერადი ბოლის გაშვებას, რათა გულის კონტური მოხაზონ. შემდგომ ჯგუფები აკეთებენ მარყუჟს, რომლიდანაც გამოსვლის წერტილი ძალზე დაბლა მდებარეობს, — ის დახატული გულის ქვედა უკიდურესი წერტილია. მარყუჟიდან გამოსვლისა და დაბლა დაშვების მომენტში ორივე ჯგუფი შემხვედრ გეზზე მიფრინავს და გულის ქვედა წერტილში შემხვედრ პილოტაჟს ასრულებს. ამ დროს ისინი ისე არიან დაწყობილი, რომ ერთმანეთს არ დაეჯახონ. სანამ ძირითადი ჯგუფები გულს ხატავენ და დაბლა ეშვებიან, მეათე თვითმფრინავი სიმაღლეს იღებს და ქვემოთ, სხვა თვითმფრინავებთან მართი კუთხით ეშვება. სწორედ ეს მეათე თვითმფრინავი განასახიერებს ისარს. ფიგურის დახატვის წინ მფრინავები ფრენის ტრაექტორიებს ისე გათვლიან, რომ მეათე თვითმფრინავი ძირითადი ორი ჯგუფის გადაკვეთის მომენტში მათ თავზე, 40-50 მ სიმაღლეზე აღმოჩნდეს.

1988 წლის 28 აგვისტოს ძირითადი ჯგუფები შემხვედრ გეზზე 800 კმ/სთ სიჩქარით მიფრინავდნენ, როდესაც მეათე



2010 წლის 18 სექტემბრის კატასტროფის შედეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმფრინავის მფრინავმა ივო ნურტარელიმ შეცდომა დაუშვა, მან სიმაღლე ვერ გათვალა და მისი თვითმფრინავი 40 მ სიმაღლეზე ორ სხვა თვითმფრინავს შეეჯახა. მეათე თვითმფრინავი, რომელსაც მაშინვე ცეცხლი გაუჩნდა, ნაყინის ჯიხურთან დაეცა. იმ დღეს ძალიან ცხელოდა და ამ ადგილას ბევრი ხალხი იყო შეკრებილი, მათ შორის — ბავშვები. ერთ-ერთი თვითმფრინავი სამაშველო UH-60-ის გვერდით დაეცა და მისმა ფრაგმენტებმა შვეულმფრენში მსხდომნი დახოცა. ამ თვითმფრინავის პილოტი შეჯახებისას ცოცხალი იყო და კატაპულტირებას შეეცადა, მაგრამ მისი პარაშუტი მხოლოდ ნაწილობრივ გაიხსნა და ის მიწას დაენარცხა. მესამე თვითმფრინავი, რომელიც შეჯახებისას ჰაერშივე ნაწილებად დაიშალა, ხალხისგან მოშორებით ჩამოვარდა. დაიღუპა 70 კაცი, მათ შორის 3 პილოტი და 16 ბავშვი. დაღუპულთა უმეტესობა საავადმყოფოებში ძლიერი დამწვრობისგან გარდაიცვალა. 346 კაცი მძიმედ დაშავდა. სამედიცინო დახმარებას სულ 1000-ზე მეტმა კაცმა მიმართა.

ამ ტრაგედიის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში ავიაშოუების ჩატარება 3 წლით აიკრძალა. პილოტირების ზონასა და მაყურებლებს შორის არსებული დისტანცია 400 მ-მდე გაზარდეს და კატეგორიულად აიკრძალა მათ თავზე მანევრირება. სხვათა შორის, გერმანულმა როკჯგუფმა Rammstein-მა სახელი სწორედ ამ ბაზის პატივსაცემად დაირქვა. თავად ავიაბაზაში კი ავიაშოუები აღარასოდეს ჩატარებულა.

შემდეგი შემთხვევა, რომლის დროსაც თვითმფრინავები ერთმანეთს ჰაერში დაეჯახნენ, 1993 წლის 24 ივლისს მოხდა. იმ დღეს დიდი ბრიტანეთის ქალაქ ფეირფორდში, სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაში საერთაშორისო ავიაშოუ Air Tattoo იმართებოდა. საფრენოსნო პროგრამის ფარგლებში ჰაერში ორი რუსული МиГ-29 აიჭრა. მათ მფრინავ-გამომცდელები ალექსანდრ ბესჩასტნი და მფრინავ-გამომცდელი სერგეი ტრესვიატსკი მართავდნენ. მაქსიმალური ეფექტისთვის ისინი მანევრებს მაღალ სიჩქარეზე და დიდი გადატვირთვით ასრულებდნენ. ერთ-ერთი მანევრი საჰაერო ილეთის „მკვდარი მარყუჟის" რიგრიგობით გაკეთებას ითვალისწინებდა. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მიმყოლმა წამყვანი მფრინავი თვალთახედვიდან არ დაკარგოს. იმ ფრენის დროს წამყვანი ტრესვიატსკი იყო და ბესჩასტნი მის უკან, მარჯვენა მხარეს მიფრინავდა. წამყვანს უკვე დასრულებული ჰქონდა ფიგურის შესრულება და მარყუჟიდან გამოდიოდა, როდესაც მიმყოლმა, რომელსაც ის თვალთახედვიდან ჰყავდა დაკარგული, მარყუჟის გასაკეთებლად სიმაღლის აღებისას თავისი თვითმფრინავის მარცხენა კონსოლით ტრესვიატსკის МиГ-29-ის ფიუზელაჟი კაბინის უკან გადაჭრა.

ბესჩასტნის თვითმფრინავს, რომელმაც ინერციით გააგრძელა ზევით ასვლა, მარცხენა კონსოლის თითქმის ნახევარი მოტყდა. მფრინავი მიხვდა, რომ თვითმფრინავის მართვა შეუძლებელი იყო და კატაპულტით ისარგებლა. ტრესვიატსკის თვითმფრინავის ორივე ძრავაში ხანძარი გაჩნდა, კაბინა ფიუზელაჟზე ბეწვით იყო დამაგრებული და საბედნიეროდ მიმყოლის ფრთამ მთლიანად არ ჩამოჭრა. ცეცხლმოდებული ტრესვიატსკის თვითმფრინავი მაშინვე ბრტყელ შტოპორში ჩავარდა, მფრინავმა კი კატაპულტირება მოახდინა.

საინტერესო ის არის, რომ შეჯახებ-



ავიაშოუზე რამშტაინის ავიაბაზაში, ერთი მფრინავის მიერ დაშვებულმა შეცდომამ, 70 კაცი შეიწირა



თვითმფრინავის ჩამოგდებას ძლიერი აფეთქება ახლავს



დაღუპულთა უმეტესობის გარდაცვალების მიზეზი დამწვრობა იყო



ისა და მცირე სიმაღლეზე კატაპულტირების მიუხედავად, არც ერთი მფრინავი არ დაშავებულა. მოყვარულის ვიდეომასალამ, სადაც მიწაზე დაჯდომისთანავე ტრესვიატსკი სიგარეტით ხელში ჩანს, მთელი მსოფლიო შემოიარა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ავიაშოუს რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა, არავინ დაშავებულა ან დაღუპულა. ბესჩასტნის თვითმფრინავი აეროდრომის ტერიტორიაზე ჩამოვარდა და ბელგიის სამხედრო-საჰაერო ძალების C-130H-ის მარჯვენა სტაბილიზატორი და იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალების G222-ის ფრთა დააზიანა. მეორე თვითმფრინავი კი აეროდრომიდან 1.6 კმ-ში ჩამოვარდა.



1993 წელს დიდ ბრიტანეთში რუსული МиГ-29-ების შეჯახების მომენტი. ქვედა ფოტოებზე ტრესვიატსკის ალმოდებული და შუაზე გადაჭრილი თვითმფრინავი მიწაზე ვარდება

2001 წლის 10 ივნისს პეტერბურგის მახლობლად ლევაშოვოს ავიაბაზაში მიმდინარე ავიაშოუზე ჰაერში ერთმანეთს რუსული საპილოტაჟო ჯგუფ Русь-ის ორი თვითმფრინავი დაეჯახა. ჯგუფი L-39-ის ტიპის სასწავლო რეაქტიულ თვითმფრინავებზე დაფრინავს. სადემონსტრაციო ფრენას ჯგუფი შვიდი თვითმფრინავით ასრულებდა. მანევრის შესრულებისას, როგორც ჩანს, მფრინავებმა სიჩქარე სწორად ვერ განსაზღვრეს, რამაც ტრაგედია გამოიწვია — თვითმფრინავები ერთმანეთს 250 მ სიმაღლეზე შეეჯახნენ და ჩამოვარდნენ. ორივე მფრინავი კატაპულტებით ამოხტა, მაგრამ სერგეი მაქსიმოვს პარაშუტი არ გაეხსნა და ის დაიღუპა. ორივე თვითმფრინავი ჩამოვარდა.

იმავე წლის ივნისშივე, ამჯერად კანადაში მიმდინარე ავიაშოუზე, რომელსაც ქვეყნის უმაღლესი სამხედრო წარმომადგენლობა ესწრებოდა, მორიგი ინციდენტი მოხდა. კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების საპილოტაჟო გუნდ Snowbird-ის ჯგუფური პილოტაჟისას ჰაერში ერთმანეთს ორი თვითმფრინავი დაეჯახა. ერთ-ერთში ორი მფრინავი იყო (ეს თვითმფრინავი სასწავლო დანიშნულებისა და ორადგილიანია) და ორივენი დაიღუპნენ. მეორე მფრინავმა კი დაზიანებების მიუხედავად, შეძლო თვითმფრინავის დასმა.

2005 წლის 10 ივლისს კვლავ კანადაში, ავიაშოუზე, ერთმანეთს ორი თვითმფრინავი შეეჯახა. სამი ბიპლანი პირველი მსოფლიოს ომის დროინდელი საჰაერო ბრძოლის იმიტაციას ახდენდა. მანევრირებისას მფრინავებმა თვითმფრინავებს შორის დისტანცია სწორად ვერ განსაზღვრეს და ერთმანეთს შეეჯახნენ. ორივეს ჰაერშივე გაუჩნდა ცეცხლი და მიწაზე ჩამოვარდა. ორივეს მფრინავი დაიღუპა. მესამე ბიპლანი მიწაზე მშვიდობიანად დაჯდა. ავიაშოუ შეწყდა.

2009 წლის აგვისტოში მოსკოვში



საერთაშორისო ავიასალონი МАКС-2009 უნდა გამართულიყო. რამდენიმე დღით ადრე ჟუკოვსკში ინტენსიური მოსამზადებელი ფრენები დაიწყო. სალონის საფრენოსნო პროგრამის მიხედვით, სადემონსტრაციო ფრენებში აქცენტი Русские витязи-სა და Стрижи-სგან შემდგარ ჯგუფურ პილოტაჟზე კეთდებოდა (ოთხ-ოთხი Су-27 და МиГ-29). ტრაგედია 16 აგვისტოს, გახსნამდე ორი დღით ადრე მოხდა.

გეგმის თანახმად, 8 თვითმფრინავისგან შემდგარი ჯგუფი საფრენოსნო პრო-



საპილოტაჟო ჯგუფ Русь-ის L-39-ის ფრაგმენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



**2009 წელს მოსკოვის საერთაშორისო ავიაკოსმოსური სალონის გახსნამდე, საწვრთნელი ფრენისას Русские витязи-ს თვითმფრინავების დაჯახების მომენტი**

გრამის შესრულების შემდეგ ორ ნაწილად იყოფოდა. Стриж-ები შორდებოდნენ ძირითად ჯგუფს და მარცხნივ უხვევდნენ, Русские витязи-ები კი განაგრძობდნენ ფრენას და სიმაღლის მკვეთრი აღებით ფიგურა Тюльпан-ი უნდა შეესრულებინათ. იმ საბედისწერო ფრენისას წამყვან Су-27УБ-ის წინა კაბინაში ჯგუფის მეთაური, პირველი კლასის მფრინავი-სნაიპერი იგორ ტკაჩენკო, უკან კი ჯგუფის შტურმანი იგორ კურილენკო ისხდნენ. ფიგურის შესრულების შემდეგ Су-27-ების ჯგუფი ისევ უნდა შეკრულიყო. სწორედ მაშინ მოხდა ტრაგედია. მარცხენა მიმყოლმა ვიტალი მელნიკმა, რომელიც Су-27-ით მიფრინავდა, ჯგუფი თვალთახედვიდან დაკარგა და რატომღაც მის ზევით აღმოჩნდა, მაშინ როდესაც ჯგუფში ყველაზე მაღლა წამყვანი მიფრინავს. ის ისეთ პოზიციაში იყო, რომ მისი დანახვა არც ტკაჩენკოს შეეძლო. მელნიკმა თავისი თვითმფრინავით წამყვანს ზევიდან, ზუსტად კაბინის ადგილას გადაუფრინა. შეჯახება, რომლის გამოც მისი თვითმფრინავის მარჯვენა ძრავაში ცეცხლი გაჩნდა, შეხებითი იყო. სწორედ ამიტომაც მისმა თვითმფრინავმა განაგრძო ფრენა, ტკაჩენკოს მანქანა კი გაცილებით მძიმედ დაზიანდა და მაშინვე ვარდნა დაიწყო. კურილენკოს უკანა კაბინა თითქმის არ დაშვებულა — შეჯახების მთელი ძალა წინაზე მოვიდა, მაგრამ თვითმფრინავის გადარჩენის შესაძლებლობა არ იყო და ამიტომაც კურილენკომ კატაპულტირება გადაწყვიტა. საბრძოლო-სასწავლო თვითმფრინავებზე არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გააქტიურებს კატაპულტას — თვითმფრინავს ჯერ უკანა მფრინავი ტოვებს, ხოლო 0.6წმ-ის შემდეგ კი მეორე. დაშვებისას ის პარაშუტით ხეებს წამოედო და თავის ტვინის შერყევა მიიღო. ტკაჩენკო კი მაშველებმა უკვე მკვდარი იპოვეს. ერთი ვერსიით, ის შეჯახებისას კაბინაშივე დაიღუპა – ექსპერტიზამ მას თავის ტვინის დახურული ტრავმა დაუდგინა, კატაპულტირებადი სავარძელი კი სისხლით იყო დასვრილი. ძლიერმა შეჯახებამ მის სავარძელს თავმისადები მოაგლიჯა, რომელშიც მასტაბილიზებელი პარაშუტი ინახება. ამიტომაც შესაძლებელია, კატაპულტირების შემდეგ პარაშუტმა არც იმოქმედა.

შეჯახების შემდეგ მელნიკს თვითმფრინავზე კონტროლი მაინც შენარჩუნებული ჰქონდა, მაგრამ ცეცხლმოკიდებული ძრავათი აეროდრომზე დაბრუნებას კატაპულტირება ამჯობინა და ცარიელ ადგილას თვითმფრინავის გაყვანისა (შეჯახების წერტილიდან 5.3კმ-ში) და ძრავების გამორთვის შემდეგ, კატაპულტირება მოახდინა. ტკაჩენკოს მანქანა კი საგარაკო სახლებს დაეცა. ძლიერი ხანძრისგან მიღებული დამწვრობის გამო ერთი მოსახლე საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

ავიაშოუზე თვითმფრინავების ერთმანეთთან დაჯახების ბოლო შემთხვევა კი 2010 წლის 18 სექტემბერს მოხდა. სწორედ ამ შემთხვევით დავიწყეთ ეს მასალა. ორი სპორტული Extra-300L ერთმანეთს დაახლოებით 400 მ სიმაღლეზე შეეჯახა. ამ ტიპის სპორტულ თვითმფრინავებს კატაპულტირებადი სავარძელი არა აქვთ და ამიტომაც ერთ-ერთი თვითმფრინავის მფრინავი დაიღუპა, მეორემ კი აეროდრომამდე მიაღწია. ავიაშოუზე 18-19 სექტემბერს 82 რარიტეტული თვითმფრინავის ჩვენება იგეგმებოდა, მაგრამ ამ ინციდენტის შემდეგ ავიაშოუ შეწყვიტეს.

*თემურ პულუზაშვილი*





**ზოგჯერ ინტენსიური მანევრირებისას, მფრინავები თვითმფრინავებს შორის არსებული დისტანციის განსაზღვრაში შეცდომას უშვებენ, რაც ტრაგედიით მთავრდება**






არსენალი
M1200

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინდური ტანკები



„არსენალში" მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, ბრაზილიის, არგენტინის, ირანის ტანკმშენებლობის ისტორია, ამ ნომერში ინდოელთა მიღწევებზე გიამბობთ...

ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.



ჯავშანავტომობილი
Vickers Crossley M25

ცენტრალური აზიის უდიდესი სახელმწიფო ინდოეთი დიდხანს დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო და დამოუკიდებლობას 1947 წლის 15 აგვისტოს მიაღწია.

ბრიტანეთს კოლონიური ომები არ აკლდა და არმია ცოცხალი ძალით შევსებას მუდმივად მოითხოვდა, ხოლო ინდუსები, პენჯაბელები, სინგჰები და ინდოეთის სხვა ხალხთა წარმომადგენლები ამისათვის კარგი რესურსი იყო.

მსუბუქი ტანკი
Vickers Mk.II



1858 წელს ბრიტანეთის ინდოეთის არმიის პირველი ქვედანაყოფები ჩამოყალიბდა და მას შემდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობამდე ეს არმია ბრიტანეთის თითქმის ყველა ომის მონაწილეა.

კოლონიური მდგომარეობის მიუხედავად, ინდოეთის არმიას მაღალი ბრძოლისუნარიანობა ჰქონდა და სამხედრო ტექნიკა არ აკლდა.

ბრიტანეთის არმიის შეიარაღების ბევრმა ახალმა ნიმუშმა საგამოცდო ციკლი ინდოეთის მრავალფეროვანი რელიეფის პირობებში გაიარა და 1924 წელს ინდოეთის არმიის განკარგულებაში Vickers Mk.I ტიპის ორი მსუბუქი ტანკი აღმოჩნდა.

ცხელი კლიმატის გათვალისწინებით „ვიკერსები" დამატებით ვენტილატორებით იყო აღჭურვილი და თბოსაიზოლაციოდ კორპუსს შიგნიდან აზბესტი ჰქონდა გამოკრული.

მომდევნო Mk.IIA/IIB მოდელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე ხანგრძლივი სატანკო პროექტი

„ვიკერსებზე“ ძრავის გაგრილების სისტემა გაუმჯობესდა, შეიცვალა ტყვიამფრქვევის გარსაცმი, კოშკურაზე სამეთაურო პატარა გუმბათი გამოჩნდა და სხვა, მაგრამ მაინც სუსტი ტექნიკური პარამეტრების ტანკად დარჩა.

ინდოეთისათვის რამდენიმე Mk.IV-ც დამზადდა. „ვიკერსმა“ წინა მოდელებისაგან განსხვავებით ამჯერად კორპუსი მზიდ კონსტრუქციად გამოიყენა და ყველა აგრეგატი თუ კვანძი მასზე დაამაგრა. ტანკის შეიარაღება ერთი 7,7 მმ-იანი ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევისაგან შედგებოდა.



მძიმე ჯავშანავტომობილი Vickers Guy M29

მეორე მსოფლიო ომის წინ ინდოეთის არმია „ვიკერსის“ Mk.VIA მოდელის 60 და Mk.VIB მოდელის 43 მსუბუქი ტანკით შეივსო. ტანკების ინდურ ვერსიას სამეთაურო გუმბათის მაგივრად სამეთაურო პერისკოპი ჰქონდა.

ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ და სუსტად შეჯავშნულ „ვიკერსებს“ არმიაში სასწავლო და საპოლიციო დანიშნულება ჰქონდა და კოლონიურ ჯარებს აჯანყებულებთან ბრძოლაში დახმარება არაერთგზის გაუწია.

20-იანი წლების დასაწყისში ინდოეთის არმიას დელის რკინიგზის სახელოსნოებში აწყობილი Rolls-Royce-ის M20 (4X2) მოდელის რამდენიმე ჯავშანავტომობილიც დაემატა.

M20-ის კორპუსი 3-8 მმ სისქის ფოლადის ფურცლებისაგან იყო შეკრული და 4,1 ტონას იწონიდა, წამყვანი უკანა ხიდი ჰქონდა და 7,7 მმ-იანი Vickers-ის ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი.

სუსტი გამავლობისა და შეიარაღების გამო M20 არმიაში მხოლოდ მზვერავის დანიშნულებას ასრულებდა, მაგრამ ნადირობის მოყვარულ რაჯებს ძალიან მოსწონდათ დამატებითი ფარები და კოშკურის ლიუკი ფეხზე მდგომ ადამიანს სროლისათვის საუკეთესო პირობებს უქმნიდა.

ჯავშანავტომობილები ინდოეთისთვის კარგ საშუალებად ჩაითვალა და „ვიკერსმა“ Crossley-ის 2,5-ტონიანი კომერციული ავტომობილის შასიზე არმიას საპატრულო სამსახურისათვის M23 მოდელის ჯავშანავტომობილები დაუმზადა.

8 მმ-იანი ჯავშანფურცლებისაგან აწყობილ ჯავშანკორპუსზე იდგა ხელით სატრიალებელი კოშკურა, რომელსაც ორი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და სროლის სექტორის გასაზრდელად ოთხი სასროლი წერტილი ჰქონდა.

სქემა მოუხერხებელი გამოდგა — ორი მეტყვიამფრქვევე ერთმანეთს ხელს უშლიდა და ჯავშანავტომობილებს მეტწილად ერთი ტყვიამფრქვევი შემორჩა.

გაუმჯობესებულ M25-ზე ჯავშანკორპუსის ფორმა შეიცვალა, ხოლო ცხვირი მთლიანად საგდულ-ჟალუზებით დაიჯავშნა. მძღოლს მისი მართვა კაბინიდან შეეძლო.

გარდა ამისა, უკან სვლით მართვის

ჯავშანავტომობილები Vickers Chevrolet-ი მარშის დროს






პირველი სერიული ტანკი Vijayanta

პოსტი დაემატა და ჯავშანკორპუსის უკანა ნაწილში სამზერი ღრიჭოები გამოიჭრა.

მნიშვნელოვან სიახლედ რეზინისაგან ჩამოსხმული საბურავებიდან პნევმატურ საბურავებზე გადასვლა უნდა ჩაითვალოს.

ქვეყნის სხვადასხვა რაიონში საპატრულო სამსახურისათვის არმიამ M23/M25 მოდელის 100-ზე მეტი ჯავშანავტომობილი მიიღო.

ჯავშანავტომობილთა ერთი ნაწილი 1939 წელს სატვირთო Chevrolet-ის შასიზე გადაეწყო. „შევროლეს" უფრო ძლიერი ძრავა და სრულყოფილი ტრანსმისია ჰქონდა, ხოლო უკანა წამყვანი წყვილთვალა ხიდი სიმძიმეს უკეთესად უძლებდა.

ინდოეთის ცუდი საგზაო პირობების გათვალისწინებით „ვიკერსმა" Guy M29 (6X4) შასიზე მძიმე ჯავშანავტომობილი ააწყო და გამავლობის გასაზრდელად უკანა ბორბლებზე ეკლებიანი სპეციალური მუხლუხები დააყენა, მაგრამ გამავლობა მაინც არ გაუმჯობესდა და M29-ებმა საარტილერიო გამწევების თანრიგში გადაინაცვლა.

ინდოეთის არმიამ მძიმე ჯავშანავტომობილები ბირმაში იაპონელებთან საბრძოლველად გამოიყენა, მაგრამ გამავლობის გამო ჯუნგლებში მოქმედება გაუჭირდა.

**Vickers Guy M29: მასა — 9,25 ტონა, ეკიპაჟი — 6 კაცი, ჯავშანი — 6-11 მმ, კარბურატორიანი ძრავა – 75-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 50 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 220 კმ, შეიარაღება — ორი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, რადიოსადგური კავშირს 80-100 კილომეტრის რადიუსში უზრუნველყოფდა;**

მეორე მსოფლიო ომმა ჯავშანტექნიკაზე მოთხოვნა გაზარდა და დიდმა ბრიტანეთმა თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში ჯავშანტექნიკის წარმოება დაიწყო.

ინდოეთს მძიმე ჯავშანტექნიკის დამზადებისათვის აუცილებელი სამრეწველო ბაზა არ გააჩნდა და მსუბუქი ჯავშანავტომობილი ACW-IP წარმოებისათვის ორი კომპანია Tata Iron & Steel Ltd და East Indian Railway Workshops-ი შეარჩიეს.

კანადაში შექმნილი ACW-IP Mk.I-ის მოვალეობა საზღვრების დაცვა-გაკონტროლებაა.

ჯავშანავტომობილი კომერციული სამტონიანი Ford M1940 შასიზეა აწყობილი, ორივე ხიდის წამყვანად გადასაკეთებელი სამუშაოები კომპანია Marmon-Herrington-მა შეასრულა. ზევიდან ღია და დახრის დიდკუთხეებიანი ჯავშანკორპუსი მოქლონებით არის შეკრული და ოთხკაციან ეკიპაჟზეა გათვლილი.

ინდოეთში სერიული წარმოების პროცესში სრულყოფის მიზნით კონსტრუქცია რამდენჯერმე შეიცვალა.

Mk.II — გამოყენებულია კანადური საარტილერიო გამწევ C 011-ის QRF შასი და ძრავამ ჯავშანავტომობილის უკან ნაწილში გადაინაცვლა;

Mk.IIA — კორპუსის ფორმა შეიცვალა და მოქლონები ელექტროშედუღებამ შეცვალა;

Mk.IIB — ჯავშანკორპუსის კონსტრუქცია ისევ შეიცვალა და საბრძო-



ინდოეთში აწყობილი T-72




ძირითადი საბრძოლო ტანკი Arjun MkI

ლო განყოფილების ჯავშანდაცვა გაძლიერდა;

Mk.IIC — ჯავშანკორპუსი სახურავით დაიხურა და 7,7 მმ-იანი Bren-ის ტიპის ტყვიამფრქვევით აღჭურვილი კოშკურა დაემატა;

Mk.III — ჯავშანკორპუსის ფორმაში ცვლილებები შევიდა;

Mk.IV — გამოყენებულია ფორდის ავტოგამწის C 291 QR შასი 95-ცხ.ძალიანი ძრავით და ჯავშანკორპუსი მთლიანად შეიცვალა;

**Mk.IIA: მასა — 5,8 ტონა, ეკიპაჟი — 3-4 კაცი, ჯავშანი — 14 მმ, კარბურატორიანი ძრავა —95-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 80 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი - 360 კმ, შეიარაღება — 13,97 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო თოფი Boys-ი და 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი Bren-ი;**

ომის დასრულებამდე ინდურმა კომპანიებმა 4655 ჯავშანავტომობილი დაამზადა და დიდი ნაწილი ინდური დივიზიების სადაზვერვო (საკავალერიო) პოლკებს გადაეცა, სადაც მზვერავის, სატრანსპორტო საშუალების, საჰაერო და საარტილერიო დამკვირვებლის დანიშნულებას ასრულებდა.

ომის წლებში ACW-IP ტიპის ჯავშანავტომობილები იტალიაში, საბერძნეთში, აფრიკაში, მალაიზიასა და ბირმაში იბრძოდა.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ინდოეთის არმია ჯერ ბრიტანული, ხოლო შემდეგ კი საბჭოთა წარმოების ჯავშანტექნიკით შეივსო.

ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ჯავშანტექნიკის სამამულო წარმოებამ მეტი აქტუალურობა შეიძინა და პირველ ნაბიჯად „ვიკერსმა" ინდოეთისათვის ძირითადი საბრძოლო ტანკ Mk.1-ის (ინდური სახელი Vijayanta) მოდელი მოამზადა.

პარალელურად მადრასის მახლობლად მდებარე ქალაქ ავადის მძიმე სატრანსპორტო საშუალებათა ქარხანაში სერიული წარმოებისათვის სამუშაოები ჩატარდა.

ტანკის პროტოტიპი 1963 წელს აიგო და საგამოცდო ციკლის დასრულების შემდეგ, 1965 წლიდან, არმიის შეიარაღებაში შევიდა.

ქარხანა 1966 წლიდან ტანკებს დიდი ბრიტანეთისგან მიღებული აგრეგატებითა და კვანძებით აწყობდა, მაგრამ გამოცდილების მიღებასთან ერთად წარმოების დამოუკიდებლად გაგრძელება შეძლო.

ტანკს კლასიკური კომპონირება აქვს — მართვის ორგანოები წინ, საბრძოლო ნაწილი — შუაში და ძრავტრანსმისია უკანა ნაწილშია მოთავსებული.

მძღოლ-მექანიკოსის ადგილი სიმეტრიის ღერძიდან მარჯვნივ არის გადაწეული, როგორც ავტომობილების მარცხენა მოძრაობის მქონე ქვეყნებშია მიღებული.

კოშკურა-კორპუსი შედუღებით არის დამზადებული და ელექტრონული სტაბილიზატორი ქვემეხს სტაბილიზაციას ორ სიბრტყეში უკეთებს.

**Vijayanta: მასა — 40,5 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი – 20-80 მმ, დიზელის ძრავა – 640-ცხ.ძალიანი, სიჩქარე – 50 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი – 354 კმ, შეიარაღება — 105 მმ კუთხვილიანი ქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი შეწყვილებული ტყვიამფრქვევი, 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი;**

„ვიჯაიანტას" პროგრამა 1983 წელს დასრულდა და ინდოეთის არმიას დაახლოებით 2200 ტანკი შეემატა.

ექსპლუატაციის პერიოდსა და მეზობელ პაკისტანთან ომებში ტანკის შეზღუდული გამავლობა, სუსტი დაჯავშნა და 105 მმ-იანი ქვემეხის დაბალი შესაძლებლობები გამოვლინდა, ხოლო უდაბნოს პირობებში ძრავის გადაცხელება „ვიჯაიანტას" ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გადაიქცა.

შემუშავდა მოდერნიზაციის პროგრამა Bison-ი, სადაც ყურადღება ძრავისა და ცეცხლის მართვის სისტემის შეცვლაზე, დამატებით ჯავშნით აღჭურვასა და სხვა სიახლეების გამოყენებაზე გამახვილდა.

პროგრამა 1100 ტანკის მოდერნიზაციაზე იყო გათვლილი, მაგრამ მიზეზთა გამო მისი შესრულება არ მოხერხდა და ინდოელმა კონსტრუქტორებმა „ვიჯაიანტას" შასი სხვადასხვა დანიშნულების საბრძოლო თუ საინჟინრო დანიშნულების ტექნიკას მიუსადაგეს.

საბჭოთა 130 მმ-იანი M-46 ტიპის ქვემეხის დაყენებით თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Catapult-ა შეიქმნა.

1989 წელს არმიას დაჯავშნული ხიდგამდები Kartik AVLB გადაეცა, რომელზეც 20 მ სიგრძისა და 4 მ სიგანის გასაშლელი ხიდის კონსტრუქცია არის დაყენებული.

ბრძოლის ადგილებიდან დაზიანებული ჯავშანტექნიკის გამოსაყვანად „ვიჯაიანტას" შასიზე დამზადებული სარემონტო-საევაკუაციო მანქანა Vijayanta ARV უზრუნველყოფს.

„ვიჯაიანტას" მოდერნიზაციასთან დაკავშირებული სირთულეების გამო 1975 წელს ინდოეთმა საბჭოთა კავშირისაგან T-72-ების პატარა პარტია შეიძინა, ხოლო 1978 წელს T-72M/T-72M1 წარმოების ლიცენზია იყიდა. ლიცენზიურ ტანკებს Vjeya სახელით ქალაქ ავადში მდებარე ქარხანა აგებდა.

1987 წლის ბოლოს ქარხანამ საბჭოთა კავშირიდან მიღებული აგრეგატებითა და კვანძებით პირველი ტანკები გამოუშვა და მიზნად სამამულო წარმოების მაკომპლექტებლების 97%-მდე გაზრდა დაისახა, მაგრამ ამოცანის დაძლევა არ მოხერხდა. ბოლო T-72M1-ი 1994 წლის მარტში აიწყო.

ინდოელმა სპეციალისტებმა მსოფლიოს წამყვანი ტანკმშენებელი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით სამამულო წარმოების ძირითადი საბრძოლო ტანკის Arjun-ის კონცეფცია 1972 წელს შეიმუშავეს.

თავიდანვე ტანკის ძირითადი ელემენტების — ჯავშანკორპუსის, კოშკურას, 120 მმ-იანი კუთხვილიანი ქვემეხის, ცეცხლის მართვისა და ღამის ხედ-



ეროვნული კონსტრუქციის პირველი ყველგანმავალი ავტომობილი LSV

ვის ხელსაწყოების, ძრავის, ტრანსმისიისა და ჭურვების წარმოება ადგილობრივ კომპანიებზე იყო გათვლილი.

პროექტირებაში ინდოელებს დახმარებას დასავლეთ გერმანიისა და ჰოლანდიის კომპანიები უწევდნენ.

„არჯუნის“ პირველი პროტოტიპი 1985 წლის აპრილში გამოჩნდა და ყველაზე შესამჩნევი გერმანულ Leopard 2-თან მსგავსება იყო.

საგამოცდო ციკლმა სამხედროებს იმედი გაუცრუა — უდაბნოში კორპუსი ძალზე ხურდებოდა, დამიზნების სისტემა ხარვეზებით მუშაობდა, დიზელის ძრავის მუშაობა შეფერხდა და სხვ.

ტექნიკურ პრობლემათა დაძლევამ დიდი დრო მოითხოვა და სერიული წარმოება 2006 წელს დაიწყო, მაგრამ სერიულ ტანკებშიც მრავალი ხარვეზი გამოვლინდა, სროლის დროს რამდენჯერმე სატანკო ლულაც გასკდა.

2007 წლის სექტემბერში გამოცდა დასრულდა, თავდაცვის მინისტრმა კურეან ენტონმა ტანკის სავალი თვისებები, გამავლობა, საიმედოობა და საცეცხლე შესაძლებლობები დადებითად შეაფასა.

საცდელი პარტია 14 ტანკი მთლიანად თავდაცვის უწყებამ შეიძინა, ხოლო თავდაპირველი 124-ტანკიანი შეკვეთა 248-მდე გაზარდა. პირველ პარტიაში ტანკის ღირებულებამ დაახლოებით 3,8-4 მილიონ დოლარს მიაღწია.

ტანკის ჯავშანი Kanchan-ი ნაგლინი ჰომოგენური ჯავშნისა და კომპოზიტური მასალების მრავალშრიანი ერთგვარი „სენდვიჩია“, სადაც შრეთა სისქის რეგულირება შეიძლება.

2000 წელს, გამოცდის დროს, ამ ჯავშანს T-72-ის ჭურვი მოხვდა და ვერაფერი დააკლო.

„არჯუნზე“ დაყენებულია ესპანური ნახევრად ავტომატური ცეცხლის მარ-



თვის სისტემა, რომელიც სროლის დროს ითვალისწინებს გარე ტემპერატურას, ატმოსფერულ წნევას, ქარის სიჩქარე-მიმართულებას, ჭურვის ტემპერატურასა და სხვ. სისტემა ჭურვის მიზანში მოხვედრის 90%-იან ალბათობას იძლევა.

შექმნის 37-წლიანი ციკლით „არჯუნს" მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

**Arjun Mk I: მასა — 59 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი, დიზელის ძრავა – 1400-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 72 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 450 კმ, შეიარაღება – 120 მმ-იანი კუთხვილიანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი შეწყვილებული ტყვიამფრქვევი, 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი;**

„არჯუნთან" დაკავშირებული პრობლემების გამო ინდოეთმა რუსეთთან 2001 წელს 310 T-90-ის ყიდვისა და ლიცენზიური წარმოების კონტრაქტი გააფორმა. ამ პარტიიდან 186 ტანკი (ინდური სახელია Brisma) ქალაქ ავადის ქარხანაში აიწყო.

2006 წელს 330 T-90-ისა და 2007 წელს კიდევ 1000 ტანკის ასაწყობი ლიცენზია იყიდა იმ გათვლით, რომ 2020 წლისათვის არმიას T-90-ებით აღჭურვილი 35 პოლკი ექნებოდა.

2009 წლის აგვისტოში მოულოდნელად თავდაცვის სამინისტრომ „არჯუნებითა" და T-90-ებით დაკომპლექტებული პოლკების შედარებითი გამოცდების ჩატარება გადაწყვიტა. ინდოეთის არმიის სატანკო პოლკი 40-მდე ტანკს ითვლის.

არაოფიციალური ინფორმაციით, 14 „არჯუნისა" და ამდენივე T-90-ის ერთკვირიანი გამოცდა რაჯასტანის შტატში, ბიკანარის პოლიგონზე ჩატარდა. შესასრულებელი სამი ტაქტიკური ამოცანა იყო: 50 კმ-იანი მარში უდაბნოში, ათათი გასროლა გაჩერებულ მდგომარეობასა და მოძრაობის დროს, 1,5-1,8 მ სიღრმის წყლის დაბრკოლების დაძლევა.

თითოეულმა ტანკმა 150 კმ გაიარა და საშუალოდ 30-50 გასროლა შეასრულა. „არჯუნმა" კარგი შედეგი აჩვენა. ოღროჩოღრო ადგილებზე სწრაფად გადაადგილდებოდა, პოულობდა და ანადგურებდა მოძრავ თუ გაჩერებულ სამიზნეებს.

ინდოეთის ჯავშანსატანკო წარმოებაში დიდი ადგილი ლიცენზიურ ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს უკავია.

ქალაქ მედაქის საარტილერიო-ტექნიკური ქარხანა რუსულ ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-ს (ინდური სახელი Sarath-ია) ამზადებს. ინდურ ვერსიაში ახალი რადიოსადგური, ქვემეხის მოდერნიზებული სტაბილიზატორი და სხვა უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა.



ინდოეთში აწყობილი T-90

„სარაჯის" შასი გამოყენებულია: სანიტარული მანქანის (AAV), საინჟინრო დაზვერვის დაჯავშნული მანქანის (AERV), დაჯავშნული მცურავი ბულდოზერის (AAD), საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისა (Akash-ისა და Ttrishul-ის) და სხვა თვითმავალი ტექნიკის დასამზადებლად.

უახლოეს გეგმაშია სარაკეტო კომპლექს Nag-ით აღჭურვილი საბრძოლო მანქანა Namica-ს წარმოება.

ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა Nag-ი ინფრაწითელი ქობინით არის აღჭურვილი და 4 კმ-ზე დაფრინავს. რაკეტა მოხვედრის წინ ფრენის სიმაღლეს ზრდის და ტანკს ყველაზე დაუცველ, ზედა პროექციაში ეჯახება.

2002 წლიდან წარმოებაშია სამხრეთაფრიკული „ვიკერსის" ლიცენზიური საპატრულო ჯავშანტრანსპორტიორი Casspir MkII (4X4), რომელიც არმიას ჯამუსა და ქაშმირის შტატებში საპატრულო სამსახურისათვის სჭირდება.

2008 წლის თებერვალში „ტატამ" ეროვნული კონსტრუქციის პირველი ყველგანმავალი LSV წარმოადგინა. სპეციალისტებმა ბრიტანულ Land Rover Defender 110-თან ბევრი მსგავსება შენიშნეს.

ავტომობილის წონა 1,2 ტონას შეადგენს და სადაზვერვო-საპატრულო, კავშირისა და ცეცხლის მართვის პუნქტებად, მსუბუქ საარტილერიო გამწევად თუ მობილურ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის მატარებლად გამოყენება შეიძლება.

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინდურმა კომპანია BEML-მა და პოლონურმა OBRUM-მა ერთობლივი საწარმო შექმნეს, რომელიც მსუბუქი ტანკის პროექტირებაზე იმუშავებს. პროექტის ავტორებს ერთი აუცილებელი მოთხოვნის გათვალისწინება მოუწევთ — ტანკის წონა შეუულმფრენით ტრანსპორტირებას ხელს არ უნდა უშლიდეს.

*შალვა გოგიბერიძე*



ინდური წარმოების БМП-2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საავიაციო ბომბები

სანამ საბჭოთა კავშირი წყალბადის ბომბზე მუშაობდა, აშშ იმ პერიოდისთვის მსოფლიოში ყველაზე ძლიერ არაბირთვულ საავიაციო ბომბს ქმნიდა. ვიეტნამის ომის დაწყებისთანავე, როდესაც აშშ-ის არმია შვეულმფრენების, როგორც საჰაერო სატრანსპორტო საშუალების მასობრივად გამოყენებაზე გადავიდა, დღის წესრიგში მაშინვე დადგა მათთვის დასაჯდომი მოედნების მომზადების საკითხი. თუმცა ჯუნგლებში ამის გაკეთება იოლი არ იყო. ერთი მოედნის მომზადებას საინჟინრო ბატალიონი 10-12 საათს ანდომებდა. რა თქმა უნდა, ბრძოლის დროს ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. BLU-82 პირველად 1970 წელს გამოიყენეს, მაგრამ მალე ამერიკელები მიხვდნენ, რომ ამ უკანასკნელის დამანგრეველი ძალის გამო, მისი გამოყენება არა მხოლოდ პალმების, არამედ ცოცხალი ძალის გასანადგურებლადაც შეიძლება.

ცილინდრული ფორმის ბომბის სიგრძე 5.73 მ-ს, დიამეტრი კი 1.56 მ-ს შეადგენს. ის 6810 კგ-ს იწონის, საიდანაც 5715 კგ საბრძოლო ქობინზე მოდის. მას სპეციალურად ამ მიზნისთვის გადაკეთებული MC-130-დან აგდებენ. ჩამოგდების მინიმალური სიმაღლე 1800 მ-ით განისაზღვრება. ბომბი ისეა გაკეთებული, რომ აფეთქებისას კრატერს არ ტოვებს და მთელი ენერგია გარშემო მყოფი ობიექტების დანგრევა-განადგურებაზე იხარჯება. ეფექტურობის მიუხედავად, ბომბს არც ისე დიდხანს აწარმოებდნენ სერიულად და მხოლოდ 225 ცალი დამზადდა.

ვიეტნამის ომის გარდა, BLU-82 ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალშიც“ გამოიყენეს. მაშინ ამერიკელებმა 11 ამ ტიპის ბომბი ჩამოყარეს 5000-5200 მ სიმაღლიდან. მიზნიდან სავარაუდო წრიული გადახრა 30 მეტრს არ აღემატებოდა, რაც მისი სიძლიერისა და დამანგრეველი ძალის გათვალისწინებთ, პირდაპირი მოხვედრის ტოლფასი იყო. ერაყის შემდეგ ბომბი რამდენჯერმე ავღანეთშიც, თალიბების მიწისქვეშა ობიექტების დასაბომბადაც გამოიყენეს.

ბომბ GBU-43 MOAB-ის (Massive Ordnance Air Blast — ფუგასური მოქმედების მძიმე ჭურვი) გამოჩენამდე ეს უკანასკნელი მსოფლიოში ყველაზე ძლიერი არაბირთვული საავიაციო ბომბი იყო. 2002 წელს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევით ლაბორატორიაში დაიწყო BLU-82-ზე თანამგზა-



ბომბი BLU-82 და მისი აფეთქების მომენტი...




ღეისთვის MOAB-ი ყველაზე ძლიერი არაბირთვული საავიაციო ბომბია

რული დამიზნების სისტემის დაყენებაე, ანუ უმართავი ბომბის მართვად არიანტად გადაკეთებაზე მუშაობა. მხლოდ დამიზნების სისტემის დაყენება აქმეს ვერ შველოდა და საჭირო გახდა ომბის აეროდინამიკური მახასიათელებისა და მისი კორპუსის გარსშემომდენის გაუმჯობესება უფრო მდორეგადასვლებიანი ფორმის მინიჭებით. 2003 ლის მარტისთვის ბომბის პირველი ნიმუში მზად იყო და 11 მარტს მისი გამოცდა შედგა.

ბომბის სიგრძე 9.17 მ-ს, კორპუსის დიამეტრი კი 1.029 მ-ს შეადგენს. ის 9500 კგ-ს იწონის, საიდანაც 8400 კგ ავსტრალიური წარმოების H-6-ის ტიპის ასაფეთქებელ ნივთიერებაზე მოდის. ეს უკანასკნელი ჰექსოგენის, ტროტილისა და ალუმინის ფხვნილის ნარევია, რომელიც ტროტილზე 1.35-ჯერ უფრო ძლიერია. ბომბის აფეთქების ძალა ტროტილის ეკვივალენტში 11000 კგ-ის ტოლია, დაზიანების რადიუსი კი 140 მ-ს შეადგენს. დარტყმის ტალღა დამანგრეველ ეფექტს აფეთქებიდან 1.5 კმ დისტანციაზეც ინარჩუნებს. დამიზნების სისტემად ბომბზე ინერციალური და თანამგზავრული ნავიგაციის სისტემები გამოიყენება. ჰაერში ბომბის სამართავად, პირველად ამერიკული შეიარაღების ისტორიაში, გისოსისებრი საჭეები დააყენეს. ბომბს სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130-ის ბორტიდან აგდებენ. სატრანსპორტო ნაკვეთურში ბომბი სპეციალურ პლატფორმაზეა და მასთან ერთად პარაშუტით თვითმფრინავიდან ვარდება, რის შემდეგაც შორდება პლატფორმასა და პარაშუტს და უკვე დამოუკიდებლად მიფრინავს სამიზნისკენ. სულ ამ ტიპის ბომბის 17 ეგზემპლარი დამზადდა, აქედან ორი გამოცდაზე ააფეთქეს, დანარჩენი 15 კი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების არსენალშია. საბრძოლო პირობებში ის ჯერ არ გამოუყენებიათ.



უმეტესწილად უბრალო „ლუგვებს“ ყრიან, — ასე უწოდებენ ჩვეულებრივ საავიაციო უმართავ ბომბებს. ვიეტნამის ომში ამერიკელები სწორედ Mark 80-ის სერიის ბომბებს ყრიდნენ. არსებობდა ამ ბომბის ოთხი მოდიფიკაცია. ისინი ერთმანეთისგან კალიბრითა და წონით განსხვავდებოდნენ. ამ „ოჯახის“ ყველაზე პატარა წარმომადგენელი Mark 81-ია. მისი სიგრძე 1880 მმ-ია და 119 კგ-ს იწონის, საიდანაც 44 კგ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე მოდის. Mark 82-ის სიგრძე უკვე 2220 მმ-ია და ის 241 კგ-ს იწონის, საიდანაც 89 კგ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე მოდის. ბომბების ამ ოჯახის შემდეგი წარმომადგენელი Mark 83-ია, რომლის სიგრძეც და წონაც შესაბამისად 3000 მმ და 454 კგ-ია. აქედან 202 კგ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე მოდის. ყველაზე დიდი კალიბრის მქონე Mark 84-ის სიგრძე 3280 მმ-ია და ის 925 კგ-ს იწონის. ამ მასიდან 429 კგ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე მოდის, რაც თითქმის ნახევარი ტონის ტოლია.



JDAM-ის სერიის ბომბების ოჯახი

თავისუფლადვარდნადი ბომბების მარტივი კონსტრუქციისა და ნაკლები ღირებულების გამო მათი გამოყენება-დამზადება მომგებიანია. თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი — სიზუსტე. როდესაც ფართობს ბომბავენ, სიზუსტეს დიდ ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ წერტილოვანი სამიზნის განადგურებისას საქმე რთულდება. ერთი თავისუფლადვარდნადი ბომბით ერთი კონკრეტული სამიზნის განადგურების ალბათობა 50x50-ზეა. ამიტომაც მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ერთდროულად 2-4 ან მეტ ბომბს აგდებენ. თუმცა ბომბებიც ხომ ფული ღირს. გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





Mark-ის სერიის უმართავი ბომბების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ამერიკელები სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. ზედა ფოტოზე Mk 82 Snake Eye-ის ტიპის ბომბები გასახსნელი კუდით. ქვედაზე — იგივე კლასის ბომბი კუდში არსებული საპარაშუტო სისტემით

და ამისა, როდესაც თვითმფრინავს თავისი შეზღუდული არსენალიდან რამდენიმე ბომბის დახარჯვა ერთ სამიზნეზე უწევს, გამოდის, რამდენიმეს დასაზიანებლად ბომბების რაოდენობა მათზე უნდა გადაანაწილოს ან რამდენიმე საბრძოლო გაფრენა შეასრულოს. საბრძოლო მოქმედებების დროს კი ყოველი ახალი გაფრენა სიკვდილის ტოლფასია. ამიტომაც ჯერ კიდევ ვიეტნამის ომის დროს ამერიკელებმა მართვად საავიაციო ბომბების შექმნაზე დაიწყეს ფიქრი.

80-იანი წლების ბოლოს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და სამხედრო-საჰაერო ძალებმა ერთობლივად დაიწყეს სამიზნემდე ბომბების ზუსტი და რაც მთავარია, იაფი მიტანის მეთოდის მოძიებაზე მუშაობა. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა JDAM (Joint Direct Attack Munition). პროგრამის მიზანი მარტივი იყო — თანამედროვე ელექტრონიკისა და თანამგზავრული ნავიგაციის სისტემების გამოყენებით „ლუგვების“ გადაკეთება მართვად იარაღად. კომპლექტ JDAM-ის შემადგენლობაში შედის ფრთები, რომლებიც ბომბის შუა ნაწილზე მაგრდება და კუდის ბლოკი, რომელსაც მართვადი ფრთასხმულობა აქვს (სწორედ მათი საშუალებით იმართება ის ჰაერში). ამავე ბლოკშია განთავსებული თანამგზავრული ნავიგაციის სისტემის კომპიუტერი. ლაზერული ან ინფრაწითელი დამიზნების სისტემის მქონე ბომბებისგან განსხვავებით, თანამგზავრული ნავიგაციის გამოყენებისას ბომბის ეფექტურობაზე არ მოქმედებს ატმოსფერული პირობები. ამ პროგრამის წყალობით ძველი ბომბების მაღალი სიზუსტის თანამედროვე იარაღად გადაკეთება მარტივად და დიდი დანახარჯის გარეშე შეიძლება. პროგრამა სამი ეტაპისგან შედგებოდა. პირველი ეტაპი მართვადი ბომბის შესაქმნელად საჭირო სრული კომპლექტის შექმნას ისახავდა მიზნად.

გადაკეთების შემდეგ, ფუგასურმა უმართავმა საავიაციო ბომბმა Mk 83-მა, ნიშნული GBU-32 მიიღო. არსებობს ამ უკანასკნელის ორი მოდიფიკაცია: სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის განკუთვნილი ვარიანტები. პირველის ნიშნული GBU-32(V)1/B-ია, მეორესი — GBU-32(V)2/B. ნავიგაციური სისტემით აღჭურვილი Mk 84-ის ნიშნული GBU-31 გახდა. GBU-31(V)3/B განკუთვნილია სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის,GBU-31(V)4/B კი სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის.

პროგრამის მეორე ეტაპი ითვალისწინებდა GBU-35-ის შექმნას, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ პერსპექტიული თვითმფრინავ F/A-22-ისთვის იქნებოდა განკუთვნილი. მართალია, ამ მეხუთე თაობის თვითმფრინავს თავიდანვე გამანადგურებლის სტატუსი ჰქონდა, მაგრამ მას სახმელეთო სამიზნეებზეც უნდა შესძლებოდა იერიშის მიტანა. ზემოაღნიშნული მართვადი ბომბი 467 კგ-იანი ფუგასური მოქმედების ტიპის BLU-110-ის ბაზაზე შეიქმნა. ამ პროექტის დამთავრების შემდეგ, 1995 წელს, იმავე პროგრამის მეორე ეტაპზე ბეტონსაწინააღმდეგო ბომბ BLU-116/B-ის ბაზაზე, მართვადი იარაღის შექმნა გადაწყდა. ახალმა ვერსიამ ნიშნული GBU-34 მიიღო და წონითი მახასიათებლებიდან გამომდინარე (1020 კგ) მისი გამოყენება ტაქტიკური დანიშნულების თვითმფრინავებიდანაც შეიძლება.

იმავე წელს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და ფირმა Boeing-ს შორის გაფორმდა ორმოცთვიანი კონტრაქტი, რომელიც JDAM-ის 2450 კომპლექტის დამზადებას ითვალისწინებდა. ერთი წლის შემდეგ კი, 1996 წლის იანვარში, ახალი ბომბები პოლიგონზე პირველად ბომბდამშენ B-1-ებისა და B-52-ების ბორტიდან გამოცადეს. მალე გამოცდას ბომბდამშენი B-2A-ც შეუერთდა. გამოცდისას ბომბების 95%-ის მიზნიდან საშუალო სავარაუდო წრიული გადახრა 9.6 მ-ს არ აღემატებოდა, მაშინ როდესაც ამ იარაღისთვის წაყენებულ მოთხოვნებში სამიზნიდან გადახრის შესახებ მაჩვენებელი 13 მ-ს შეადგენდა. JDAM-ის კომპლექტების სერიული წარმოება 1997 წელს დაიწყო და ორი წლის შემდეგ „ბოინგს“ უკვე 800-ზე მეტი კომპლექტი ჰქონდა. ბომბის დამიზნების სისტემის გვარობიდან გამომდინარე, თუ მოწინააღმდეგე რადიოელექტრონულ ხარვეზებს გამოიყენებს, შესაძლებელია მისი დამიზნების სისტემისთვის ხელის შეშლა. ამიტომაც 1998 წელს ფირმა „ფანტომ უორკსმა“

რადიოელექტრონული ხარვეზების ჩასახშობი სპეციალური სისტემა შექმნა. თანამგზავრული ნავიგაციის მიმღები ანტენა ბომბის კუდა ნაწილშია და ოთხი ელემენტისგან შედგება. თავდაპირველად JDAM-ის კომპლექტისთვის სისტემა მონაცემებს თანამგზავრული ნავიგაციის ხუთი თანამგზავრისგან იღებდა. შემდგომ მათი რიცხვი 12-მდე გაზარდეს.

გაფრენის წინ საბრძოლო დავალება მატარებელი თვითმფრინავის საბორტო კომპიუტერში იტვირთება. მასში წინასწარ არის მითითებული სამიზნის კოორდინატები და დამიზნების პარამეტრები. ბომბის ჩამოგდების მომენტამდე მისი დამიზნების სისტემა უწყვეტად იღებს თანამგზავრებისგან მონაცემებს, მატარებელი საშუალების კოორდინატებს, მისი ფრენის სიჩქარესა და მიზანსა და მატარებელი საშუალების შორის კოორდინატების ცვლილების შესახებ ინფორმაციას. ჩამოგდების შემდეგ დამიზნების სისტემას ბომბი მიზნამდე, მატარებელი საშუალებიდან მიღებული კოორდინატებისკენ მიჰყავს.

ამგვარად პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში შეიქმნა დამიზნების მოდული, რომლის დაყენება ჩვეულებრივ ბომბზე მის კუდის ნაწილშია შესაძლებელი. თავდაპირველად მართვის ზედაპირები ბომბის ცხვირზე უნდა განეთავსებინათ, მაგრამ მართვადობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მათი გადატანა კუდში გადაწყვიტეს, თავად ბომბის კორპუსზე კი განათავსეს ოთხი აეროდინამიკური ქიმი, რომლებმაც გაზარდა მისი გამოყენების დიაპაზონი. ბომბები საბრძოლო პირობებში პირველად 1999 წელს, იუგოსლავიაში გამოიყენეს. B-2A-ს ტიპის ბომბდამშენებმა, რომლებიც მისურის შტატში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან დაფრინავდნენ, სერბეთში განლაგებულ ობიექტებს თანამგზავრული დამიზნების სისტემით აღ-


JDAM-ის ტიპის ბომბების გამოყენება ხშირად სტრატეგიული ბომბდამშენებიდანაც ხდება. ფოტოზე GBU-31

ჭურვილი 651 ბომბი დააყარეს. განადგურდა სამიზნეების 78%. არსებული ცნობებით ბომბების გამოყენების სიზუსტემ 96% შეადგინა.

იმავე წლის აპრილში დაიწყო მუშაობა მათი სიზუსტის გაზრდაზე. შემუშავდა დამიზნების ავტონომიური სითბოვიზური სისტემა DAMASK-ი, რომლის გამოყენებისას სამიზნიდან ბომბის სავარაუდო წრიული გადახრა 3 მ-ს არ აღემატებოდა. კომპლექტი ბომბის ცხვირზე დამაგრებად სითბოვიზურ თვითდამიზნების თავს წარმოადგენს. სამიზნის კოორდინატებს ოპერატორი საბრძოლო გაფრენის წინ ადგენს, შემდეგ მონაცემები თვითმფრინავის საბორტო კომპიუტერში შეჰყავს, საიდანაც ის პილონზე დაკიდებულ ბომბს გადაეცემა.

1999 წელს იმავე ფირმამ მიერ Alenia Marconi Systems-მა JDAM-ის ტიპის მართვადი ბომბებისთვის ფრთების დამატებითი კომპლექტი შეიმუშავა. ფრთები ბომბის ზედა ნაწილზე მაგრდება და მათი წყალობით ბომბის გამოყენების დისტანცია 16-24-დან 64-96 კმ-მდე იზრდება. კომპლექტის გამოცდა, რომელსაც JDAM-ER ეწოდება, 2000 წელს შედგა. თვითმფირნავიდან ორი GBU-31-ის ტიპის ბომბი, შესაბამისად, 6000 და 7600 მ სიმაღლიდან ჩამოაგდეს, 0,8□ სიჩქარით. პირველმა სამიზნემდე 43.2 კმ, მეორემ კი 65 კმ გაიფრინა. თუ „ბოინგის" სპეციალისტების გათვლებს ვენდობით, ფრთების დამატებითი კომპლექტით აღჭურვილ ბომბს 12000 მ სიმაღლიდან ჩამოგდებისას 75 კმ-მდე მანძილის გაფრენა შეუძლია. თუ ეს ციფრი რეალობას შეესაბამება, გამოდის, ამ კომპლექტით აღჭურვილი 900 კგ-იანი ბომბი ეფექტურობით „ჰაერი-მიწა" კლასის ტაქტიკურ რაკეტას უტოლდება, ხოლო დამანგრეველი ძალით აღემატება კიდეც.


JDAM-ER-ის გამოყენების შემთხვევაში, ბომბის ჩამოგდების სიმაღლიდან გამომდინარე, მისი ფრენის დისტანცია 16-24-დან 64-96 კმ-მდე იზრდება

2000 წლის იანვარში ფირმა „ბოინგთან" გაფორმდა კონტრაქტი GBU-31-ისა და GBU-32-ის 7800 კომპლექტის დამზადებაზე, იმავე წლის აპრილში კი აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ დამატებით 8163 კომპლექტი შეუკვეთა. მწარმოებელი ფირმა თვეში 700 კომპლექტს ამზადებს. აშშ უახლოესი 10 წლის განმავლობაში სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის 62000 კომპლექტის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და საზღვაო ქვეითთა კორპუსისთვის კი 25500 კომპლექტის შეძენას აპირებს.

ამ ტიპის ბომბებს ამერიკული ავიაცია ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის საწყის ეტაპზე, თალიბებთან საბრძოლველად იყენებდა. კონფლიქტის საწყის ეტაპზე მართვადი ბომბების 45-48% სწორედ თანამგზავრული ნავიგაციის სისტემით აღჭურვილ ბომბებზე მოდიოდა. აქვე მიიღო საბრძოლო ნათლობა BLU-118/B-ის ახალმა, შეღწევადი თერმობარული ტიპის საბრძოლო ქობინმა. მასზე მუშაობა 2001 წლის დეკემბერში დაიწყო, 2002 წლის 3 მარტს კი პირველად გამოიყენეს თალიბების მიწისქვეშა გვირაბების დასაბომბად. 895 კგ-იანი ბომბის მასიდან 245 კგ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე მოდის. მისი აფეთქებისას წარმოიქმნება მაღალი წნევის არე, რომელიც დახურულ სივრცეში მაქსიმალურ ეფექტს აღწევს. თერმობარული საბრძოლო ქობინი სტანდარტული ბომბის BLU-109/B-ს კორპუსით გამოიყენება. განსხვავება ფეთქებად ნივთიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თერმობარული საბრძოლო ქობინის მქონე BLU-118-ის აფეთქების მომენტი

ბასა და ამფეთქშია. მას მოქმედება როგორც კონტაქტურად, ასევე დიდი დაყოვნებით შეუძლია.

თანამგზავრული ნავიგაციის სისტემის გამოყენებით, სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის განკუთვნილი GBU-31(V)5/B-ის ბაზაზე, მისი საბრძოლო ქობინის ცვლილების გზით, შეიქმნა მოდიფიკაცია BLU-119/B, რომელსაც ფუგასურ-სეგმენტური საბრძოლო ქობინი აქვს. ამ უკანასკნელით ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის სტაციონარული საწყობების განადგურება შეიძლება. ამასთან, მისი გამოყენებისას არ ბინძურდება გარემო. ბომბში 140 კგ-ის მასის მქონე თერმოქიმიური კონტეინერია, რომელიც ტიტანისა და ბორის გრანულირებულ ნარევსა და ლითიუმის პერქლორატს შეიცავს. როცა საბრძოლო ქობინი წინააღმდეგობას გაარღვევს, პროგრამირებადი ამფეთქის მოქმედებიდან გამომდინარე, ცეცხლგამჩენი ნარევის კონტეინერები გამოიტყორცნება. ეგზოთერმული ქიმიური რეაქციის შედეგად, რასაც თან მაღალი ტემპერატურა სდევს (1500 გრადუსამდე 15 წთის განმავლობაში), ქლორი, ფთორი და მათი მჟავები გამოიყოფა. ქიმიური რეაქციის პროდუქტებს, მაღალ ტემპერატურასთან ერთად ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის განეიტრალება შეუძლია (ციმბირის წყლულის, ებოლის ციებ-ცხელების ბაქტერიები და სხვ), რეაქციისას წარმოქმნილი მცირე ჭარბი წნევა კი ამცირებს მავნე ნივთიერებების გამოტყორცნას ზედაპირზე. მომწამვლელი ნივთიერებების შემცვლელი კონტეინერები ბომბის საბრძოლო ქობინში შემავალი სპეციალური დამაზიანებელი ელემენტებით ზიანდება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მართვადი ბომბები „ლუგვების“ ბაზაზე შეიქმნა, ამავე დროს მათ მაღალ ეფექტურობას, გამოდის, ზოგჯერ მათი გამოყენება უფრო მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე რაკეტებისა. ერთი GBU-38-ის კომპლექტის ღირებულება 35000-ს, GBU-31-ისა კი — 70000 დოლარს შეადგენს. არსებობს ამ ბომბების ზებგერითი სიჩქარით ჩამოგდების პრეცენდენტებიც.

დღეს JDAM-ის კომპლექტით აღჭურვილი ბომბები აშშ-ის გარდა, ავსტრალიის, ბელგიის, ჩილეს, დანიის, ომანის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, გერმანიის, ისრაელის, იტალიის, იაპონიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პაკისტანის, პოლონეთის, პორტუგალიის, საუდის არაბეთის, სინგაპურის, სამხრეთ კორეისა და თურქეთის შეიარაღებაშია.

*თემურ პულუზაშვილი*



ცხვირა ნაწილზე არსებული დამიზნების სითბოვიზური სისტემით აღჭურვილი ბომბი GBU-31

შეიარაღებაში არსებული JDAM-ების დიდი რაოდენობის მიუხედავად, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები სასწავლო მიზნებში მათ უმართავ „კოლეგებს“ მაინც იყენებენ. ფოტოზე Mk 84



„იტალიის წითელი ბრიგადები“ დასავლეთ ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვანი მემარცხენე-რადიკალური დაჯგუფებაა, რომელიც ახლაც კი კომუნიზმის იდეების ერთგულია. საინტერესოა, რომ ორგანიზაციის აქტივისტები, ანუ როგორც მათ უწოდებენ, „ბრიგადისტები“, ირწმუნებიან, რომ მსოფლიოში კომუნიზმი მალე დამყარდება, ოღონდ ამისთვის საჭიროა „შეიარაღებული პროპაგანდა“. XX საუკუნის 70-იან წლებში შექმნილი „წითელი ბრიგადები“ იტალიაში დღესაც ბობოქრობს და სხვათა შორის, სულ ახლახან დასავლურ მასმედიაში გაიელვა ინფორმაციამ, რომ 2007 წლის თებერვალში იტალიელმა კარაბინიერებმა დააკავეს „წითელი ბრიგადების“ 15 აქტივისტი, რომლებიც პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონიზე თავდასხმას გეგმავდნენ. თავის დროზე, იტალიელ სამართალდამცველებს ამაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამთ, მაგრამ ახლა მათაც დაადასტურეს, რომ დაკავებულები „წითელი ბრიგადების“ წევრები იყვნენ.

# „წითელი ბრიგადები“

## კომუნიზმის პროპაგანდა იარაღით



ტერორისტთა მორიგი მსხვერპლი

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ არსენალი №20

### სტრუქტურა, ტაქტიკა და ამოცანები

სტრუქტურით „წითელი ბრიგადები“ არცთუ ისე განსხვავდება სხვა ტერორისტულ დაჯგუფებათაგან. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს უმაღლესი მეთაური, რომელსაც Capocolonna ეწოდება. მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს „ბრიგადების აღმასრულებელი კომიტეტი“ (Il Comitato Esecutivo delle Brigate); მისი წევრები კი არიან იტალიის სხვადასხვა მხარეში მოქმედი შეიარაღებული რაზმების ხელმძღვანელები და „პროლეტარულ სასამართლოთა“ მსაჯულები. აღსანიშნავია ისიც, რომ „წითელი ბრიგადების“ წევრთა და მათ გულშემატკივართა რაოდენობა, დაუზუსტებელი მონაცემებით, მილიონ-ნახევარსაც კი აღემატება.

დღეს „წითელი ბრიგადების“ ფილიალები იტალიის ყველა დიდ ქალაქშია. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ისინი შედარებით შეზღუდული არიან. თითოეულ ფილიალს ჰყავს თავისი ხელმძღვანელობა, რომელსაც სასამართლო და შეიარაღებული დაჯგუფება ექვემდებარება და აქვს სახელწოდება. მაგალითად, ნეაპოლში მოქმედებს „წითელი ბრიგადების საპატიმროთა ფრონტი“, ხოლო გენუაში კი „წითელი ბრიგადების პარტიზანული განყოფილება“ და ა.შ. არცთუ იშვიათად ერთ ქალაქში არის „წითელი ბრიგადების“ რამდენიმე ფილიალი, როგორც ლენინისტური, ისე მაოისტური მიმართულებებისა, თუმცაღა ყველანი ერთ, უმაღლეს მეთაურს ემორჩილებიან: „კომუნიზმში შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი ხედვა, მაგრამ მიზანი ერთია“, — ამგვარია „წითელი ბრიგადების“ ხელმძღვანელთა აზრი ამ საკითხზე.

ფილიალები ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტისა და უმაღლესი მეთაურის დაუმორჩილებლობა არ ეპატიებათ.

„წითელი ბრიგადების“ ყველაზე მეტი ფილიალი იტალიის პენიტენციარულ ორგანოებშია, სადაც „წითლები“, ტრადიციულად, სამართალდამცველთა გარდა, მაფიასაც უპირისპირდებიან ხოლმე. იტალიის ციხეები პირობითად „წითელ“ და „შავ“ ზონებად იყოფა; ცხადია, „წითელ ზონაში“ ძალაუფლება „წითელი ბრიგადებისა“ და მათი „პროლეტარული სასამართლოების“ ხელშია, ხოლო „შავ ზონებში“ კი მაფია ბატონობს. იტალიელ ექსპერტთა ცნობით, XXI საუკუნის დასაწყისისათვის „წითელი ბრიგადების“ ერთი ფილიალი პალერმოს „უჩარდონეს“ ციხეშიც კი აღმოჩნდა, სადაც ადრე „მაფიას“ ნამდვილი დიქტატურა ჰქონდა დამყარებული. ჩვეულებრივ კი „წითელი ბრიგადები“ სამხრეთ იტალიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალაქ ნეაპოლს, ნაკლებად პოპულარული არიან.




იტალიის გარეთ „წითელი ბრიგადების“ წარმომადგენლობები არის შვეიცარიაში (კანტონ ტესინოში), საფრანგეთში (სავოიასა და ნიცაში), მონაკოსა და ავსტრიაში, აგრეთვე, არგენტინასა და ბრაზილიაში. ისინი ან არალეგალურად მოქმედებენ, ან რეგისტრირებული არიან როგორც მემარცხენე მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციები.

„წითელი ბრიგადების“ საბრძოლო ტაქტიკა „ტერორისტულია“ — ორგანიზაციის აქტივისტები სამართალდამცველებთან მასშტაბურ დაპირისპირებას თავს არიდებენ, დახელოვნებული არიან ქალაქის პირობებში პარტიზანული ომის წარმართვაში, მასობრივი არეულობებისა

და ამბოხებების მოწყობაში და ა.შ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პენიტენციარულ ორგანოებში პროპაგანდასა და პატიმართა კამიკაძეებად გამოყენებას. ამ მიზნით არჩევენ ისეთ ხალხს, რომელსაც თავისუფლება მუდმივად ან ძალზე ხანგრძლივად აქვთ აღკვეთილი; სამაგიეროდ, ტერაქტის შემდგომ მათ ოჯახებს „წითელი ბრიგადების“ აღმასრულებელი კომიტეტი მუდმივ პენსიას უნიშნავს.

„წითელი ბრიგადების“ თეორეტიკოსთა აზრით, ტერაქტი ძალის დემონსტრირება უფროა, ვიდრე მსხვერპლის დასჯის ერთ-ერთი საშუალება. ამიტომაც ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველასთვის ყველაფერი ცხადი იყოს, — „წითელ ბრიგადებს“ მსხვერპლის უჩუმრად განადგურება არ სჩვევიათ; ჩვეულებისამებრ, ორგანიზაციის აქტივისტები ტერაქტამდე რამდენიმე ხნით ადრე დაყრიან ხოლმე ჭორს, რომ ამა და ამ პოლიტიკოსს ან ბიზნესმენს მათი ხელით სიკვდილი ემუქრება. შემდეგ, როცა ტერაქტს მართლაც მოაწყობენ, „წითლები“ პასუხისმგებლობის აღებას წუთითაც არ აყოვნებენ. ასეთი ტაქტიკა მსოფლიოში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებების უმრავლესობას აქვს და ის „პოლიტიკური ტერორის“ სახელითაა ცნობილი. მაგალითად, მაფია, „ნდრაგეტა“ და იტალიის სხვა ტრადიციული კრიმინალური გაერთიანებები მსხვერპლთა მალულად განადგურებას უფრო ამჯობინებენ.

თანამედროვე „წითელ ბრიგადებში“ აშკარად შეიმჩნევა ე.წ. ნახევრად ლეგალიზებისაკენ მიდრეკილება, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილები ფიქციურად რეგისტრირდება პოლიტიკურ ან არასამთავრობო გაერთიანებებად და, ასევე ფიქციურად გმობს ტერორიზმს, თუმცაღა მემარცხენე-რადიკალურ იდეებს არ ღალატობს. ამგვარი ტენდენციები 11 სექტემბრის ტერაქტთა შემდგომი პერიოდიდან შეინიშნება, როცა მსოფლიოში ანტიტერორისტული განწყობა არნახულად გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, იტალიელ სამართალდამცავთა აზრით, „წითელი ბრიგადების“ ძირეულ ტრანსფორმაციაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. სხვა რომ არა იყოს რა, 70-იანი წლების „ბრიგადების“ ლიდერები ისევ ცოცხალი არიან და პარტიულ მოღვაწეობასაც აგრძელებენ. მაგალითად, 64 წლის რენატო კურჩო ახლაც „იტალიის მებრძოლ კომუნისტურ პარტიას“ მეთაურობს, ხოლო ალბერტო ფრანჩესკინი ერთ-ერთი მემარცხენე-



**„წითელ ბრიგადებს“ ჰყავთ საზღვარგარეთელი მოკავშირეებიც. უპირველეს ყოვლისა, ლიბიის სახალხო ჯამაჰირიის ლიდერი მუამარ კადაფი, ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო; ასევე, იასირ არაფატიც, რომლის გარდაცვალების შემდეგ „ბრიგადისტებმა“ ფლირტი „ჰამასისა“ და „ჰეზბოლას“ ლიდერებთან გააჩაღეს.**

რადიკალური გაზეთის რედაქტორია და რამდენიმე წლის წინ მემუარებიც გამოსცა.

„წითელი ბრიგადების“ წევრები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ანტიგლობალისტურ მოძრაობასთან, იზიარებენ და პროპაგანდას უწევენ მათ იდეებსაც; კერძოდ, ისინი მოითხოვენ იტალიის გასვლას ევროკავშირიდან და ნატოდან. როგორც „კორიერე დელა სერა“ წერდა, „ბრიგადისტები“ 2007 წელს სილვიო ბერლუსკონის ლიკვიდირებას სწორედ „პოლიტიკური კურსის შეცვლის მიზნით“ გეგმავდნენ.

## „წითელი ბრიგადების“ მხარდამჭერები პოლიტიკაში და საზღვარგარეთელი მოკავშირეები

იტალიის პოლიტიკაში მემარცხენე-რადიკალები დღეს მნიშვნელოვან როლს ვერ თამაშობენ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოებში მაინც არიან. „წითელ ბრიგადებს“ ოფიციალური პოლიტიკური მხარდამჭერები არა ჰყავთ, მაგრამ იტალიელი ექსპერტების აზრით, ამ ორგანიზაციას კავშირი უნდა ჰქონდეს „იტალიის პოლიტიკურ-მილიტარისტულ კომუნისტურ პარტიასთან“, რომელიც 2007 წლიდან ქვეყანაში ნახევრად ლეგალურად მოქმედებს; გარდა ამისა, არსებობს „იტალიის მებრძოლი კომუნისტური პარტიაც“, რომელსაც რენატო კურჩო მეთაურობს. გენუის, პადუისა და იტალიის ზოგი სხვა ქალაქის საკანონმდებლო ორგანო „ჯუნტაში“ ეს პარტიები ახლაც კი არიან წარმოდგენილი.

თანამედროვე იტალიის პარლამენტში კი ერთი მემარცხენე-რადიკალური პარტიაა — „წინააღმდეგობის მხარდამჭერის კომიტეტები — კომუნიზმისათვის“ (Comitati alla Resistenza per il Comunismo, CARC), რომელიც მაოისტური მიმართულების პოლიტიკური გაერთიანებაა; ე.წ. „ზომიერი მემარცხენენიც“ ბევრი არიან: „იტალიის კომუნისტთა პარტია“, „იტალიის სოციალისტური პარტია“, „იტალიის კომუნისტური გაერთიანება“, „დემოკრატი-მემარცხენეები“, „მემარცხენე მოძრაობა“, „მემარცხენე გაერთიანება“ და ა.შ. CARC „იტალიის პოლიტიკურ-მილიტარისტულ კომუნისტურ პარტიას“ 1991 წელს გამოეყო და საკმაოდ გავლენიან ძალად ითვლება. პარტიის წარმომადგენლებმა 2007 წელს „ბრიგადისტების“ დაკავების გამო განაცხადეს, რომ ტერორისტთა გააქტიურების მთავარი მიზეზი სილვიო ბერლუსკონის პოლიტიკა იყო; სხვათა შორის, იტალიური მასმედიის ინფორმაციით, CARC-ს მჭიდრო კავშირი აქვს „წითელი ბრიგადების“ მაოისტური მიმართულების ფილიალებთან.

„წითელ ბრიგადებს“ ჰყავთ საზღვარგარეთელი მოკავშირეებიც. უპირველეს ყოვლისა, ლიბიის სახალხო ჯამაჰირიის ლიდერი მუამარ კადაფი, ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო; ასევე, იასირ არაფატიც, რომლის გარდაცვალების შემდეგ „ბრიგადისტებმა“ ფლირტი „ჰამასისა“ და „ჰეზბოლას“ ლიდერებთან გააჩაღეს. რასაკვირველია, ამ მემარცხენე ლიდერების უკან საბჭოთა კა-გე-ბეს სილუეტიც ილანდება; მით უმეტეს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში იტალიაში არალეგალურად დიდძალი რუსული იარაღი და საბრძოლო მასალა შევიდა; როგორც სამართალდამცველებმა და კონტრდაზვერვამ დაადგინეს, ეს იარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთხანს ორგანიზაციის აქტივისტები პოლიციელებთან დაპირისპირებას არ ერიდებოდნენ

ლი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული საბჭოთა ბაზებიდან იყო გატანილი.

„წითელ ბრიგადებს“ მჭიდრო კავშირი აქვთ მსოფლიოში მოქმედ ისეთ დაჯგუფებებთან, როგორიცაა „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები“, „სენდერო ლუმინოსო“, „ირლანდიის რესპუბლიკური არმია“, „ნაქსალიტები“, „იაპონიის წითელი არმია“, „ეტა“, „გერმანიის წითელი არმიის ნაწილები“ და ა.შ. ბუნებრივია, იტალიელ „წითლებს“ ამ ორგანიზაციებთან საერთო იდეოლოგიური პლატფორმა და შეხედულებები აერთიანებს. გარდა ამისა, „წითელი ბრიგადები“ გაწევრებულია ე.წ. „ევროპის მემარცხენე-რადიკალურ ინტერნაციონალში“, რომელშიც მის გარდა, შედის აგრეთვე „გერმანიის წითელი არმიის ნაწილები“, ბერძნული „17 ნოემბრის მოძრაობა“, ირლანდიური „შინ ფეინი“, „რესპუბლიკური არმია“, ბასკური „ეტა“ და ა.შ.

## „წითელი ბრიგადების“ ცნობილი აქციები

1969 წლის შემოდგომა — მასობრივი არეულობები მილანის ფაბრიკა-ქარხნებსა და უნივერსიტეტებში, რასაც წინ უძღოდა იტალიის წითელ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, მუშათა და სტუდენტთა უფლებების უხეში დარღვევის თაობაზე. სწორედ მაშინ ერთ-ერთ სტუდენტურ მიტინგზე მარგერიტა კაგოლი იარაღით წარდგა და სიტყვის დამთავრებისთანავე ჰაერში გაისროლა იმის ნიშნად, რომ პროლეტარიატი ბრძოლას იწყებდა;

1970 წლის 14 აგვისტო — მუშათა შეიარაღებული აჯანყება მილანის „პეკორილეს“ ქარხანაში. კარაბინიერებმა ერთკვირიანი ალყის შემდეგ ქარხანაში წესრიგი კვლავ აღადგინეს, თუმცაღა მათ ამისათვის მძიმე ტექნიკის მოშველიება დასჭირდათ. მაშინ მეამბოხეებმა თავიანთ თავს პირველად უწოდეს „წითელი ბრიგადები“. მაშინ ორივე მხარეს 15 კაცი დაიღუპა და ამდენივე დაიჭრა.

1974 წლის 18 აპრილი — „წითელმა ბრიგადებმა“ გაიტაცეს პროკურორი მარიო სოსი, რომელმაც ამ ორგანიზაციის ლიდერებს: ალბერტო ფრანჩესკინის, მარგერიტა კაგოლს, მარიო მორეტის და პიეტრო ბერტოლაცის დაუსწრებლად მიუსაჯა კატორღა. მარიო სოსი კარაბინიერებმა იმავე წლის მაისში გაათავისუფლეს.

1974 წლის 17 ივნისი — „წითელი ბრიგადების“ ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა ქალაქ პადუაში, ძაბარელას ქუჩაზე, „იტალიის სოციალური მოძრაობის“ ოფისში პირველი ტერაქტი მოაწყო, რომელსაც ემსხვერპლნენ კარაბინიერი გრაციანო ჯირალუჩი და კომერციული აგენტი ჯუზეპე მაცოლა; „წითელმა ბრიგადებმა“, პასუხისმგებლობის აღებისას, „იტალიის სოციალური მოძრაობა“ ნეოფაშისტურ გაერთიანებად მონათლეს;

1978 წლის 16 მარტი — „წითელმა ბრიგადებმა“ გაიტაცეს იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პოლიტიკოსი ალდო მორო, რომელიც 55 დღის განმავლობაში ტყვედ ჰყავდათ. „წითელ ბრიგადებს“ დატყვევებულის გათავისუფლების მოთხოვნით თვით რომის პაპმა მიმართა (ბულით — „თქვენ, წითელი ბრიგადის წევრებო“), მაგრამ ამაოდ — ალდო მოროს გვამი სამართალდამცავებმა 1978 წლის 9 მაისს, ქრისტიან-დემოკრატთა ოფისის ახლოს გაჩერებული ძველი „რენოს“ საბარგულში ნახეს.

1980 წლის 12 თებერვალი — „ბრიგადისტებმა“ მოკლეს ეკონომიკური სამართლის პროფესორი ვიტორიო ბაშელეტი, რომელიც ამავდროულად საზოგადოებრივ მოძრაობა „კათოლიკურ მოქმედებას“ (L'Azzione Cattolica) ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით „წითელმა ბრიგადებმა“ განაცხადეს, რომ „კათოლიკური მოქმედება“ ნეოფაშისტური გაერთიანება იყო და მისი ბევრი წევრი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთანაც კი თანამშრომლობდა.

1986 წლის 10 თებერვალი — ცნობილი ფლორენციელი საქმოსნის, ლანდო კონტის მკვლელობა. „წითელმა ბრიგადებმა“ პასუხისმგებლობის აღების დროს განაცხადეს, რომ ლანდო კონტი სისტემატურად უგულებელყოფდა მუშების ინტერესებს.

1988 წლის 16 აპრილი — „ბრიგადისტებმა“ ტერაქტი მოუწყვეს სენატორ რობერტო რუფილის, რომელიც იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ჩირიაკო დე მიტას გუნდის წევრი იყო და როგორც მემარცხენე-რადიკალები ირწმუნებოდნენ, მას „შავბნელი საქმეების კეთებაში“ ეხმარებოდა.

1997 წლის 11 მარტი — „წითელი ბრიგადების“ ერთ-ერთმა რაზმმა ქალაქ ტურინში საპროტესტო დემონსტრაცია გამართა, რომლის მსვლელობისას კარაბინიერებთან შეტაკება მოუხდათ. დაიღუპა 5, დაიჭრა 15-მდე კაცი ორივე მხრიდან. იმავე დღეს „ბრიგადისტებმა“ განაცხადეს, რომ „სახელმწიფოებრივ უსამართლობაზე“ თვალს არ დახუჭავდნენ.

2004 წლის ბოლო — გენუის ქალთა ციხეში „ბრიგადისტებმა“ ბუნტი ატეხეს და ადმინისტრაცია პატიმართა უფლებების დაცვა მოსთხოვეს. „წითელი ბრიგადების“ ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელმა, ვინმე ჩინცია ბანელიმ, იგივე „ამხანაგმა სომ“, შემთხვევის ადგილზე მისულ კარაბინიერებს განუცხადა, რომ ციხის შენობა პატიმრებს დანაღმული ჰქონდათ. მოლაპარაკებათა შედეგად „ბრიგადისტთა“ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბუნტი შეწყდა.

2007 წლის 12 თებერვალი — იტალიელმა სამართალდამცველებმა დააპატიმრეს 15 „ბრიგადისტი“, რომლებიც პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის ლიკვიდირებას გეგმავდნენ. ისინი ბერლუსკონის ვილის ტერიტორიაზე იმ დროს აიყვანეს, როდესაც იქაურობის დანაღმვას აპირებდნენ; იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ საქმის დეტალები მხოლოდ 2010 წელს გამოამჟღავნა.

მიხეილ ლაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრივატიზებული ომები და კერძო მეომრები

სამიზნე აფრიკაა

მეოცე საუკუნეში დაქირავებულ მებრძოლთა მთავარი სამიზნე აფრიკა იყო. დადგა დრო და კონტინენტი მეორე მსოფლიო ომის, კორეის, ვიეტნამისა და სხვა ომების ვეტერანებით გაივსო. მათ კოლონიებში ვითარების გასაკონტროლებლად იყენებდნენ. შემდეგ კი, დეკოლონიზაციის პერიოდში, „ომის ძაღლებმა“ (ასე უწოდებენ დაქირავებულებს) აფრიკის კონტინენტი სისხლით შეღებეს. მაშინდელი ომის კორიანტელი დღესაც გრძელდება ზოგიერთ რეგიონში. ალჟირში, ჯიბუტში, ლიბერიაში, კოტ-დ'იუვარში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ჩადში და სხვა ქვეყნებში რელიგიურ, პოლიტიკურ და ეთნიკურ ნიადაგზე გაჩაღებულმა სასაკლაოებმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ათობით მილიონი დევნილად აქცია. ამის გამო კანონიერ (და არცთუ კანონიერ) რეჟიმებს თვითონ უწევთ ხელისუფლების ბრძოლით მოპოვება და შენარჩუნება. სწორედ ასეთ ვითარებაში სთავაზობენ მათ სამსახურს ზოგიერთი „კერძო არმიის“ მებრძოლები. ერთ-ერთი ასეთი არმია იყო სამხრეთაფრიკული EO-ი, რომელმაც სახელი 1995 წელს სიერა-ლეონეში გაითქვა. აჯანყებულები ყველაფერს ანგრევდნენ და ახალ-ახალ ტერიტორიებზე გადადიოდნენ. საბოლოო სასაკლაოს მოწყობის დღეც მალე მოახლოვდა. სწორედ ამ დროს მიმართა კუთხეში მიმწყვდეულმა ხელისუფლებამ EO-ს და ქვეყანაში ჩავიდა მხოლოდ 160 დაქირავებულისგან შემდგარი ქვედანაყოფი, რომლებმაც სამთავრობო ჯარები გადაახალისეს და გაწვრთნეს. ამის წყალობით ორი კვირის განმავლობაში მიაღწიეს მოვლენათა განვითარების გარდატეხას. საბრძოლო შვეულმფრენების ელვისებურმა დარტყმებმა და ტანკების გამოყენებამ მოწინააღმდეგის, რომელიც ასჯერ აღემატებოდა მათ რაოდენობას, განადგურებას შეუწყო ხელი, თვითონ კი ერთი ჯარისკაციც არ დაუკარგავთ.



**ბრუკინგის ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, ერაყში ამ დროისთვის 160-ათასიან სამხედრო კონტინგენტთან ერთად საომარ მოქმედებებში მონაწილეობს 200 ათასი სამოქალაქო პირი. მათგან 120 ათასი ერაყელია, 21 ათასი ამერიკელი, 59 ათასი კი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე. ომი მათი სტიქიაა. ბიზნესი ბიზნესია და პოლიტიკა არაფერ შუაშია. ამიტომ იქ იმ ქვეყნის მოქალაქეებიც იყრიან თავს, რომლებიც ომში ოფიციალურად არ მონაწილეობენ...**

1998 წელს სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებამ აკრძალა დაქირავებული ჯარები. დაქირავებულებმა ანგოლაშიც წაიმუშავეს, მაგრამ ქვეყანას მშვიდობა ვერ მოუტანეს. პირიქით, 1975 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ამ ქვეყანაში 30 წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა სამოქალაქო ომი. იბრძოდნენ მოკავშირეთა ჯგუფები, ანგოლის განმათავისუფლებელი სახალხო მოძრაობა (VGKF) და ანგოლის საბოლოოდ გათავისუფლების ნაციონალური კავშირი (EYBNF), მათ დასახმარებლად კი მთელ მსოფლიოში შეკრებილი „ომის ძაღლების“ 80 „კერძო არმია“, მათ შორის — ფრანგი ლეგიონერები, სამხრეთაფრიკელი მედესანტეები, რუსი და უკრაინელი პილოტები, ნეპალელი გურკჰები.

კონგოში „კერძო ჯარები“ ყველა მეომარ მხარეს ჰყავდა დაქირავებული. ფრანგულმა Geolink-მა ვერ შეძლო დიქტატორ მობუტუს დამარცხების თავიდან აცილება. გაიმარჯვა მისმა მოწინააღმდეგე კაბილამ და თავად დაიქირავა ყოფილი მოწინააღმდეგის დამცველი, მობუტეს მომხრეებმა კი სამხრეთ აფრიკის კერძო სამხედრო ფირმა Stabilcon-ს მიმართეს დახმარებისთვის. შემდეგ მკვეთრად გაუარესდა მდგომარეობა ჩადში. აჯანყებულებმა სუდანელი ბოევიკების მხარდაჭერით დედაქალაქ ნჯამენას შეუტიეს. თვით სუდანელებისთვის კი ომი 2000 წელს პროვინცია დარფურში ნავთობის უზარმაზარი საბადოს აღმოჩენის შემდეგ დაიწყო.

ახლახან სისხლი მშვიდობიან ტურისტულ კენიაშიც დაიღვარა. სამართალდამცველებმა მოულოდნელად პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გადასინჯვა მოითხოვეს, რასაც ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. როლები კარგადაა გადანაწილებული: ერთნი ცეცხლზე ნავთს ასხამენ, მეორენი ხანძრის ჩასაქრობად დაქირავებულებს გზავნიან. საკრიზისო მენეჯერების დახმარებისთვის მზადყოფნის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელები დაინტერესებული არიან ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებით. ამიტომაც აფრიკა ყველაზე სარფიანი სამიზნეა დაქირავებულთათვის. ისინი ხომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც ემსახურებიან. საბადოების დაცვაში დიდი ფული იშოვება, ხშირად კი ორმაგად მეტი, ვიდრე სხვაგან, რადგან ხშირად კლიენტი იმავე საბადოს დამამუშავებელი კონცესიის წარმომადგენელია, რომელსაც დაქირავებული იცავს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, „ომის ძაღლები“ აფრიკისათვის განსაკუთრებულად საშიში არიან. დღეს იქ დაახლოებით 100 კერძო ფირმა სთავაზობს სამსახურს დამქირავებლებს.

## ევროპა – დაქირავებული პროფესიონალი გაწვეული ჯარისკაცის მაგიერ

სოციალისტური სისტემის დანგრევამ მსოფლიოში სამხედრო თანაფარდობა შეცვალა. საბჭოთა ჯარების მოსალოდნელი აგრესიის შიშისგან გათავისუფლებული დასავლეთის ქვეყნები თანდათან ამცირებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს. NATO-ს წევრმა ყველა ევროპულმა ქვეყანამ შეამცირა ტანკების, სამხედრო თვითმფრინავებისა და გემების რაოდენობა. სამაგიეროდ იზრდება ჯავშანტრანსპორტიორების, სატრანსპორტო თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და სადესანტო გემების რიცხვი, ანუ იქმნება დაბალი ინტენსივობის ლოკალური კონფლიქტებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა. ასეთ ვითარებაში „ცივილიზებული სამყარო“ მაძღარი ცხოვრების მახეში ებმება: ჯარში სამსახური არავის სურს. მაგალითად, გერმანიაში 440 ათასი წვევამდელისგან ჯარში (9 თვით) სამსახურს 70 ათასი კაცი ირჩევს, 60 ათასი კი ალტერნატიულ სამსახურს. საზოგადოებისთვის უკვე უცხო გახდა სამშობლოს წინაშე ვალისა და ვაჟკაცური მოვალეობის მოხდა, ამიტომ არმიებში გაწვევა ძალზე გართულებულია ევროპის ქვეყნებში. ადამიანური რესურსების ხარისხის სწრაფად კლების გამო ეს მოვლენა ბუნებრივია. არმიების ფორსირებული შეკვეცა და რაც დარჩა, იმისი პაციფიკაცია ახალი ამოცანების არაადეკვატურია, რადგან მესამე სამყაროს ქვეყნებში საპოლიციო ოპერაციების ჩატარება სპეციფიკური და ძალზე სახიფათოა. რა თქმა უნდა, ევროპელების უმრავლესობას არ სურს საბედისწერო სიტუაციებში მოხვედრა და ხელისუფლებას ისღა დარჩენია, არმია შეიარაღებული უცხოელებით შეავსოს ან კერძო შეიარაღებულ პროფესიონალებს სთხოვოს დახმარება. პირველი გზა აირჩიეს საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და ესპანეთმა, რომლებმაც ეროვნული შეიარაღებული ძალები უცხოურ ლეგიონებად აქციეს. მათ ყოფილი კოლონიის მოქალაქეებით შეავსეს დანაკლისი. ამ უკანასკნელებს კი სამშობლოში სიღატაკეში ცხოვრებას ჯარისკაცის ხიფათიანი სამსახური ურჩევნიათ. ასეთი მოტივაციების მქონე არმია კი ომისთვის არ გამოდგება.

## აშშ - ფსონი კერძო არმიებზე იდება...

სხვა გზა აირჩია ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მას, როგორც აქტიურად მებრძოლ ქვეყანას, სხვებზე მეტად ესაჭიროება დაქირავებული ძალები. სახმელეთო ჯარები და საზღვაო ქვეითთა კორპუსი, რომელთა მხრებზეც გადადის ომის სიმძიმე ერაყსა და ავღანეთში, დიდი დანაკარგის გამო მუდმივ შევსებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, მათი რაოდენობა თანდათან მცირდება, ამიტომ პენტაგონი დაქირავებულთა PMF (Private Militari Firms) გამოყენებას არჩევს. თავიდან ისინი მხოლოდ მაღალჩინოსნებს იცავდნენ (პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს) შემდეგ სატრანსპორტო კოლონებს მიაცილებდნენ, ბოლოს კი სამხედრო მოქმედებებზე გადავიდნენ. ბრუკინგის ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, იქ ამ დროისთვის 160-ათასიან სამხედრო კონტინგენტთან ერთად საომარ მოქმედებებში მონაწილეობს 200 ათასი სამოქალაქო პირი. მათგან 120 ათასი ერაყელია, 21 ათასი ამერიკელი, 59 ათასი კი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე. ომი მათი სტიქიაა. ბიზნესი ბიზნესია და პოლიტიკა არაფერ შუაშია. ამიტომ იქ იმ ქვეყნის მოქალაქეებიც იყრიან თავს, რომლებიც ომში ოფიციალურად არ მონაწილეობენ. მაგალითად, ამერიკულ და ინგლისურ PMF-ს რიგებში იბრძვიან გერმანელი დაქირავებულები, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ბერლინი იყო და არის ერაყში საომარი მოქმედებების მოწინააღმდეგეთა რიგებში. იქ თავისებური „კლასობრივი“ დაყოფა არსებობს. ამერიკელი და ინგლისელი ელიტური მცველები, რომლებიც დიპლომატებისა და ერაყის ხელისუფლების მაღალჩინოსნების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, დღეში გასამრჯელოდ 1.200 დოლარს იღებენ, ხოლო „მწვანე, უსაფრთხო ზონაში“ ბლოკპოსტზე მდგომი პერუელი, ანგოლელი და მექსიკელი „შავი მუშები“ თვეში 7.500 დოლარს. თუმცა მათი ბევრს არ შეშურდება, რადგან მათი დანაკარგიც დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც რეგულარულ არმიაში. გადაუმოწმებელი საინფორმაციო წყაროების მონაცემებით, მხოლოდ კომპანია Blackwater-მა ერაყში დაახლოებით 1000 მეომარი დაღუპულის, ხოლო 15000 დაჭრილის სახით დაკარგა. ამიტომაც კერძო ფირმები მთელ მსოფლიოში ეძებენ „საზარბაზნე ხორცს“. ლათინური ამერიკის კონტინენტზე დაქირავებულთა მოძიებით არის დაკავებული კორპორაცია Halliburton-ის სამხრეთამერიკული ფილიალი. ერაყში ამ რეგიონიდან დაახლოებით 10 ათასი დაქირავებული ჯარისკაცი და ოფიცერი იბრძვის. გარდა ამისა, უამრავი „ომის ძაღლი“ სთავაზობს სამსახურს დამქირავებელს რუსეთიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. იქ დაქირავებულები განსაკუთრებული იმუნიტეტით სარგებლობენ, ქვეყნის კანონები მათზე არ მოქმედებს, რის გამოც „ხელშეუხებლების“ წოდება დაიმსახურეს. დაქირავებულების დევიზია — „ნებისმიერი ადამიანი ბანაკს გარეთ პოტენციური მტერია, ასე რომ, დაასწარი გასროლა“. სამხედროებთან მათ დაძაბული ურთიერთობა აქვთ. ამერიკელებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობენ, „ომის ძაღლების“ მიერ ხალხის დახვრეტის შემდეგ, ყველაფრის თავიდან დაწყება უწევთ. გარდა ამისა, რეგულარული სამხედრო შენაერთების წევრებს მათი მაღალი ხელფასიც შურთ..



**ამერიკელი და ინგლისელი ელიტური მცველები, რომლებიც დიპლომატებისა და ერაყის ხელისუფლების მაღალჩინოსნების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, დღეში გასამრჯელოდ 1.200 დოლარს იღებენ...**

## PMF-ი, როგორც ბაზრის სეგმენტი

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მიმდინარე ლოკალურ ომებში დაქირავებულთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. იქ, სადაც ინგრევა სამართლიანობა და უძლურდება სახელმწიფო ხელისუფლება, აყვავებას იწყებს საკუთარი არმიების „ძველ-ახალი“ სახეობები, რომლებიც, როგორც ბაზრის სეგმენტი, ძალას იკრებს. 2006 წელს მსოფლიოში 3000-მდე PMF არსებობდა. აქედან ამერიკის კონტინენტზე 55% (მათი ნახევარი წარმოიშვა 11.09.2001-ის შემდეგ), 27% ევროკავშირიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აფრიკიდან 9-9%. მათი „თანამშრომლების“ რიცხვი 2 მილიონს აღწევს, ხოლო ჯამურმა საბაზრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალიზაციამ 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სხვადასხვა მონაცემებით, შეთავაზებული სამსახურის მოცულობამ წელიწადში 60-დან 180 მილიარდ დოლარს მიაღწია. დღეისთვის PMF-ი ორგანიზებული ტრანსნაციონალური კორპორაციების გლობალური სამხედრო ბიზნესია, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც გადახდის უნარი აქვს. ამ ბიზნესის მესვეურები კანონს არ არღვევენ, რადგან „კერძო ომის წარმოების" ამკრძალავი კანონი არ არსებობს.

XXI საუკუნის ლანდსკნეხტებმა (მე-XV-XVII საუკუნეების ევროპაში დაქირავებული მეომარი) უკვე გაინაწილეს ომის მსუყე ნაჭრები. ერაყში ათამდე კომპანია მუშაობს. დიდი მოთხოვნილებაა სამხრეთაფრიკულ ფირმებზე...

„ომის ინტერნაციონალისტები" მზად არიან დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეასრულონ საბრძოლო ამოცანები. მათი საქმეა საომარი მოქმედებები, სამხედრო მენეჯმენტი, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების დაცვა, კადრების მოზიდვა და გაწვრთნა, ყველა სახის ზურგის, საინჟინრო, სააეროდრომო და სატრანსპორტო უზრუნველყოფა, განაღმვა, საინფორმაციო დაზვერვა და უახლესი მომსახურება, ტექნიკური დაზვერვა. აქედან გამომდინარე, უპილოტო „პრედატორისა" და „გლობალ ხოიუს" მწარმოებელი ფირმები საომარ მდგომარეობაში ემსახურებიან და მართავენ საკუთარ პროდუქციას ერაყსა და ავღანეთში. სამხედროები მხოლოდ დავალებას აძლევენ და მიზანს უსახავენ მათ.

ეს ყველაზე სწრაფად მზარდი სამხედრო სფეროა დასავლეთში. აქ მომუშავე თადარიგში გასული არმიებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლები დიდ ზიანს აყენებენ მშობლიურ შეიარაღებულ ძალებს, რადგან „არსობის პურს"ართმევენ. სამხედრო სპეციალისტები აუქმებენ ხელშეკრულებებს და მიდიან ზემოხსენებულ ფირმებში სამუშაოდ. სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებს ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი ანებებს თავს.

თითქოს ყველა ამ კერძო კანტორას მხოლოდ ზიანი უნდა მოჰქონდეს სახელმწიფოსათვის, მაგრამ თურმე იგივე სახელმწიფო სარგებელსაც ნახულობს მათი მომსახურებით. უპირველეს ყოვლისა, PMF-ის წევრები დავალებას ნებისმიერი საშუალებით ასრულებენ (კანონების დაცვაზე არ ზრუნავენ). გარდა ამისა, მათი გამოყენება საგრძნობლად ამცირებს საკუთარ დანაკარგს. ჯარისკაცთა კუბოებისაგან განსხვავებით, დაქირავებულთა ცხედრები სამშობლოში ანონიმურად ბრუნდება და ოფიციალურ სტატისტიკას არ „ექვემდებარება". ამტკიცებენ, რომ PMF სახელმწიფოს გაცილებით ნაკლები უჯდება, ვიდრე საკუთარი არმიის შენახვა, სინამდვილეში კი



დაქირავებულებზე ათჯერ უფრო მეტი სახსრები იხარჯება, ვიდრე რეგულარულ არმიაზე, მაგრამ უკვე გვიანაა, პროცესი შეუქცევადია და დღეს მრავალ ქვეყანას კერძო ჯარების გარეშე შეზღუდული სამხედრო ოპერაციის ჩატარებაც კი არ შეუძლია. სწორედ იმის გამო, რომ დაქირავებულთა დანაშაულსა და მათ დანაკარგზე პასუხს არავინ აგებს, ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო ჩინოსნები და პოლიტიკოსები საკუთარი რეგულარული შეიარაღებული ძალების ნაცვლად PMF-ის გამოყენებას არჩევენ, მათი შენახვის სიძვირე კი არავის ანაღვლებს.

„კერძო არმიები" ავიწროებენ ტრადიციულ შეიარაღებულ ძალებს, ხდება ომის „პრივატიზება", PMF კი სულ უფრო პოპულარული ხდება. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაციებიც კი ხშირად სარგებლობენ მათი მომსახურებით.

## იურიდიული ასპექტი

დაქირავებულთა შეკრება-შეგროვება მკაცრად ორგანიზებული და საკმაოდ გამჭვირვალეა. ინტერნეტის მეშვეობით კლიენტებს გამოცდილ და კარგად გაწვრთნილ კადრებს სთავაზობენ. უპირატესობა ენიჭება 5-8 წლის გამოცდილების მქონე არმიული და საპოლიციო სპეცრაზმების ყოფილ მებრძოლებს. ხელფასი საჯარისო-სტანდარტულთან შედარებით 3-4-ჯერ მეტია. მუშაობის რიტმი „3 თვე სამსახური — 3 კვირა ფასიანი შვებულება". ფირმა მებრძოლს უზრუნველყოფს იარაღით, აღჭურვილობით, კვებითა და დაზღვევით, ხოლო დაქირავებულის დაღუპვის ან დასახიჩრების შემთხვევაში მის ოჯახს უწევს დახმარებას.

მებრძოლების დაქირავებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მხოლოდ 1977 წელს განმარტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, თუ რას ნიშნავს ეს ცნება. იგი ფორმულირებულია ჟენევის 1949 წლის კონვენციის დამატებითი პროტოკოლის სახით (გვ. 47): „დაქირავებული არის პირი, რომელიც გადაბირებულია შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობის მისაღებად" და იღებს მატერიალურ გასამრჯელოს, რაც გაცილებით სჭარბობს იმავე ქვეყნის რეგულარული ჯარების, იმავე რანგის სამხედრო მოსამსახურის ხელფასს. არ არის კონფლიქტის მონაწილე ქვეყნის მოქალაქე, არც სხვა ქვეყნის მიერაა გაგზავნილი კონფლიქტის ზონაში ოფიციალური ფუნქციების შესასრულებლად, საერთაშორისო შეთანხმებათა მოქმედება ქვეყნისთვის არის სავალდებულო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროტოკოლს ბევრი ქვეყანა არ ცნობს, სწორედ მისი 47-ე მუხლია ყველასათვის სავალდებულო. ცალსახა და საყოველთაო იყო აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1970 წლის დეკლარაცია: „თითოეული სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს რეგულარული ძალებისა და შეიარაღებული ბანდების, მათ შორის დაქირავებულთა რაზმების შექმნისაგან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაჭრელად".

დაქირავებულთა დაყოლიების, გამოყენების, დაფინანსებისა და სწავლების საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენციამ (04.12.1987 წ.) განსაზღვრა, რომ დაქირავებულთა მოქმედებები, ძირითადად, მიმართულია სახელმწიფოების კანონიერი ხელისუფლების დამხობისაკენ, კონსტიტუციური წესრიგისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევებისაკენ. საერთაშორისო სამართლის თანახმად, დაქირავებული მიჩნეულია საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავედ, რომელიც პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე. თუმცა ეს კონვენცია მიღებიდან თორმეტი წლის შემდეგ ძლივს შევიდა მოქმედებაში, ხელი კი მას მხოლოდ ოცდაათმა ქვეყანამ მოაწერა, რომელთაგან ზოგიერთი თვითონ იყენებდა დაქირავებულებს.

დაქირავებულებად არ ითვლებიან სამხედრო მრჩევლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, აგრეთვე უცხოური ჯარების მოსამსახურეები, რომლებიც ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე მოქმედებენ. არც მოხალისეები ითვლებიან დაქირავებულებად, თუკი ისინი მოქმედ არმიაში არიან ჩარიცხული (ჰააგის კონვენცია „სახმელე-

თო ომებში ნეიტრალური ქვეყნებისა და პირების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“).

PMF-ის მებრძოლები პროფესიონ-ალებისაგან დაკომპლექტებული კერძო არმიაა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, ისინი არ არიან კომბატანტები (კომბატანტი — მეომარი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი დაყოლიებული პირი (მედიცინის მუშაკების, ინტენდანტებისა და სხვა მისთ. გამოკლებით) და არა აქვთ სამხედრო ტყვეების სტატუსი, რის გამოც ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში ასამართლებენ. მათ მიმართ გამოვლენილი აგრესია ყოველგვარ საზღვრებს სცილდება, ამიტომ ჰუმანური მოპყრობის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

არსებობს დაქირავებულობის ამკრძალავი ეროვნული კანონებიც. მაგალითად, რუსეთის სისხლის სამართლის 359-ე მუხლი განმარტავს, რომ „დანაშაულის სუბიექტად ითვლება 17 წელს მიღწეული პირი, რომელიც მოქმედებს შეგნებულად, წინასწარ განზრახვით მატერიალური გასამრჯელოს მიღების მიზნით და არ არის კონფლიქტში მონაწილე ქვეყნის მოქალაქე, არც კონფლიქტის ზონაში ოფიციალური ვალდებულებების შესასრულებლად გაგზავნილი პირია. დაქირავებულის სახით შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე. დაქირავება-დაყოლიება რვა წლით, ხოლო 15 წლის თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ის პირი, რომელიც დაქირავების დროს სამსახურებრივ მდგომარეობას გამოიყენებს“. მიუხედავად ასეთი მკაცრი კანონისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, რუსეთში ამ მუხლით ჯერ არავინ დაუსჯიათ.

## გლობალიზაციის დროების ჯარისკაცები

სადღეისოდ „ომის ძაღლებს“ შორის გამოჩნდნენ რელიგიური მოტივების გამო დაინტერესებული დაქირავებულებიც. ისინი ტერორისტული ცენტრების დამრტყმელი ძალები არიან ამა თუ იმ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე გამოცადა მათი ძალა. სამწუხაროდ მათ შორის საქართველოც მოხვდა. ჩვენს ხელთ არ არის ზუსტი სტატისტიკა — თუ რა ოდენობითა და სიხშირით იბრძოდნენ დაქირავებულები საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა საიდუმლო არავისთვისაა, რომ კაზაკთა და ჩეჩენთა საბრძოლო შენაერთები არაერთხელ მონაწილეობდნენ უკანასკნელ წლებში მიმდინარე ყველა ომში. მსგავსი სიტუაციაა ჩვენს მეზობლადაც. როგორც სამხედრო ექსპერტები ირწმუნებიან, მხოლოდ 2000 წელს ჩეჩნეთში 3000 უცხოელი დაქირავებული იბრძოდა. მათ შორის განადგურებულ იქნა 1000 მეომარი. ისინი პალესტინის, ლიბანის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ეგვიპტის, იემენის, იორდანიის, ავღანეთის, საუდის არაბეთის, ქუვეითის, ტუნისის, ტაჯიკეთის, ალჟირისა და სირიის მოქალაქეები იყვნენ.

ხშირად დაქირავებულთა მასობრივად გამოყენებას პოლიტიკოსები უცხოურ შეიარაღებულ აგრესიას ადარებენ.

გადის დრო. ჩვენს პლანეტაზე რჩება სულ უფრო და უფრო ნაკლები „თავისუფალი“ რესურსი, რომლის დაუფლება და გამოყენება თანდათან რთულდება. ასე რომ, შორს არ არის ომი „სამართლიანი გადანაწილებისათვის“.

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად ამბობენ უარს თავიანთი ფუძემდებლური და ბუნებრივი ფუნქციების შესრულებაზე, მათ შორის — ომის წარმოებაზეც. მათ ადგილს იკავებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც მხოლოდ გამორჩენის კატეგორიებით აზროვნებენ, აღჭურვილი არიან კერძო არმიებითა და „დასჯისა და შეწყალების“ უფლება აქვთ. ომის ასეთი პრივატიზაციის შედეგი შესაძლოა ფრიად არასასურველი გამოდგეს, რადგან განუსაზღვრელი საშუალებების მქონე ტრანსნაციონალური კორპორაციები ყოველთვის შეეცდებიან თავიანთი ინტერესების წინ წამოწევას, რაც უპირისპირდება სახელმწიფოს ინტერესებს. შესაძლოა, „ომისადმი საბაზრო მიდგომამ“ სისხლის ზღვა დააყენოს და მსოფლიო ხანძარი გამოიწვიოს. თანამედროვე ომის სახე კარდინალურად იცვლება, კერძო არმიებს, ვიღაცის დაკვეთით ნებისმიერ დროს შეუძლიათ ამოქმედება. თუმცა კლასიკური ომიც არავის აუკრძალავს, რომლის დროსაც დაქირავებულ არმიათა თავგამოდება ნულისკენ იხრება, რადგან დაქირავებულის ყველაზე დიდი ნაკლი მოტივაციაა, მისი მიზანი ფულია და არა იდეალისთვის ბრძოლა და თავგანწირვა. ომში, რომელსაც შენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ „სხვის სახლში“ აწარმოებ, დასაშვებია, დამარცხდე კიდეც, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა, როცა შენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გიხდება. სწორედ ასეთ სიტუაციაში არ არიან სანდონი დაქირავებულები. ამ აზრის სრულ ჭეშმარიტებაში 1990 წლის აგვისტოში თვალნათლივ დარწმუნდა ქუვეითის ხელისუფლება. დაქირავებულ არმიას, რომელიც ამ მინისახელმწიფოს იცავდა, შეეძლო მინიმუმ ორი დღის განმავლობაში შეეჩერებინა მოწინააღმდეგე. მით უმეტეს, იცოდნენ, რომ მათ დასახმარებლად მოკავშირეები — აშშ-ის შეიარაღებული ძალები სპარსეთის ყურისკენ რომ იყვნენ დაძრული, მაგრამ ყველაზე თანამედროვე იარაღით აღჭურვილმა ქუვეითელმა „პროფესიონალებმა“ სრული უუნარობა გამოიჩინეს ერაყის რეგულარულ ჯარებთან შეტაკებისას. ისინი წინააღმდეგობის გაუწევლად „აორთქლდნენ“. ამ ჭკუის სასწავლებელი ფაქტის შემდეგ ქუვეითის სახელმწიფოს მესვეურებმა საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონი შემოიღეს. ასე რომ, იდეალებისათვის მებრძოლ ნამდვილ ჯარისკაცს, რომელსაც სამშობლოსათვის თავის გაწირვა შეუძლია, ყავლი არ გასვლია და არც არასოდეს გაუვა. ყოველი ზემოთქმული აუცილებლად გასათვალისწინებელია სახელმწიფო შეიარაღებული ძალების მშენებლობისას და სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაძღარი ცხოვრების მოყვარული ქვეყნები ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როგორშიც დაქირავებულებით მეომარი ძველი რომი და შუა საუკუნეების ევროპა.

**დაქირავებულის ყველაზე დიდი ნაკლი მოტივაციაა, მისი მიზანი ფულია და არა იდეალისთვის ბრძოლა და თავგანწირვა. მაგალითად, ყველაზე თანამედროვე იარაღით აღჭურვილმა ქუვეითელმა „პროფესიონალებმა“ სრული უუნარობა გამოიჩინეს ერაყის რეგულარულ ჯარებთან შეტაკებისას**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კიბერომი

**ოქტომბრიდან საქართველოში ძალაში შევიდა გამკაცრებული საკანონმდებლო ცვლილებები კიბერდანაშაულისათვის. კიბერდანაშაულისათვის იურიდიულ პირებს შეეძლება ჩამოერთვას საქმიანობის უფლება ან ქონება, ან დაჯარიმდნენ.**

**ზოგიერთი სახის კიბერდანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და პატიმრობა სამი წლითაც კი არის გათვალისწინებული.**

„კიბერომის ცნებამ ფართო გამოხმაურება 2007 წლის გაზაფხულზე მოიპოვა, მას შემდეგ, რაც კიბერშეტევები დაიწყო აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და ესტონეთის სამთავრობო სერვერებზე“, წერს La Croix-ი. კიბერომი მოიცავს მიზანმიმართულ ქმედებათა კომპლექსს, კონკრეტული ინფორმაციის მოპოვების, ქსელის დაზვერვისა და მასზე კონტროლის მოპოვების დაზიანების მიზნით. კიბერომს სხვაგვარად „მეხუთე სფეროს“ ომსაც უწოდებენ სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსის შემდეგ.

აშშ, ჩინეთი და ევროპის ქვეყნები კიბერუსაფრთხოებას უკვე განიხილავენ როგორც ნაციონალური უსაფრთხოების ერთ-ერთ უფრო მნიშვნელოვან ასპექტს. რა გასაკვირია, რომ NATO-ც იმავე მიმართულებით მოძრაობს. კიბერშპიონაჟი და კიბერშეტევები ქვეყნის სპეცსამსახურების მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, რადგან ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვა ნაციონალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: ტექნიკური არხებიდან ინფორმაციის გაჟონვის გამოვლენის საშუალებები, სისტემაში არასანქცირებული შეღწევისგან დაცვის საშუალებები, დაცული და უსაფრთხო კომუნიკაციის საშუალებები და სხვა, რაც უცხოური სპეცსამსახურების დაინტერესების მიმართულებებია. შესაძლებელია მოინახოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სისტემაში შეღწევის სხვადასხვა ხერხი, ამიტომ სისტემაში შეღწევის პოტენციური საფრთხე მუდმივად არსებობს. რაც უფრო მეტია კომპიუტერიზაციის როლი სახელმწიფოში, მით დიდია საფრთხე ინფორმაციის დაკარგვის და სისტემის პარალიზების. ამიტომაც საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციის სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უკვე ყოველი სახელმწიფოს თავდაცვითი სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

კიბერშეტევის პოტენციური სამიზნეები შესაძლებელია გახდეს კონტროლისა და კომუნიკაციის სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, როგორიცაა: ქიმიური მრეწველობა, ფინანსური სფერო, ენერგეტიკის სისტემები, ჯანდაცვის, თავდაცვის, საგზაო მოძრაობის, სატრანსპორტო ქსელების, პოლიციის და სამთავრობო ქსელები, რომელთა დაზიანება-პარალიზებითაც შესაძლებელია ქვეყნისთვის დიდი ზიანის მიყენება. ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეტევის სამიზნედ აგრეთვე შეიძლება იქცეს კომუნიკაციისა და მართვის სისტემაში არსებული საინფორმაციო ბაზები.

კიბერუსაფრთხოების ექსპერტები განასხვავებენ კიბერსივრცის სამ ასპექტს: ფიზიკურს (ინფრასტრუქტურა, კაბელები და როუტერები), სემანტიკურსა (მონაცემები) და სინტაქსურს (მონაცემთა გადაცემის პროტოკოლები). კიბერშეტევამ თავისი ხასიათიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის შეცვლა, განადგურება, მისი ხელმისაწვდომობის ბლოკირება, და ნაწილის დაზიანება. მოწინააღმდეგის კომუნიკაციის სისტემის დაზიანებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც კომუნიკაციის არხებისგან შეუძლებელია საჭირო ინფორმაციის მიღება. გაცილებით მნიშვნელოვანია კომპიუტერულ სისტემაში და ქსელში შეღწევა მოწინააღმდეგის კიბერდაზვერვისა და ინფორმაციის მოპოვების პასიური გზით, ქსელში გადაცემული ინფორმაციული ნაკადების ანალიზის საფუძველზე.

კიბერუსაფრთხოების პრობლემაზე უკვე მუშაობენ NATO-ს წევრი ქვეყნები და აშშ. 2008 წლის მაისში ტალინში გაიხსნა NATO-ს ქვეყნების კიბერუსაფრთხოების ცენტრი (Cooperative Cyber Defense Center of Excellence (CCDCOE)), რომლის მიზანია ქვეყნებს შორის კიბერდანაშაულთან დაკავშირებული ტექნიკური, იურიდიული და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა, ხოლო 2009 წლის 29 მაისს აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლის თემა სწორედ ამერიკის კიბერსივრცის უსაფრთხოება იყო. მან განაცხადა: „თეთრ სახლში შეიქმნება ახალი სტრუქტურა, რომელიც ნაციონალური კომპიუტერული ქსელის დაცვის სპეცპროგრამას გაუწევს კოორდინირებას“ (Cybercom), რასაც საფუძვლად დაედო 2009 წელს პენტაგონის კომპიუტერულ ქსელზე კიბერშეტევები. აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროს ინფრასტრუქტურის დაცვისა და ანალიტიკურ განყოფილებაში მოქმედებს ნაციონალური კიბერუსაფრთხოების ქვედანაყოფი, რომლის მიზანია ნაციონალური კიბერუსაფრთხოების დაცვა.

მზარდი დაფინანსების მქონე სამხედრო სტრუქტურებს აქვთ არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ კიბერომის წარმოების როგორც თავდაცვითი, აგრეთვე შეტევითი გეგმაც (რაც გამოვლინდა 2008 წლის საომარი მოქმედებებისას, როდესაც კიბერშეტევა მიიტანეს ქართულ სერვერებზე). კიბერშეტევის სტრატეგიული ან ტაქტიკური შესაძლებლობების გამოყენება რეალური ომის პირობებში სამხედრო თვალსაზრისით პოზიციების გამყარებისკენ არის მიმართული. IT ტექნოლოგიების კონსულტანტ შარლი ბველეს თქმით, „კიბერშეტევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაზე შეი-

ძლება იყოს ტერორიზმის და რეპრესიების ინსტრუმენტი. კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოებისთვის მსგავსი ოპერაცია უფრო მეტად მიესადაგება საერთო სამხარ ოპერაციებს".

ანალიტიკოსები მიუთითებენ კიბერდაზვერვისგან მიღებული სადაზვერვო ინფორმაციის მზარდ ნაკადებზე. შესაძლოა, კიბერომმა მიიღოს შპიონაჟის სახეც და არ არის აუცილებელი მოხდეს მხოლოდ საომარი მოქმედებების დროს, რადგან კიბერშეტევის მიზანი შეიძლება იყოს მართვის ქსელზე კონტროლის და ქსელში გამავალი ინფორმაციის მოპოვება. ამ შემთხვევაში კიბერომისგან მიყენებული ზიანი ღირებულებით მაჩვენებელში შეიძლება გამოიხატოს მოპოვებული ინფორმაციის ღირებულებითი მაჩვენებლით. ეს ტაქტიკური მეთოდები სადაზვერვო სამსახურებმა შეიძლება გამოიყენონ მშვიდობიან პერიოდშიც. იმ შემთხვევაში, როდესაც პოტენციური მოწინააღმდეგის ქსელში შეღწევა და დაზიანება ხერხდება, დასაშვებია ეს გულისხმობდეს კიბერსაომარ მოქმედებას, ხოლო როდესაც კიბერშეტევა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებას ემსახურება, იგულისხმება კიბერშპიონაჟი.

დღეისთვის კიბერომის გამართვა და მოწინააღმდეგის დაზიანება გაცილებით მარტივი საშუალებებით არის შესაძლებელი, ვიდრე არტილერიის ან ავიაციის გამოყენება საომარ მოქმედებებში. კიბერომის საფრთხე ძირითადად ემუქრება ისეთ ქვეყნებს, რომელთა ინფორმაციული ინფრასტრუქტურა დამოკიდებულია კომპიუტერულ-ქსელურ რესურსებზე.

პოლვ კურტცემის (აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების ყოფილი მრჩეველი) თქმით, „კიბერომი უკვე მიმდინარეობს. ქვეყნები ქმნიან სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, ახდენენ ქსელების ტესტირებასა და ამუშავებენ კიბერდაზვერვის გეგმებს ომის საწარმოებლად, კომპიუტერული ქსელების გამოყენებით". ყველაზე აქტიურად ემზადებიან აშშ, ისრაელი, რუსეთი, ჩინეთი და საფრანგეთი.

კიბერომისთვის მოწინავე ტექნოლოგიების განვითარება და ზოგიერთ შემთხვევაში კიბერომისთვის მზადყოფნის დემონსტრირება კიბერშეტევებით მიანიშნებს იმ საფრთხეებზე, რაც შესაძლოა კიბერომმა გამოიწვიოს. ამიტომაც გახდა კიბერომის ცნება პოპულარული და მასობრივი საინფორმაციო წყაროების დაინტერესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. უსაფრთხოების ექსპერტების ანალიზის საფუძველზე კიბერომის საფრთხე სულაც არ არის საფუძველმოკლებული. ამას მომავლის ომები გვიჩვენებს.

*თორნიკე ბუნიათიშვილი*

# მსოფლიო ჩემპიონის ნანადირევი



სანამ ნადირობა დაიწყება

ნადირობა ყოველთვის იარაღის ხმარებასა და სროლასთან ასოცირდება. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა ჩვენი დაინტერესება ისეთი რესპონდენტით, როგორიცაა საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სასტენდო სროლაში და ბოლოს ცნობილი მონადირე **თამაზ იმნაიშვილი**.

ბატონი თამაზი არ მიეკუთვნება იმ მონადირეთა რიცხვს, რომლებიც გატაცებით ჰყვებიან ტყუილ-მართალს თავიანთი საოცარი თავგადასავლების შესახებ. პირიქით, გაცილებით მეტი ისაუბრა იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ნადირობის მოყვარულებმა და სამონადირეო სპორტის მესვეურებმაც. მისი აზრით, ნამდვილ მონადირეს უპირველესად ბუნება უნდა უყვარდეს და მის კანონებს ემორჩილებოდეს, არ იხარბოს და იმდენი მოკლას, რაც საკმარისია გასტრონომიული მოთხოვნილებისა და სპორტული ჟინის დასაკმაყოფილებლად.

უზომოდ და უაზროდ ცხოველებისა და ფრინველის ჟლეტას ფაუნის განადგურებისაკენ მივყავართ. ოდითგანვე ნადირობა დაკავშირებული იყო სარჩოსაბადებლის მოპოვებასთან. უძველესი ადამიანები ამით ირჩენდნენ თავს. შემდგომ კი სპორტული აზარტი გაჩნდა. მონადირის ინსტინქტი თითქმის ყველა მამაკაცში დევს. თამაზ იმნაიშვილის აზრით, უნდა იცოდე, რას კლავ, როდის და რამდენს. უამისოდ ნადირობა კი არა, ბრაკონიერობა და კანონის დაუმორჩილებლობა გამოვა.

ნადირობას თავისი წესები და კანონები აქვს, რაც უპირველესად არის უსაფრთხოების წესების დაცვა, იარაღის სწორი მოხმარება. დღეს, როცა ცეცხლსასროლი იარაღი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა და მისი შეძენა თავისუფლად შეიძლება, არაერთი პრობლემის წინაშე დავდექით. იარაღს ყველა ეტანება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მისი სიყვარული არ არის საკმარისი. იმისათვის, რომ მონადირე იყო, უნდა იცოდე იარაღის მოხმარება, მოვლა, დაშლა-აწყობა, შენახვის წესები, სროლა. ამ ყველაფერს კი სწავლა სჭირდება და აუცილებელია ინსტრუქტორების კონსულტაციები. ადრე მონადირეთა კავშირში არ მიიღებდნენ პირს, თუ მას არ გააჩნდა სამონადირეო ცოდნის მინიმუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურიგო არ იქნება, რომ ახლაც მოსთხოვონ იარაღის მეიდველებს უსაფრთხოების წესების ცოდნა, ინსტრუქტაჟის გავლა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიბარონ იარაღი.

— არის ასეთი წესი: თოფი, გინდაც დაუტენავი იყოს, არასოდეს არ უნდა მიუშვირო ადამიანს და შინაურ ცხოველს, განსაკუთრებით ოჯახის ძაღლებსა და კატებს, არ უნდა შეაშინო. ეს ცუდი ხუმრობა და გართობაა, რომელიც არაერთხელ დამთავრებულა სავალალო შედეგით! – ასე არიგებს ცნობილი სპორტსმენი და მონადირე ყველას, ვისაც იარაღთან „დამეგობრება" გადაუწყვეტია.

ყოველი ნადირობა თავისებურად საინტერესოა. მონადირეთა თავგადასავლებს რა გამოლევს, მაგრამ არის ამბები, რომლებიც არასოდეს დაავიწყდებათ.

საქართველოში ნადირობას წინ ახლავს თავისებური რიტუალი, რომელიც გამოიხატება ოჰოპინტრეს ან დალის სადღეგრძელოების შესმით, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს ღრეობაში, ვინაიდან ნადირობა დაკავშირებულია ტყე-ღრეში ხეტიალთან, მთა-გორებსა და კლდეებზე ძრომასთან და ასეთი დიდი ფიზიკური დატვირთვა მიუღებელია ნასვამი ადამიანისათვის. ამასთან, ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს კოორდინაციაზე, მსროლელისათვის კი ეს აუცილებელია.

მონადირეები უშიშრები და გულადები არიან. მათ ბევრი ვაჟკაცური ტრადიცია აქვთ, მათ შორის — ნანადირევის გაყოფა. ნამდვილი მონადირეები ხელმოცარულ მონადირეს ნანადირევის გარეშე არ დატოვებენ.

საქართველოში, ძირითადად, ფრინველზე ნადირობენ, მაგრამ ჩვენს ტყეებში ნადირიც არის: დათვი, ტახი, აქა-იქ იშვიათად, შველიც შეიძლება შეგხვდეს, მთის ბინადრებიდან — არჩვი, ჯიხვი. თამაზ იმნაიშვილისთვის ფრინველებზე ნადირობა უფრო საინტერესოა, უფრო ერთობი, ისვრი, ნადირზე რომ წახვალ, შეიძლება საერთოდ არ შეგხვდესო.

ნადირი ბევრი აღარ არის საქართველოში და ჩვენს ფაუნას მოვლა-გაფრთხილება სჭირდება. ამიტომ ძალიან კარგია, რომ იქმნება მონადირეთა სახლები, სამონადირეო მეურნეობები, სადაც ჯერჯერობით, ძირითადად, ტახებს ამრავლებენ. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ქართველი მონადირეების დაინტერესებას, არამედ მოიზიდავს სამონადირეო ტურიზმით დაინტერესებულ უცხოელებსაც.

პრობლემატურია მგელზე ნადირობა. საქართველოს ბევრ რაიონში მომრავლდნენ მგლები, თავს ესხმიან სოფლებს, იტაცებენ შინაურ საქონელს. იყო შემთხვევები, როცა თავს დაესხნენ სოფლის მცხოვრებთ, სასიკვდილოდ დაგლიჯეს რამდენიმე მოსახლე. ოფიციალურად მგლის მოკვლაზე საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯარიმაა, რაც ართულებს გადამჭრელი ზომების მიღებას კანონმორჩილი მოსახლეობისათვის. როგორც ამბობენ, ამ თემაზე უკვე იმსჯელეს სათანადო ორგანოებში და კანონში ცვლილებები შეიტანეს. მგლების შემოსევას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ ფაუნით შეთხელებული ტყე ველარ აკმაყოფილებს ბოლო აღრიცხვის მიხედვით ათასობით მგელს და, ბუნებრივია, ისინი სოფლისკენ მოისწრაფვიან.

ბატონი თამაზი სანადიროდ საქართველოს საზღვრებს გარეთაც ყოფილა — კვიპროსზე, სომხეთ-ირანის საზღვარზე, მდინარე არაქსის მიდამოებში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ბელორუსიაში. მას ბავშვობიდან უყვარდა ყველანაირი იარაღი, სურათებსაც კი ეფერებოდა. ეს სიყვარული კი ჩაუნერგა მისმა უფროსმა ძმამ — მონადირემ და მსროლელმა, სპორტის ოსტატმა. როგორც ჭეშმარიტი მონადირე, კატეგორიულად წინააღმდეგია ავტომატური იარაღით ნადირობისა. იგი უპირატესობას ორლულიან თოფს ანიჭებს. ფრინველზე სანადიროდ იყენებს 12-კალიბრიანს, ხოლო ნადირზე – ხრახნილლულიან თოფს. ხაფანგი არასოდეს უხმარია, რადგან, მისი აზრით, „თუ ნადირობ, უნდა სდიო, ეძებო, ესროლო. დაჭერილისთვის, დაბმულისა და ორმოში ჩავარდნილისთვის სროლა არ არის ვაჟკაცობა. ყველაზე მეტად მიყვარს ძაღლებით ნადირობა, როცა გულისფანცქალით დგახარ „ნომერში" და დიდი მღელვარებით ელოდები შენს დროს. ნამდვილმა მონადირემ იცის ზღვარი, როდის უნდა შეწყვიტოს ნადირობა და თუ ჟინს აყოლილმა უაზროდ ჟლიტა — ეს მკვლელობაა, სასკლაოდ არ უნდა გადააქციო ნადირობა!"

მოკრძალებულმა რესპონდენტმა რამდენიმე ამბავს მოგვიყვა თავისი სამონადირეო თავგადასავლებიდან:

„მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი სასტენდო სროლაში, აწ განსვენებული თემურ მატოიანი ახლომხედველი იყო. ერთ თვალზე მხედველობა -7 ჰქონდა, მეორეზე — -8, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა სროლაში. ერთხელ ნაკრძალში ხოხობზე სანადიროდ მისულებს ეგერი გაგვიჭირვეულდა, ყველას ვერ შეგიშვებთ, აი, ეს, სათვალიანი გამომყვესო! ეტყობა, იფიქრა, ამხელა ლინზები აქვს და რისი მომკვლელიაო! თან სასხვათაშორისოდ ჰკითხა, ხოხობი თუ გინახავსო. მატოიანმა მიამიტად მოაჩვენა თავი, არ მინახავსო, მაგრამ, როცა აფრენილი ხოხბები პანტაპუნტით ჩამოყარა, ეგერს კინაღამ გული წაუვიდა.

მეორე შემთხვევა კახეთში, ივრის პირზე, აზერბაიჯანის მახლობლად შეგვემთხვა მე და ჩემს ერთ მეგობარს. ნადირობისას თავზე თათარი ეგერი დაგვადგა და კატეგორიულად აგვიკრძალა ნადირობა, თან დაგვემუქრა, თუ არ წახვალთ, თოფებს წაგართმევთო. ამ დროს კაჭკაჭმა გადაიფრინა. ჩვენ გავიარიფეთ თავი, ეს არის ხოხობიო? თათარმა ეგერ-



თიანეთის ტყეში მონადირებული დათვი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოთში იხვზე ნადირობისას. მარჯვენიდან პირველი თამაზ იმნაიშვილი

მა იფიქრა, ამათ მართლა არაფერი სცოდნიათო და პატრონტაშების მოხსნა შემოგვთავაზა, 4 ვაზნით შედით ტყეში და თუ ხოხობს მოკლავთ, წაიღეთ, თუ არა, თქვენს თოფებსაც და პატრონტაშებსაც დავიტოვებო. სხვა რა გზა იყო, ორ თოფში ჩავდეთ 2-2 ვაზნა და შევედით ნაკრძალში. სამი გასროლით სამი ხოხობი მოვკალით და ერთიც შევინახეთ. ეგერი მიხვდა ყველაფერს... ამის შემდეგ დავმეგობრდით, ჩაგვქონდა მისთვის ვაზნები და ის კი დილაობით ცოტას გვანადირებდა ხოლმე, მაგრამ ეგეც სრულიად საკმარისი იყო ჩვენთვის.

ერთხელ თბილისის ზღვაზე წავედით იხვზე სანადიროდ. 5 იანვრის ნისლიანი დღე იყო. ქარიშხლის მიუხედავად მეგობართან ერთად ნავით შევცურეთ. ასეთ ამინდში, წესით, ბევრი იხვი უნდა ყოფილიყო. ქარმა და ტალღებმა გადაატრიალა ნავი და რამდენიმე საათის განმავლობაში წყალში ჩაძირული ხეების კენწეროებს ვებღაუჭებოდით. მერე წვალებით ნავი გადმოვაბრუნეთ, ამოვხაპეთ წყალი თოფის შალითით და ნავის ფსკერზე გაწოლილები ძლივს გამოვედით ნაპირზე“.

თამაზ იმნაიშვილი სიამოვნებით იხსენებს აგვისტო-სექტემბერში ლაგოდეხიდან დაღესტანში ცხენებით სანადიროდ გადასვლას. ზამთარშიც ყოფილა ჯიხვზე სანადიროდ.

„ერთხელ დიდი თოვლი მოვიდა. წესია, როცა დიდ თოვლში მიდიხარ, ვინმე უნდა გიკვალავდეს თოვლს. გამკვალავები იცვლებიან. წელამდე თოვლში მივდიოდით. შემოგვაღამდა და გადავწყვიტეთ, ტყეში გაგვეთენებინა ღამე. ისე დაბნელდა, რომ აღარაფერი ჩანდა. შეგვეშინდა, გზა არ აგვრეოდა ან არ გადავჩეხილიყავით და თოვლში დაძინება გადავწყვიტეთ. უმძიმესი გზა გავიარეთ. დაღლილები და ქანცგაწყვეტილები მზად ვიყავით, რაც ხელთ გვქონდა, ყველაფერი გადაგვეყარა, რადგან უკვე სიმძიმის ტარებაც შეუძლებელი გახდა“.

ასეთი ეპიზოდები მონადირის ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია და, ალბათ, სწორედ სიძნელეთა გადალახვაც არის ერთ-ერთი წინა პირობა, რომ ასე დაუახლოვდე ბუნებას და მის ნაწილად იგრძნო თავი.

არის ისეთი ამბები, რომელთა გახსენება ყოველთვის მტკივნეულია:

ნიჩბისში გალიაში ჰყავდათ დატყვევებული დათვის ბელი. ბატონ თამაზს შესთავაზეს, გაჩუქებთო, მან კი იუარა, მომყიდეთ და ტყეში გავუშვებ, ცოდოაო. ტყეში გაშვებას კი არ აპირებდნენ დათვის ბელის პატრონები. გადაწყვიტეს, ზოოპარკისთვის ჩაებარებინათ, მაგრამ იქ არ გამოჩნდა მისთვის თავშესაფარი. ბოლოს და ბოლოს, დატყვევებული ბელი მოკვდა და თამაზ იმნაიშვილი დღემდე ვერ ივიწყებს ამას.

დასასრულ, სახელოვანმა სპორტსმენმა ნადირობასა და სამონადირეო სპორტში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრა:

„მონადირეებს ყველაზე მეტად უყვართ ტყე და ცხოველები.

უნდა გამკაცრდეს ზომები ბრაკონიერობაზე. ენდემურ ჯიშებს, ხოხობს, დურაჯს, გაფრთხილება სჭირდება და თუ ყველა მონადირემ მხოლოდ ჟინისა და ინტერესისათვის დაუწყო ხოცვა, განადგურდება ისედაც საფრთხის ქვეშ მყოფი ქართული ფაუნა. არ შეიძლება გამრავლების პერიოდში ნადირობა. ზოგიერთი ვაიმონადირე კვერცხებზე მჯდომ ფრინველსაც კლავს, რაც უდიდესი დანაშაულია. ყველა თავს დებს მონადირეობაზე, მაგრამ წესები ყველამ არ იცის. მაგალითად, დედალ ხოხობს არ უნდა ესროლო. დედალი უფრო პატარა და ერთფეროვანია. მამალს დიდი ბოლო აქვს და ლამაზი შეფერილობა. კურდღელზე დაშვებულია ნადირობა, მაგრამ სეზონი უნდა დაიცვა.

თუ ადამიანს ცხოველები უყვარს, ის კარგი ხასიათისაა. ბავშვი ცხოველებთან ერთად რომ იზრდება, ბევრ საუკეთესო თვისებას იძენს, უპირველესად კი სიკეთეს.

სასტენდო-სამონადირეო სპორტი ბევრით ჰგავს ნამდვილ ნადირობას და ამიტომ ამ სპორტის მიმდევრები ხშირად კარგი მონადირეები არიან. არც ისე დიდი ხნის წინ, სასტენდო სროლის დროს, მტრედებს უშვებდნენ და ასე ატარებდნენ ჩემპიონატს“.

როგორც საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გულისტკივილით ამბობს, სასტენდო სროლის ბაზა დღეს საქართველოში არ არსებობს. ადრე, თბილისის გარდა, იყო სასროლეთები ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, სოხუმში. 90-იანი წლებიდან, ცნობილი მოვლენების შემდეგ, ყველაფერი დაინგრა, გაიძარცვა. დღეს კერძო ინიციატივით აღდგა ვარკეთილის სასროლეთი. კერძოდ, ერთი მოედანი მზად არის მრგვალი სტენდისთვის. ახლა მერიამ გამოყო ადგილი სასროლეთის ასაშენებლად და იმედია, სპორტის ეს სახეობა ძველებურად აღდგება და ფეხს აიდგამს. ოლიმპიური სპორტის სახეობა — სასტენდო სროლა, ისევე, როგორც ჭიდაობა, ქართული ეროვნული სპორტული ტრადიციების მატარებელია. ტარიელ ჟღენტი, თემურ მატოიანი და ზურაბ მაჩხანელი ის სპორტსმენები არიან, ვინც სპორტის ამ სახეობაში წარმატებით გამოდიოდნენ. მზია შენგელიამ, დავით ქვათაძემ, კარლო დარასელიამ არაერთი გამარჯვება მოიპოვეს, არიან ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები, რეკორდსმენები. მომზადებულია მწვრთნელთა კადრები, მაგრამ არ არის ბაზა. არ არის სასროლეთი, სადაც მონადირე და მოყვარულიც შეიძლება მივიდეს. ეს ხომ განტვირთვის დიდი საშუალებაა!

„სროლა და იარაღის მოვლა ყველამ უნდა იცოდეს, ქალმაც და კაცმაც, მით უმეტეს, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური ზონა ამას მოითხოვს“.

ჰო, კიდევ ერთი — კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ თამაზ იმნაიშვილს ნადირობა უყვარს, მაგრამ ნანადირევს არ ჭამს.

ქეთი ადეიშვილი

# 1992–93 წლების ომის ფინალი



ჯავშანკოლონა შეტევისთვის ემზადება

დასაწყისი იხ. „არსენალი" N20

გზის გახსნა-გასუფთავება საკმაოდ ძნელი საქმეა, მით უფრო, თუ ჯავშანსატანკო და სახმელეთო ქვედანაყოფებს ავიაცია არ ეხმარება.

თავდაცვაში მყოფ ძალებს ჩასაფრებისათვის ხელსაყრელი ადგილების (გზისპირა შენობა-ნაგებობები, გაბატონებული სიმაღლეები, მწვანე ნარგავები და სხვ.) შერჩევის დიდი შესაძლებლობები აქვს. შეუძლია პოზიციებთან მისასვლელი გზები თუ მისადგომები ნაღმებით დაიცვას და ზურგში დარჩენილი სივრცე საპასუხო დარტყმებისგან დროული გამოსვლის ან რეზერვებით მანევრირებისათვის გამოიყენოს.

ჩასაფრებიდან კოლონაზე მოულოდნელად მიყენებული დარტყმა მეტწილად სასურველ ეფექტს იძლევა და კოლონისათვის მძიმე შედეგი მოაქვს.

პირველი საარმიო კორპუსის გოჩა ყარყარაშვილის სახელობის ცალკეული სადაზვერვო ასეულის მეთაური მაიორი **მურთაზ გაბიტაშვილი**: „ასეული ძირითადი ძალებიდან დაახლოებით 300-400 მეტრით წინ მიდიოდა. საჭიროების შემთხვევაში უკან მომავალ ჯავშანტექნიკას ვიძახებდით.

მოწინააღმდეგე, ძირითადად, გზისპირას მოწყობილი მობილური საცეცხლე წერტილებიდან ПКТ-ს ტიპის ტყვიამფრქვევებს გვესროდა.

გზა დანაღმული იყო და ჯავშანტექნიკის გამოყენება ეკიპაჟებისაგან სიფრთხილეს მოითხოვდა, მაგრამ ბრძოლის აზარტში შესული მებრძოლისთვის ამ მოთხოვნის მუდმივად დაცვა შეუძლებელია.

ნაღმების მიზეზით კი შეტევის პირველივე საათებში ტექნიკის რამდენიმე ერთეული დავკარგეთ და პირად შემადგენლობაშიც მსხვერპლი იყო".



მოწინააღმდეგე აქტიურად იყენებდა ტანკსაწინააღმდეგო „ფაგოტებს"

მზვერავების უკან კოლონად დაწყობილი გვარდიის სატანკო პოლკის ჯავშანტექნიკა მოემართებოდა.

გვარდიის სატანკო პოლკის ტანკისტი **ნუგზარ ჩუციანიძე**: „21 სექტემბერს დილით ცაგერიდან 9 ტანკითა და 12-14 БМП-თი გამოვედით და საბრძოლო წყობით გავემართეთ. მოწინააღმდეგის პოზიციებზე ინფორმაციაც არ გვქონდა და წინ ბრმად მივიწევდით. არადა გზისპირიდან დროდადრო გვესროდნენ.

კოლონა ჩერდებოდა, ჯავშანტექნიკის ნაწილი გზიდან გადადიოდა და საპასუხო ცეცხლისთვის ხელსაყრელ პოზიციას ეძებდა, რასაც თან ნაღმზე აფეთქების საფრთხე ახლდა.

პირველი ძლიერი წინააღმდეგობა ტამიშის მახლობლად, ფერმებთან გაგვიწიეს და წინსვლის საშუალება არ მოგვცეს. უკვე ღამდებოდა და შეტევა შეჩერდა. მეორე დღეს დილიდანვე განახლდა, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ამ დროს მე სხვა ადგილზე საცეცხლე წერტილს ვამუშავებდი და ფერმასთან გადმომიყვანეს. შენობას რამდენიმე ფუგასურ-მსხვრევადი ჭურვი ვესროლე და ცოტა ხანში სროლა შეწყდა, ხოლო წინგასული ერთ-ერთი БМП-ს მედესანტეებმა შენობა ალყაში მოაქციეს, შიგნით შევიდნენ და იქ მხოლოდ მკვდრები დახვდათ".

გათავისუფლებული გზის დასაცავად ადგილ-ადგილ ქვეითებითა და ტექნიკით გამაგრებული პოსტები მოეწყო, რაც თავის მხრივ შემტევი ძალების შემცირებას იწვევდა.

ანუარხუდან კოდორის ხიდზე გასასვლელად სოფელ ახალდაბის აღება იყო საჭირო. სამხედროთა ერთი ნაწილი შეტევის დაუყოვნებლივ გაგრძელებას, მეორე კი 23 სექტემბრისათვის გადადებას მოითხოვდა.

გვარდიის სატანკო-მექანიზებული პოლკის ოფიცრები გზის მიმდებარე ტერიტორიების საარტილერიო დამუშავებისა და სატანკო ფრონტალური შეტევის წინადადებით გამოვიდნენ და სასწავლო ცენტრის გამოუცდელი სატანკო ეკიპაჟების რეზერვში დატოვებას მოითხოვდნენ.

ამ წინადადებებს მხარი არ დაუჭირეს და შეტევა ნაჩქარევად, მოწინააღმდეგის ძალისა და შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად 23-ში, საღამოს 6 საათისათვის დაიგეგმა.

ტანკისტებს გააფრთხილეს, რომ ახალდაბამდე წინააღმდეგობა არ შეხვდებოდათ და ხანმოკლე, მაგრამ არაზუსტი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ ჯავშანტექნიკის 30 ერთეულისაგან შემდგარი კოლონა ცენტრალური გზით დაიძრა.

კოლონას წინ გვარდიის სატანკო პოლკის 24-ე სატანკო ბატალიონის ტანკი №408 (ეკიპაჟი: ოთარ ჟიჟიაშვილი, დათო შპეტაშვილი, მანძულაშვილი) წაუძღვა.

უკან მიჰყვებოდა იმავე ბატალიონის БМП №400 (ეკიპაჟი: ბუბა დვალი, ანდრეი სანთელაძე), 22-ე მარტყოფის მექანიზებული ბატალიონის БМП №704 (ეკიპაჟი: ემზარ ეპიტაშვილი, კახა თურქიშვილი) და ა.შ.

ჯავშანტექნიკას ქვეითი დესანტის სახით გვარდიის სპეცდანიშნულების ასეული (მეთაური მიშა ოძელაშვილი) და სხვა ქვედანაყოფები მიჰყვებოდნენ.

რკინიგზას მიუყვებოდა 111-ე გორის მოტომსროლელი ბატალიონი (შტაბის უფროსი მაიორი მამუკა ვათიაშვილი), ხოლო ზღვის სანაპიროს გასწვრივ ლოთი ქობალიას დაქვემდებარებაში მყოფი ლაკიას რაზმი მოქმედებდა.

24-ე სატანკო ბატალიონის ტანკისტი **ოთარ ჟიჟიაშვილი:** „ჩემი ტანკი კოლონას გაუძღვა და მოულოდნელად გზაზე შეიარაღებული ადამიანების ჯგუფმა გადაირბინა და თავი გზისპირა შენობას შეაფარა.

შენობის მიმართულებით ცეცხლი გავხსენი და იმავდროულად გზის ორივე მხარეს ჩასაფრებულმა აფხაზებმა საპასუხო ცეცხლი გაგვიხსნეს.

ჩემი ტანკით ძირითადად გზის მარცხენა — ზღვის მხარეს ვმუშაობდი და კოლონას თითქმის 200 მეტრით დავშორდი. უკვე ვხედავდი კოდორის ხიდს, როცა ტანკს „წარბზე" ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა მოხვდა და კოშკურა მემიზნესთან გახვრიტა, მაგრამ ლიუკები ღია იყო და დაღუპვას ამან გადაგვარჩინა. მემიზნე მძიმედ დაიჭრა და მე კი კონტუზია მივიღე.

დაზიანების მიუხედავად, ტანკს გადაადგილება შეეძლო და უკუსვლით გამოსვლა დავიწყეთ.

ბრძოლის შემდეგ გვარდიელებმა მიამბეს, რომ №408-ე ტანკს ათამდე ხელის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი მოხვდა".

გზისპირა ჩასაფრებებიდან ძლიერი ცეცხლში აღმოჩნდა БМП №400, რომელსაც ორი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი მოხვდა და ანდრეი სანთელაძე დაიწვა.

მძიმე დანაკარგი განიცადა გვარდიის სპეცდანიშნულების ასეულმა. იმ ბრძოლაში დაიღუპნენ ოფიცრები მიშა ოძელაშვილი, პავლე გიორგობიანი, ჯუმბერ მჭედლიშვილი, ანზორ საღირაშვილი და სხვები.

დაზიანებული ტექნიკისაგან გზა ჩაიხერგა, კოლონის მართვა მოიშალა და შეტევის გაგრძელებამ აზრი დაკარგა.

სულ სხვანირად განვითარდა მოვლენები შეტევის მარცხენა ფლანგზე, სადაც გორის ბატალიონი მოქმედებდა.

111-ე გორის მოტომსროლელი ბატალიონის შტაბის უფროსი მაიორი **მამუკა ვათიაშვილი:** „შეტევის წინ ვიცოდი, რომ ახალდაბამდე წინააღმდეგობა არ შეგვხვდებოდა, ხოლო თავად სოფელი მაგრად იყო დაცული. ეს ბატალიონის მზვერავებმა შეგვატყობინეს.

ჩვენთან ერთად მოქმედებდა ქობალიას რაზმი, რომელსაც რკინიგზიდან სანაპირომდე მონაკვეთის გაწმენდა ჰქონდა დავალებული და გორის ბატალიონის მებრძოლთა ერთი ნაწილი ეხმარებოდა, მეორე ნაწილი კი გზასა და რკინიგზის ხაზს შორის ჯაჭვში იყო გაშლილი. წინ ასე მივიწევდით. ახალდაბამდე ერთ კილომეტრში, მიტოვებულ შენობასთან ძლიერი წინააღმდეგობა დაგვხვდა და საათნახევრიანი ბრძოლით მისი დაძლევა შევძელით.

24-ში, დილის 8 საათისათვის, ახალდაბაში ვიყავით. ტრანშეისმაგვარ ორმოში ჩავწექით. გადავთვალე, სულ 47 კაცი ვიყავით. გვაკლდა ორი მეგზური, რომლებსაც გზები უნდა ეჩვენებინათ. არსად ჩანდა ქობალია რაზმიც, რომელსაც, წესით, ზღვის პირიდან შეტევა უნდა დაეწყო.

მალე მოწინააღმდეგემ გრიგალისებური ცეცხლი გახსნა და მივხვდი, რომ ალყაში ვიყავით.

აფხაზები კარგად ეკიპირებულ-აღჭურვილი იყვნენ და რამდენიმე მხრიდან ლულისქვეშა და ხელის ყუმბარსატყორცნების ცეცხლით გვიტევდნენ. მიუხედავად ამისა, ბატალიონმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და დიდი დანაკარგიც მიაყენა, მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. არც კავშირი გვქონდა, რომ დახმარება მიგვეღო.

სანამ ტყვია-წამალი გვქონდა, ვიბრძოდით, მაგრამ დახმარება არ ჩანდა და ნელ-ნელა გამოსვლა დავიწყეთ.

დაახლოებით 25 კაცი დაიღუპა, დანარჩენები დაჭრილი იყვნენ. ბატალიონის ზოგიერთმა მებრძოლმა ალყიდან გამოღწევა 3-4 დღის შემდეგ მოახერხა. დღემდე 12 მებრძოლი უკვალოდ დაკარგულად ითვლება".

*თემურ ჩაჩანიძე*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




**1993 წლის სექტემბერი: რუსი მედესანტეების ევაკუაცია ოჩამჩირის რაიონიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსხვილკალიბრიანი შაშხანისა და მცირეკალიბრიანი ქვემეხის ზღვარზე

## სამხრეთაფრიკული ანტიმატერიული შაშხანა NTW-20 კილომეტრ-ნახევარში თვითმფრინავს ნაფლეთებად აქცევს



მას შაშხანა ჰქვია, მაგრამ ერთი მებრძოლის ხელში ნამდვილი მცირე არტილერიაა, რომლის საშუალებითაც კარგი მსროლელი 1,5 კმ-ში მყოფ შეუჯავშნავ მანქანას თუ შვეულმფრენს ჯართის გროვად აქცევს, რადგან 20 მმ კალიბრის ჭურვებს ისვრის.

ათწლეულების განმავლობაში, აპარტეიდის გამო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისთვის შეიარაღების მიყიდვაზე დასავლეთს (და სხვათა შორის, საბჭოთა კავშირსაც) ემბარგო ჰქონდა გამოცხადებული. ამან გარკვეულწილად დადებითად იმოქმედა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სამამულო წარმოების შეიარაღების განვითარებაზე, რომლის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუშია ანტიმატერიული შაშხანა NTW-20.

კონსტრუქტორმა ტონი ნეოფიტუმ ეს იარაღი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შეიმუშავა. მოგვიანებით ყველა უფლება ამ იარაღზე იყიდა მსხვილმა სამხრეთაფრიკულმა ფირმა Mechem-მა, რომელიც ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი რგოლია.

1998 წელს NTW-20 სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არმიის შეიარაღებაში მიიღეს და მას შემდეგ საექსპორტოდაც გადის.

ანტიმატერიული NTW-20-ის დანიშნულებაა მოწინაალმდეგის ტექნიკისა და მატერიალური საშუალებების შორ მანძილზე მწყობრიდან გამოყვანა, მათ





სამხრეთაფრიკული NTW-20 და მისის არასრული დაშლა



**შედარებისთვის — 5.56; 7.62; 12.7 მმ კალიბრის ვაზნები და NTW-20-ის 20 მმ-იანი ჭურვი. გვერდით სურათზე ნათლად ჩანს თუ რას უშვება ეს 20 მმ-იანი ჭურვი ავტომობილს**



შორის — ავტომობილების, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების დანადგარების, რადიოლოკაციური სადგურების თუ აეროდრომზე მდგარი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების.

ამისთვის NTW-20-ში გამოიყენება 20 მმ კალიბრის მსხვრევად-ფუგასური და ცეცხლგამჩენი ჭურვები. ფაქტობრივად, ეს ჭურვები იმათი ანალოგია, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული „მესერშმიდტებისა" და „ფოკე-ვულფების" საავიაციო ქვემეხები ისროდნენ.

ითვლება, რომ სნაიპერს NTW-20-ით ნასროლი ამ 20 მმ-იანი ჭურვით 1500 მ დისტანციაზე შეუძლია მსუბუქი ავტომობილის გაბარიტების მქონე მიზნის დაზიანება. გამოცდებისას გადაღებულ ვიდეოფირზე კარგად ჩანს, 20 მმ-იანი ჭურვი როგორ აკეთებს ფეხბურთის ბურთისხელა ნახვრეტს მანქანის კარში.

**ჩვენი დოსიე: იარაღში გამოყენებულია წრფივად მობრუნებადი საკეტი. ლულები სწრაფად იცვლება, რისთვისაც საჭიროა ვაზნის ბოლოთი ლულის სამაგრის მობრუნება. მსოფლიოში ყველაზე ძლიერი შაშხანა აღჭურვილია ასევე მძლავრი უკუცემის გამანეიტრალებელი მექანიზმით, რომელშიც გაერთიანებულია ჰიდრავლიკური დემპერი და პნევმატური შემაკავებელი, დაახლოებით ისევე, როგორც საარტილერიო სისტემებში. გასროლისას მჭიდროდ ჩაკეტილი საკეტი იარაღის კორპუსის შიგნით გადაადგილდება, რითაც მცირდება უკუცემის ძალა. ამ ძალას ასევე ამცირებს ლულის ბოლოში დაყენებული დიდი ზომის ლულის მუხრუჭი.**

უფრო შორ მანძილზე და უფრო ზუსტად სროლისთვის NTW-20-ს უცვლიან ლულას, საკეტსა და მჭიდს, რის შემდეგაც მას უკვე 14,5 მმ კალიბრის ტყვიების გასროლა შეუძლია.

ისე, არ შეიძლება, არ აღინიშნოს სამხრეთაფრიკელი კონსტრუქტორის ორიგინალობა, რომელმაც ერთ იარაღში გააერთიანა ორი უდიდესი მტრის შეიარაღება. თუკი NTW-20-ში გამოყენებული 20 მმ-იანი ჭურვებით გერმანული „ლიუფტვაფეს" თვითმფრინავები საბჭოთა T-34-ებს ჰაერიდან ცხრილავდნენ, ამავე იარაღის მეორე კალიბრის 14,5 მმ-იანი ჯავშანგამტანი ტყვიებით საბჭოთა მეომრები გერმანული მსუბუქი ტანკების ჯავშანს ხვრეტდნენ.

საბჭოთა ვაზნაზე 14,5X114 მმ აწყობილი სამხრეთაფრიკული NTW-20-ის (სხვათა შორის, ფაქტობრივად, იმავე ვაზნას იყენებენ БТР-70 და БТР-80 ტიპის საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორები, რომლებიც ქართული არმიის შეიარაღებაშიც არიან) ზუსტი გასროლა 2,3 კმ სიშორეზეც შეიძლება მოწინააღმდეგის ტრანსპორტის დასაზიანებლად.

**ჩვენი დოსიე: სამხრეთაფრიკული მსხვილკალიბრიანი შაშხანა NTW-20 გათვლილია 20 მმ-იანი ჭურვების ან 14,5 მმ-იანი ტყვიების სასროლად. ორივე შემთხვევაში გადატენა ხელით ხდება მჭიდიდან, რომელიც იარაღს მარცხენა მხარეს აქვს. იარაღის ლულის სიგრძე 1000 მმ-ია, 20 მმ-იანი — ჭურვების სროლისას და 1220 მმ-იანი 14,5 მმ კალიბრის ტყვიების გამოყენების შემთხვევაში. შესაბამისად, მათი წონა 26 და 29 კგ-ია, ხოლო იარაღის სიგრძე კი 1795 მმ და 2015 მმ. მჭიდში სამი ჭურვი ან სამი ვაზნა ეტევა.**

სამხრეთაფრიკული NTW-20 შექმნიდან მეოცე წლისთავზეც რჩება მსოფლიოში ყველაზე ძლიერ მსხვილკალიბრიან სნაიპერულ შაშხანად, რომელიც ერთი ფეხით მცირეკალიბრიან ქვემეხებშიც გადადის.

*ირაკლი ალადაშვილი*

**NTW-20-პაკისტანის არმიის შეიარაღებაში**



# NTW-20



არსენალი

ISSN 1987-5061

b 94/38
1-50